



ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს  
(ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული  
კონვენციისა და ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი)  
ლევან ბესელია

წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა - სამართალი

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, პროფესორი მარინე კვაჭაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი

2022

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან ბესელია

30 მაისი, 2022 წელი

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეხება საგანგებო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებს და მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. ევროპული კონვენციისა და ეროვნული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის ფონზე წარმოჩენილია ამ საკითხის მნიშვნელობა. თემა ნამდვილად საყურადღებოა და აქტუალური, რამეთუ საგანგებო მდგომარეობის დროს ხდება გადახვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებიდან, იცვლება კონსტიტუციური წესრიგი აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ და მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების რისკი იზრდება, რის გამოც საფრთხე შეიძლება შეექმნას მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგს. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ საგანგებო მდგომარეობა არ აღმოჩნდეს უფრო მეტი კრიზისული ვითარების გამომწვევი, ასეთ დროს დიდ მნიშვნელობას იძენს მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზის არსებობა და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელთაც უნდა უზრუნველყონ საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა. კონსტიტუციური წესრიგი კი დაცული იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი ადამიანის ძირითადი უფლებები სათანადოდ იქნება დაცული.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ცხრა ქვეთავის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

კვლევითი ნაშრომის უკეთ შესწავლის მიზნით საჭიროდ მივიჩნიეთ მისი დაშლა ცალკეულ ქვეთავებად, რამაც გაგვიმარტივა პრობლემატიკის სრულად აღქმა და მისი სათანადოდ წარმოჩენა.

კვლევითი ნაშრომის შესავალ ნაწილში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია საკვლევო პრობლემა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ჩამოყალიბებულია საკვლევო კითხვები, მიმოხილულია გამოყენებული ლიტერატურა, ნაჩვენებია კვლევის თეორიული

საფუძვლები, კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, ნაჩვენებია კვლევის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, დასკვნა და ინფორმაციული ბაზა.

საკვლევი თემის ზუსტად და სათანადოდ შესწავლის მიზნით შესწავლილ იქნა როგორც ქართველ მეცნიერთა, ასევე უცხოელ ავტორთა შრომები, სამართლებრივი აქტები, ევროპის საბჭოს რეკომენდაციები და რეზოლუციები და სასამართლო პრაქტიკა, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით. ნაშრომი ასევე ეხება კოვიდ-19 პანდემიის დროს გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებს.

პირველი თავი ეხება საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის დაკმაყოფილებაც მართებთ ეროვნულ სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის დროს, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია მის შესაბამისობაზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ასევე საერთაშორისო პაქტთან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ეს თავი ასევე ეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას საგანგებო მდგომარეობის დროს.

მეორე თავი ძირითად ეხება განსხვავებას საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის. დასაბუთებულია მათ შორის განსხვავების და კანონით მისი მოწესრიგების აუცილებლობა. ეს თავი ასევე ეხება საგანგებო მდგომარეობის დროს დამახასიათებელ იმ ნიშნებს, რომლის დაკმაყოფილებაც მართებთ ეროვნულ სახელმწიფოებს, რათა მათ მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა ჩაითვალოს იმ მდგომარეობად, რომლითაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წაყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება.

მესამე თავი ეხება სასამართლო პრაქტიკას და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს, სადაც ყურადღება გამახვილებულია ევროპული

კონვენციის მე-15 მუხლთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს რეკომენდაციებზე საგანგებო მდგომარეობის დროს და ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე.

მეოთხე თავი ეხება ეროვნულ კანონმდებლობას. ნაშრომის ამ თავში საუბარია საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძვლებზე. დიდი ადგილი ეთმობა ადამიანის უფლებათა შეზღუდვისა და შეჩერების კონსტიტუციურობის დასაბუთებულობას საქართველოს კონსტიტუციაში. კოვიდ-19-ის პანდემიის მაგალითის ფონზე ნაჩვენებია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, ასევე ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო პრაქტიკაზე საგანგებო მდგომარეობის დროს. ამ თავში საუბარია ასევე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციების მაგალითზე.

კვლევითი ნაშრომის დასასრულს მოცემულია ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც მიღებულ იქნა კვლევის შედეგად. ვფიქრობთ, რომ დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული დებულებების სწორად და სათანადოდ გააზრების საქმეში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. ხარვეზები აღმოფხვრილ იქნება ეროვნულ კანონმდებლობაში და კითხვები, რომელიც ყოველთვის იწვევს გარკვეულ შეშფოთებებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს დღის წესრიგიდან იქნება მოხსნილი. დაბალანსებული და მოწესრიგებული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა კი ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე დიდი გარანტიაა.

მოძიებული და გამოყენებული ლიტერატურა, დამუშავებული და სათანადო წესით გაანალიზებული მნიშვნელოვანი საკითხები დაეხმარება ამ თემით დაინტერესებულ მკვლევარებს. მიმდინარე კოვიდ-19 პანდემიამ კი უაღრესად აქტუალური გახადა საგანგებო მდგომარეობასთან

დაკავშირებული საკითხების სამართლით მოწესრიგების აუცილებლობა და დაგვარწმუნა იმაში, რომ საგანგებო მდგომარეობა არსადაც არ წასულა და რომ ის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.

## **Annotation**

The dissertation deals with current issues of emergency and its compliance with international standards. The importance of this issue is presented in the context of a comparative analysis of the European Convention and European legislation. The topic is really important and relevant, because during a state of emergency there is a deviation from fundamental human rights, the constitutional order changes in favor of the executive and there is an increased risk of using it for political purposes, which may jeopardize the constitutional order as a whole. Of course, in order for the state of emergency not to turn out to be more of a crisis situation, the existence of an orderly legal framework and its compliance with international standards, which should ensure the unwavering protection of human rights during the state of emergency, is of great importance.

The paper consists of an introduction, four chapters and nine subsections, a main part, a conclusion. A list of used literature is attached to the paper.

In order to better study the research paper, we considered it necessary to break it down into separate sections, which made it easier for us to fully understand the problem and present it properly.

In the introductory part of the research paper the relevance of the topic is substantiated, the research problem is formulated, the research goals and objectives are formulated, the research questions are formulated, the literature is reviewed, the research theoretical foundations, research methods and methodology are shown, the research novelty is presented.

In order to study the research topic accurately and properly, the works, legal acts, recommendations and case law of the Council of Europe, as well as the experiences of other countries regarding the state of emergency were studied by Georgian scholars as well as foreign authors. The paper also addresses current issues of the state of emergency declared during the Covid-19 pandemic.

The first chapter deals with the international standards that nation-states must meet in a state of emergency, with a particular focus on its greater compliance

with the European Convention on Human Rights and the International Covenant on Civil and Political Rights. This chapter also deals with the positive commitment of the state during a state of emergency.

The second chapter deals with the main difference between a state of emergency and a state of war. The necessity of the difference between them and the necessity of its regulation by law are substantiated. This chapter also deals with the signs of a state of emergency that European countries must meet in order for them to declare a state of emergency that meets the requirements for declaring a state of emergency in accordance with international standards.

The third chapter deals with case law and Council of Europe recommendations, focusing on Council of Europe recommendations in the event of an emergency under Article 15 of the European Convention and on important decisions taken by the European Court of Justice.

The fourth chapter already deals with national legislation. This chapter discusses the constitutional basis for restricting human rights during a state of emergency. Much attention is paid to the rationale for the constitutionality of the restriction and suspension of human rights in the Constitution of Georgia. Against the background of the Covid-19 pandemic example, gaps in national legislation are shown, as well as a focus on international practice during a state of emergency. This chapter also discusses the declaration of a state of emergency on the example of the constitutions of different countries.

At the end of the research paper are given the conclusions and recommendations that were obtained as a result of the research. We believe that the findings and recommendations will make a significant contribution to the proper and proper understanding of the emergency provisions in terms of compliance with international standards. Deficiencies will be rectified in national legislation and questions that always cause some concern will be removed from the agenda when a state of emergency is declared. The existence of balanced and



orderly legislation in line with international standards is the biggest guarantee of human rights protection.

The literature found and used, the issues raised and analyzed will help researchers interested in the issue, while the current Covid Pandemic has once again made the importance of regulating the importance of emergency law and once again shown that the state of emergency is nowhere to be found. Is a part of our daily lives.

სარჩევი	
შესავალი.....	1
1 თავი: ადამიანის უფლებათა დაცვა და საგანგებო მდგომარეობა.....	15
1.1 ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.....	15
1.2 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.....	36
2 თავი: საგანგებო და საომარი მდგომარეობა.....	43
2.1 განსხვავება საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის საერთაშორისო აქტებსა და ეროვნულ კანონმდებლობაში .....	43
2.2 საგანგებო მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნები: ნამდვილობა და იმწუთიერება; ზეგავლენის მოქმედების არეალი; საფრთხის ხარისხი; საჭიროების განსაკუთრებული საკითხი .....	63
3 თავი: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით ადამიანის უფლებათა შეზღუდვის საფუძვლები-ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები და ინტერპრეტაცია .....	70
3.1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა .....	70
3.2 ევროპის საბჭოს რეკომენდაციები .....	79
4 თავი: ეროვნული კანონმდებლობა საგანგებო მდგომარეობის შესახებ.....	93
4.1 საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები .....	93
4.2 საგანგებო მდგომარეობის დროს ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა კოვიდ-19-ის პანდემიის მაგალითზე....	111
4.3 საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციების მაგალითზე.....	138
4.4 საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებათა „შეზღუდვისა“ და „შეჩერების“ კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში .....	146
დასკვნა .....	164
გამოყენებული ლიტერატურა: .....	175

## შესავალი

### თემის აქტუალობა

თემის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს, რადგან თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა და პრაქტიკაში მისი რელევანტური განხორციელება დიდი პრობლემაა. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს იცნობდა ჯერ კიდევ რომის სამართალი, თუმცა ამ საკითხზე მთავარი ყურადღება გაამახვილა კარლ შმიტმა თავის წიგნში (1922) „პოლიტიკური თეოლოგია“ (Politische Theologie), სადაც პირველად მან ხაზი გაუსვა საგანგებო მდგომარეობის სირთულეს სამართლით მოწესრიგების სფეროში და აღნიშნა, რომ საკითხის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ თავად ტერმინი პოლიტიკისა და სამართლის მიღმა მდებარეობს, ამიტომ რთული ხდება მისი განსაზღვრაც კი. კარლ შმიტის მიხედვით სამოქალაქო ომი, ამბოხი და წინააღმდეგობა ბუნდოვან, უცნობ განაპირა ზოლში პოლიტიკისა და სამართლის კვეთაზე არსებობს. საკითხი კიდევ უფრო მწვავედება, თუ იგი პოლიტიკური კრიზისის შედეგია. მან სუვერენის ცნებას დაუკავშირა შემდგომი დეფინიცია: „ის, ვინც აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ძალაუფლებაც მის ხელშია“.<sup>1</sup> შმიტის მიერ ჩამოყალიბებული პარადიგმა წითელ ზოლად გასდევს სხვა მკვლევარებს. შმიტისეული ასეთი მიდგომა გასაგებია, რამეთუ მისი მიდგომები და მსოფლმხედველობა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა. მდგომარეობას კიდევ მეტად ართულებს პოლიტიკური კრიზისით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა, რის გამოც ჩვენ მივიღეთ „კანონიერი სამოქალაქო ომი“, ამის საუკეთესო მაგალითია ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ გამოცემული დეკრეტი „ხალხისა და სახელმწიფოს შესახებ“, რამაც შეაჩერა მოქმედა უფლებების პირადი თავისუფლების შესახებ. ვაიმარის კონსტიტუციაში მისი ანულირება

---

<sup>1</sup> აგამბენი, ჯ. „საგანგებო მდგომარეობა“, თარგმანი: ნინო მიქაშაიძე, გვ:1. [shorturl.at/uvIM9](http://shorturl.at/uvIM9) [30.05.2022]

არასოდეს მომხდარა, რის გამოც მივიღეთ დაკანონებული სამოქალაქო ომი, რაც მთელი პოლიტიკური ჯგუფების განადგურების საშუალებას იძლეოდა. საყურადღებოა ჰერბერტ ტინგსტენის ნამუშევარი „სრული ძალაუფლების შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი კარლ შმიტის თეორიას ეყრდნობა მნიშვნელოვანია ის, რომ იგი პირველად აღწერს, თუ როგორ შეცვალა დემოკრატიული რეჟიმები აღმასრულებელი ხელისუფლების ზრდამ, რომ საგანგებო მდგომარეობა ნორმად იქცა, როგორც იურიდიული წესრიგის განმსაზღვრელი პარადიგმა. ის ასევე ყურადღებას ამახვილებს საპარლამენტო ცხოვრების ევოლუციაზე, უფლებამოსილებების დელეგირებაზე და აღმასრულებელი ხელისუფლების ექსპანსიაზე საკანონმდებლო სფეროში და ბოლოს დასძენს: „ამ ინსტიტუციის სისტემური და რეგულარული გამოყენება იწვევს დემოკრატიის „ლიკვიდაციას“. მართლაც, პარლამენტის საკანონმდებლო ძალაუფლების თანმიმდევრული ეროზია, რაც დღეს ხშირად მხოლოდ ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონის ძალის მქონე განკარგულებით მოთხოვნილი ზომების რატიფიკაციით შემოიფარგლება, მას შემდეგ ჩვეულ პრაქტიკად იქცა. იკვეთება იმის ტენდენცია, რომ საგანგებო მდგომარეობის არსებითი ერთ-ერთი მახასიათებელი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის განსხვავებების დროებით გაუქმება-მმართველობის უცვლელ პარადიგმად ჩამოყალიბდეს“.<sup>2</sup> რაც შეეხება კარლ ფრიდრიხს, თავის წიგნში „კონსტიტუციური მმართველობა და დემოკრატია“ აღნიშნავს, რომ „არ არსებობს არანაირი კონსტიტუციური დაცვის მექანიზმები, რომლებიც გააკონტროლებს, რომ განსაკუთრებული უფლებამოსილებები ნამდვილად კონსტიტუციის დაცვის მიზნით იქნება გამოყენებული“.<sup>3</sup> კლინტონ როსიტერი კი თავის წიგნში „კონსტიტუციური დიქტატურა: სახელმწიფო კრიზისი თანამედროვე დემოკრატიებში“ ამბობს: „რადგანაც

<sup>2</sup> აგამბენი, ჯ. „საგანგებო მდგომარეობა“, თარგმანი: ნინო მიქაშავიძე, გვ:8. [shorturl.at/uvIM9](https://shorturl.at/uvIM9) [30.05.2022]

<sup>3</sup> აგამბენი, ჯ. „საგანგებო მდგომარეობა“, თარგმანი: ნინო მიქაშავიძე, გვ:9. [shorturl.at/uvIM9](https://shorturl.at/uvIM9) [30.05.2022]

დემოკრატიული რეჟიმი ძალთა კომპლექსური გადანაწილების ბალანსით ჩამოყალიბდა, რათა გამართულად იმუშაოს ნორმალურ ვითარებაში, კრიზისის დროს დემოკრატიული, კონსტიტუციური ხელისუფლების დროებითი ცვლილება გარკვეულწილად აუცილებელია კრიზისის დასაძლევად და ნორმალური მდგომარეობის დასაბრუნებლად<sup>4</sup>. საკითხის სირთულის მიუხედავად თანდათან იკვეთება ამ საკითხისადმი ინტეგრირებული მიდგომა. საგანგებო დებულებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მას შემდეგ რაც ის უსაფრთხოების პარადიგმად ჩამოყალიბდა. ჩვენს ეპოქაში საგანგებო მდგომარეობა, როგორც აუცილებლობა სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში მოექცა და იქცა ავთენტურ საგანგებო მდგომარეობად, იმ პრინციპად, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სამართლის წყაროს. საგანგებო დებულებები მით უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი გახდა რაც ის დაუკავშირდა ადამიანის ძირითად უფლებებს.

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულმა დებულებებმა და მიდგომებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია როგორცაა გაერო და მოგვიანებით კი ევროპის საბჭო. ამ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების სამართლით მოწესრიგება, რაც აისახა კიდევ გაეროს ეგიდით მიღებულ საერთაშორისო პაქტში „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, ხოლო მოგვიანებით, ევროპის საბჭომ მიიღო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“. ამ ორგანიზაციებმა განამტკიცეს საერთაშორისო დონეზე და დაამკვიდრეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, რომლის არსიც სახელმწიფო ხელისუფლების ადამიანის უფლებებით ბოჭვაში მდგომარეობს, რაც ასევე

---

<sup>4</sup> იქვე, გვ:9

გულისხმობს ყველა დებულების შესაბამისობაში მოყვანას ადამიანის ძირითად უფლებებთან.

რადგან საგანგებო მდგომარეობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება, ის აუცილებლად უნდა დაქვემდებარებოდა მის სამართლით მოწესრიგებას. სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რაც გულისხმობს ბალანსისა და გაწონაწორების მექანიზმს ხელისუფლების შტოთა შორის არ შეიძლება გადახრილიყო მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს. თანამედროვე მიდგომები უკვე დიდ ყურადღებას ამახვილებს საგანგებო მდგომარეობის დროს ხელისუფლების ყველა შტოს თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობაზე. შმიტისეული მიდგომები, რომელიც პირველ მსოფლიო ომს უკავშირდებოდა იყო იმ დროის შესაბამისი და არსებული მსოფლმხედველობით ნაკარნახები. იმ დროისთვის არ არსებობდა და დიდი ყურადღება არ ეთმობოდა ადამიანის უფლებებს, არ არსებობდა ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვის სტანდარტი.

მნიშვნელოვანი გარდატეხა საგანგებო მდგომარეობის გააზრების საკითხში შეიტანა დამატებითი მექანიზმების შემოტანამ, იმ სრულყოფილმა სისტემამ რასაც ევროპული კონვენცია და საერთაშორისო პაქტი იძლევა. რისკების დაზღვევის მიზნით წევრი სახელმწიფოებისათვის დამატებითი კონტროლის მექანიზმები შეიქმნა, რათა უზრუნველყოფილიყო ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა, რათა ადამიანი არ ყოფილიყო შიშველი იარაღი სახელმწიფოს ხელში. დამატებითი უფლებამოსილება მიენიჭა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის დროს, რათა გადაეხვიათ ადამიანის ძირითადი უფლებებიდან, მაგრამ ის დაბალანსირდა შეტყობინების ვალდებულებით და საერთაშორისო პრინციპების ჩამოყალიბებით. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციების უმრავლესობა არის დემოკრატიული და იზიარებენ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მაინც დიდ

გამოწვევად რჩება საგანგებო დებულებების შესაბამისობა საერთო ეროვნულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული დებულებების სრულყოფა, ხელისუფლების შტოთა შორის უფლებამოსილების სწორი განაწილება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა უნდა იყოს ყველა დემოკრატიული ქვეყნის მთავარი მიზანი.

რაც შეეხება საქართველოს, გვაქვს რიგი საკითხები საგანგებო დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს ახლებურ მიდგომებს, გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, მის შესაბამისობას საერთო კონსტიტუციურ წესრიგთან, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან, რის გამოც განხორციელდა ეს კვლევა.

### **მიზნები და ამოცანები**

თემის კვლევის მიზანია საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს, მისი შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან“, სხვა ქვეყნის კანონმდებლობაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პრაქტიკის მიმოხილვა და საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევების პრევენდენტების ანალიზი, ყოველივე ამის გათვალისწინებით, შედარებითი და სისტემური ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავება არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

## საკვლევი კითხვები

- რა საერთაშორისო სტანდარტები არსებობს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით და როგორია საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, პასუხობს თუ არა ის ამ მოთხოვნებს?
- რა განსხვავებაა საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის და როგორ უნდა იყოს საგანგებო და საომარი მდგომარეობა ფორმულირებული ეროვნულ კანონმდებლობაში?
- როგორია ევროპის საბჭოს რეკომენდაციები საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით და რაზე იქნა ყურადღება გამახვილებული მიმდინარე კოვიდ-19-ის პანდემიის დროს და როგორია საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები?
- როგორი იყო ეროვნული კანონმდებლობის მოქმედება და საერთაშორისო პრაქტიკა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს?
- როგორია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს ადამიანის ძირითად უფლებათა შეზღუდვისა და შეჩერების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში?

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევისას გამოყენებულ იქნა მაქსიმალურად აუცილებელი და საჭირო წყაროები, რომელიც მივიჩნიეთ საჭიროდ და აუცილებლად კვლევის ამოცანებისა და მიზნებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ მასალების გაცნობასა და განხილვას, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი სანდოობითა და მაღალი კომპეტენციით.



კვლევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ევროპის საბჭოს რეზოლუციები და რეკომენდაციები, ასევე ეროვნული საკანონმდებლო ბაზა, ნორმატიული აქტები, ჟურნალები და ცალკეული სტატიები, ქართველ თუ უცხოელ ავტორთა შრომები, რომლებიც შეიცავენ არსებით ინფორმაციას საგანგებო მდგომარეობასა და ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით.

ნაშრომში მეცნიერთა ერთ ჯგუფს მიეკუთვნება ის მკვლევარები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანის უფლებებს საგანგებო მდგომარეობის დროს. როცა საუბარი გვაქვს ლიტერატურაზე მნიშვნელოვანია კარლ შმიტის ნაშრომის „პოლიტიკური თეოლოგია“ (Politische Theologie), ამ ნაშრომში მან პირველად გაამახვილა ყურადღება საგანგებო მდგომარეობაზე. კარლ შმიტი დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფო იმართებოდა კონფლიქტების საშუალებით და რომ საფრთხის წინააღმდეგ აუცილებელი იყო გადამწყვეტი მოქმედება, რადგან სახელმწიფოს არსებობის საფუძველი იყო მთლიანობის შენარჩუნება წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. კრიზისებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ის „ადასტურებს არა მხოლოდ წესს, არამედ მის გამონაკლის ხასიათს“.<sup>5</sup> შმიტი ნაშრომში მიიჩნევს, რომ საგანგებო მდგომარეობა, რომელიც პოლიტიკისა და სამართლის მიჯნაზე მდებარეობს ვერ შეიძენს იურიდიულ სახეს, რადგან ტერმინი პოლიტიკისა და სამართლის მიჯნაზე მდებარეობს, ეს გასაგებიცა, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა თეორია საჯარო სამართალში, რომელიც საგანგებო მდგომარეობას საერთო სამართლებრივ სივრცეში მოაქცევდა. კარლ შმიტი ემხრობოდა პოლიტიკური ძალაუფლების გაყოფას, რომელიც ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ძალაუფლება ძალაუფლებით უნდა შემოწმდეს და რომ კანონის სუვერენიტეტმა უნდა შეცვალოს ადამიანთა სუვერენიტეტი, მაგრამ ის მაინც პერსონალური ელემენტების მომხრე იყო თანამედროვე

---

<sup>5</sup> Carl Schmitt-“Politische Theologie”, 1992, pg:43.  
<https://archive.org/details/carlschmittpoliticaltheology/page/n41/mode/2up> [30.05.2022]

კონსტიტუციური მდგომარეობის შესანარჩუნებლად,<sup>6</sup> სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ ის კრიტიკულ სიტუაციაში დასაშვებად მიიჩნედა სახელმწიფოს მიერ შიდა მტრების გაწყვეტასაც კი<sup>7</sup>. ამავე ნაშრომში შმიტი ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო ომზე, ამბობს და წინააღმდეგობაზე. პრაქტიკულად ეს უკაცრიელი სივრცე საჯარო სამართალსა და პოლიტიკურ ფაქტს შორის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩებოდა, მან ვერ დაუკავშირა საგამონაკლისო სისტემა სამართლებრივ სისტემას. კარლ შმიტის მიერ წამოყენებული საკითხები დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით რთულია საგანგებო მდგომარეობისა და სამოქალაქო ომის, წინააღმდეგობისა და აჯანყებების გამიჯვნის საკითხი, რამეთუ ის უკავშირდება ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებას. ქვეყნის კონსტიტუციები ამ საკითხებს განსხვავებული თვალთახედვით უდგებიან, ჩვენი მხრიდან ნაშრომში ამ საკითხის განხილვას სათანადო ყურადღება დაეთმო. შემდეგი შრომებიდან ჩვენთვის საყურადღებოა ფრედერიკ უოტკინსის წიგნი „კონსტიტუციური დიქტატურის პრობლემა“ („The Problem of Constitutional Dictatorship“), კარლ ფრიდრიხი „კონსტიტუციური მართველობა და დემოკრატია“ (Constitutional Government and Democracy, 1950) და კლინტონ როსიტერი „კონსტიტუციური დიქტატურა: სახელმწიფო კრიზისი თანამედროვე დემოკრატიებში“ (Constitutional Dictatorship: Crisis Government in the Modern Democracies, 1948), თუმცა ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო შვედი იურისტის ჰერბერტ ტინგსტენის წიგნი „სრული ძალაუფლება. ხელისუფლების ძალაუფლების ზრდა დიდი ომის დროს და მას შემდეგ“. ზემოხსენებულმა ნაშრომებმა და ავტორებმა პირველად აღწერეს და ყურადღება გაამახვილეს თუ როგორ შეცვალა დემოკრატიული რეჟიმები აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების ზრდამ და ზოგადად საგანგებო მდგომარეობამ ორ მსოფლიო ომს შორის, სადაც ნათლად ჩანს, რომ „საგანგებო მდგომარეობა

---

<sup>6</sup> There:pg:43

<sup>7</sup> There: pg:47

ნორმად იქცა პოლიტიკური მიზნების დაკმაყოფილების მიზნით. იგი იქცა არა მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ტექნიკად და განსაკუთრებულ შემთხვევებში მისაღები ზომა, არამედ, როგორც იურიდიული წესრიგის განმსაზღვრელი პარადიგმა<sup>8</sup>. ნამდვილად, ეს პრობლემა აქტუალურია დღესაც საგანგებო მდგომარეობის დებულებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რათა საგანგებო დებულებები არ გაცდეს სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს და ის არ გახდეს პოლიტიკური მიზანშეწონილობით ნაკარნახევი. ჰერბერტ ტინგსტენის თავის ნაშრომში ეხება საგანგებო მდგომარეობის დროს პოლიტიკური რეჟიმის ევოლუციას, რომელიც ხორციელდება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე უფლებამოსილების დელეგირებით და შედეგად აღმასრულებელი ხელისუფლების ექსპანსია საკანონდებლო სფეროში. ამ მოსაზრებას ვეთანხმებით და ვფიქრობთ, რომ თანამედროვე დემოკრატიების უმთავრეს გამოწვევას სწორედ ეს საკითხიც წარმოადგენს. ტინგსტენი ამ ნაშრომში, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში, უფლებამოსილეთა დელეგირება შეთავსებადია თეორიულად დემოკრატიულ კონსტიტუციებთან, ის დასძენს, რომ ამ ინსტიტუციის სისტემური და ხშირი გამოყენება იწვევს დემოკრატიის ლიკვიდაციას<sup>9</sup>, რაც ასევე უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს დღევანდელი დემოკრატიებისთვისაც. ფრიდრიხმა ასევე ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციური დაცვის მექანიზმების არსებობაზე და დასძინა, რომ განსაკუთრებული უფლებამოსილებები კონსტიტუციის დაცვის მიზნით უნდა იყოს გამოყენებული, რაც ვფიქრობ სწორი და დასაბუთებული მიდგომაა. კლინტონ როსიტერი კი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ „კრიზისის დროს დემოკრატიული, კონსტიტუციური ხელისუფლების დროებითი ცვლილება გარკვეულწილად აუცილებელია კრიზისის დასაძლევად და ნორმალური მდგომარეობის დასაბრუნებლად“.<sup>9</sup>

---

<sup>8</sup> ჯორჯო აგამბენი „საგანგებო მდგომარეობა“, თარგმანი ნინო მიქაშავიძე, გვ:7

<sup>9</sup> იქვე: გვ9.

დასავლურ სამართლებრივ ტრადიციაში კი გამოიკვეთა ორი პოზიცია საგანგებო მდგომარეობის კვლევის მიმართულებით, პირველი საგანგებო მდგომარეობას კონსტიტუციითა და კანონებით არეგულირებს, მეორე უარს ამბობს ამ პრობლემის რეგულირებაზე. მაგრამ დღევანდელი მოქმედი დემოკრატიული კონსტიტუციების უმრავლესობა ცდილობს საგანგებო მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული დებულებები ასახულ იქნას კონსტიტუციაში, ამაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ვენეციის კომისიაც, ასევე ევროპის საბჭო მის რეზოლუციებსა და რეკომენდაციებში, რამეთუ საგანგებო მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული დებულებები შეეხება ადამიანის უფლებებს, კონსტიტუცია კი ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად მიიჩნევა. თანამედროვე ავტორთა შრომებიდან ყურადსაღები და მნიშვნელოვანია ანა კაკეს, დომინიკ მაკგოლდრიკი, ფრანსუაზ ტულკენსი, სკოტ შირანი, მუჰამედ მ. ელ.ზეიდი, ედვარდ ელგარი, ვესნა სტეფანოვსკას შრომები სადაც საუბარია თანამედროვე დემოკრატიულ კონსტიტუციებში არსებულ გამოწვევებზე.

დისერტაციის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი იყო ისეთ ქართველ ავტორთა შრომები, როგორცა: ლ. ალექსიძე, ი. კობახიძე, ბ. ბოხაშვილი, კ. კორკელია, გ. ლობჯანიძე, კ. კუბლაშვილი, ქ. ხუციშვილი, ე. კველიშვილი, დ. გეფერიძე, მ. კანაშიძე, ვ. გონაშვილი, კ. ძენსიარო და სხვები, რომელთა კვლევის საკითხები ძირითადად შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, მასში არსებული ხარვეზების გამოვლენას, საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო მდგომარეობის დებულებების შესაბამისობას ადამიანის ძირითად უფლებებთან, ყურადღება გამახვილებულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ასევე გაეროს ეგიდით მიღებულ საერთაშორისო პაქტთან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ზოგიერთი ავტორი, მაგალითად კონსტანინე კორკელია ხაზს უსმევს და ყურადღებას ამახვილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, სასამართლო

გადაწყვეტილებების როლზე და მნიშვნელობაზე. ქართველ ავტორთა მხრიდან ყურადღება გამახვილებულია და საგანგებო მდგომარეობისადმი დაინტერესება აშკარად ჩანს და იკვეთება კოვიდ-19-ის პანდემიის მაგალითზე. თავად ავტორი კვლევის პროცესში უარს ამბობს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული დებულებების ცალმხრივ შეფასებაზე, არსებული გამოცდილებისა და არცთუ ისე მრავალფეროვანი მასალების არსებობის მიუხედავად მხარს უჭერს ინტეგრირებულ მიდგომას და ცდილობს საგანგებო მდგომარეობაზე ისაუბროს საერთაშორისო სტანდარტების, სხვა ქვეყნების გამოცდილების, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ევროპის საბჭოს რეზოლუციებისა და რეკომენდაციების, ასევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით წარმოადგინოს დასაბუთებული კვლევა. ვფიქრობ ეს მიზანი, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა წარმატებით იქნა განხორციელებული.

დისერტაციაში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა კვლევის მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა შეძლებისდაგვარად დაგვეჩვენა მთლიანობაში ის სურათი რათა გამოყენებული მასალების შეფასება მოხდარიყო ობიექტურად.

### **კვლევის მეთოდები**

საკვლევი კითხვების შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა შედარებით-სამართლებრივი, სისტემური ანალიზის, ლოგიკური და სისტემური მიდგომის მეთოდები. ცალკეული ცნებების დაზუსტების მიზნით გამოყენებულ იქნა ჰერმენევტიკული მეთოდი. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდი. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა სხვადასხვა წყაროები, მათი მონაცემები და ამ ფონზე კარგად დაგვეჩვენა პრობლემის არსი, რამაც, ასევე საშუალება

მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა საკუთარი არგუმენტები და დასკვნები. ამ მეთოდის გამოყენებისას თვალნათლივ ჩანს მსგავსი სამართლებრივი საკითხების რეგულირების სპეციფიკა. სისტემური ანალიზის მეთოდით მოხდა უკვე არსებული ცოდნის გადააზრება საგანგებო დებულებებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა თემის შესწავლისათვის ამ წინამძღვრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლოგიკურმა მეთოდმა საშუალება მოგვცა ლოგიკური თანმიმდევრობით დაგველაგებინა საკვლევი თემები, გამოგვეყო პირველი და მეორეხარისხოვანი საკითხები, მოგვეხდინა სწორი აქცენტების დასმა საკვლევი თემის გარშემო. სისტემური მიდგომის მეთოდმა საშუალება მოგვცა მიღებული და გადამოწმებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განგვესაზღვრა ის თუ რა დასკვნის დადება შეიძლებოდა არსებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გამოყენებით დაიწერა დასკვნები და გაიცა რეკომენდაციები.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით კვლევითი ნაშრომი პირველი ნამუშევარია, რომელიც წარმოდგენილია სადოქტორო ნაშრომის სახით. ეს საკითხი არაა შესწავლილი ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში. ჩვენი მიზანია არსებული მასალების, ცოდნისა და გამოცდილების გააზრების ფონზე წარმოვაჩინოთ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული გამოწვევები საგანგებო მდგომარეობის დროს. თავისთავად, ამ პრობლემით დაინტერესება განაპირობა ეროვნულ კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობამ საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ეს ნაშრომი აღნიშნული პრობლემის საერთაშორისო სამართლის ხედვის კუთხიდან, ახლებურად და განსხვავებული სახით წარმოაჩენს ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ პრობლემებს და ემხრობა ინტეგრალურ მიდგომას, როცა დაბალანსებული კანონმდებლობა ქვეყნის წინაშე არსებული ყველა

გამოწვევის სწრაფი და ეფექტიანი მოგვარების წინაპირობაა. ყველა საკითხი საკვლევ თემაში მძაფრად დასმული, რადგან ეს სულისკვეთება კარგად პასუხობს საგანგებო მდგომარეობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებებითა და საგანგებო მდგომარეობით დაინტერესებულ პირებს კვლევა საშუალებას მისცემს სრულად გაიაზრონ პრობლემის არსი.

### **კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

საკვლევი თემის თეორიულ მნიშვნელობასა და ღირებულებას განაპირობებს საკითხთა ის ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც საკვლევი თემის ძირითად პრობლემას განეკუთვნება.

აღნიშნული საკითხები განხილულ იქნება კომპლექსურად, ამ სფეროში არსებულ ქართველ და უცხოელ ავტორთა სამეცნიერო შრომები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ევროპის საბჭოს რეკომენდაციები და რეზოლუციები, ეროვნული კანონმდებლობა და სამართლებრივი აქტები, რის საფუძველზეც გაკეთდება არგუმენტირებული დასკვნები, შესაბამისად შემუშავდება ცალკეული რეკომენდაციები.

საკვლევი თემის თეორიულ ღირებულებას ქართული რეალობისთვის განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქართულ კანონმდებლობაში მოხდება არსებული ხარვეზების აღმოჩენა და მისი შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ადამიანის უფლებათა დარღვევებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს.

ეს ნაშრომი საფუძველს მისცემს აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ პირებს დაგეგმონ ან განახორციელონ შემდგომი კვლევები.

### **ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ნაბეჭდ 187 გვერდს. წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული წყაროების დასახელება და ლიტერატურის სია (150 გამოყენებული ლიტერატურა).



## 1 თავი: ადამიანის უფლებათა დაცვა და საგანგებო მდგომარეობა

### 1.1 ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ადამიანის უფლებათა დარღვევებმა, მისმა უგულვებელყოფამ, ღირსებისა და პატივის შელახვამ კაცობრიობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა, პირველი და მეორე მსოფლიო ომები და ათასობით გარდაცვლილი ადამიანი. კაცობრიობა ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა, იმაში, რომ საერთო საფუძვლებზე შეთანხმებას და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ მხოლოდ სახელმწიფოთა დონეზე დარჩენა, მხოლოდ მათი უფლებამოსილების ფარგლებში დატოვება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის სფეროში არ იყო საკმარისი. საჭირო იყო, ბევრად უფრო მძლავრი, მთავრობათაშორისი, საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ადამიანის უფლებათა განუხრელ დაცვას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ეუთო თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა მიზანიც საერთო მშვიდობის, საერთო კეთილდღეობისა თუ ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა იყო. წარმოგიდგენთ სწორედ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც ყველაზე დიდი როლი შეასრულეს და ასრულებენ საერთაშორისო სტანდარტების შენარჩუნებაში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაში. ჩვენი ინტერესის სფეროა იმის ჩვენება, თუ რა მოთხოვნებს აყენებს საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და რა სტანდარტების დაკმაყოფილება მართებთ ეროვნულ სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის დროს.

#### 1) გაერო

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს

გაერო, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა კომიტეტების არსებობით მისი უფლებამოსილების განხორციელებას. გაერო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, გარდა ამისა „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთავარ პრინციპებად აღიარებს-მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებას და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას“.<sup>10</sup> დღეს გაერო რჩება კონფლიქტების, საგანგებო სიტუაციების და ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციისა და რეაგირების წინა ხაზზე.<sup>11</sup> საქართველო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს.<sup>12</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა საბჭოს, „რომელიც შეიქმნა გენერალური ასამბლეის მიერ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი მთავრობათაშორისი ადამიანის უფლებებზე პასუხისმგებელი ორგანო. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში შედის აქვს უნიკალური მანდატი საერთაშორისო საზოგადოებისგან, ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის ყველა უფლება. მას ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი. საბჭო განიხილავს დარღვევებს ადამიანის უფლებათა სფეროში, მუშაობს ადამიანთა უფლებების დარღვევების თავიდან ასაცილებლად, რეაგირებს საგანგებო სიტუაციებზე, ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვასა და განათლებას, განიხილავს სახელმწიფოს ჩანაწერებს ადამიანის უფლებათა შესახებ“.<sup>13</sup>

---

<sup>10</sup>კველიშვილი, ე. ალექსანდრია, ნ. მუშუდია, ნ. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. 2005წ. თბილისი. გვ:4 [shorturl.at/bnty0](http://shorturl.at/bnty0) [30.05.2022]

<sup>11</sup> Peace, human rights, and humanitarian response. [shorturl.at/cfMP7](http://shorturl.at/cfMP7) [30.05.2022]

<sup>12</sup>ალექსიძე, ლ. თანამედროვე საერთაშორისო. სამართალი. თბილისი. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. 2015წ. გვ:135.

<sup>13</sup> The Human Rights Council and the role of the Office of the High Commissioner for Human Right.pg:1. [shorturl.at/hzEK6](http://shorturl.at/hzEK6) [30.05.2022].

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით გაეროს ფარგლებში მოქმედ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ასევე გაეროს საერთაშორისო სასამართლო.<sup>14</sup>

„გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებულ იქნა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის რატიფიკაცია საქართველომ მოახდინა 1994 წლის 3 მაისს და აიღო ამ პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები“.<sup>15</sup>

რადგან საკვლევი თემა შეეხება ადამიანის უფლებებს საგანგებო მდგომარეობის დროს და მის საერთაშორისო სტანდარტებს, ამ კუთხით ჩვენთვის საინტერესოა პირველ რიგში „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი მონაწილე ქვეყნებს რთავს ნებას გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს.<sup>16</sup> ამავე პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი კი ჩამოთვლის იმ მუხლებს საიდანაც გადახვევა დაუშვებელია.<sup>17</sup> მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი კი წევრს ქვეყნებს აკისრებს შეტყობინების ვალდებულებას ევროსაბჭოს გენერალური მდივნისადმი.<sup>18</sup> არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ხელშეკრულებას სავალდებულო ძალა აქვს ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ. სახელმწიფოები ხელშეკრულების მხარედ გახდომით და

---

<sup>14</sup> ერიაშვილი, ნ.დ, გასანოვი, კ.კ, კუზნეცოვი, ი.ა, ნიკონოვი, დ.ა, კალამკარიანი, რ.ა, შალიაგინი, დ.დ. საერთაშორისო სამართალი. სამართლიანი საქართველო. თბილისი. გამომცემლობა „იუნიტი დანა“. 2021წ. გვ:34

<sup>15</sup> ხუციშვილი, ნ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი: საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. 2013წ. მარტი გვ:1. [shorturl.at/egAEM](http://shorturl.at/egAEM) [30.05.2022].

<sup>16</sup> საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 16/12/1966, მე-4(1). [shorturl.at/gorwY](http://shorturl.at/gorwY) [30.05.22].

<sup>17</sup> საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 16/12/1966, მე-4(2). [shorturl.at/gorwY](http://shorturl.at/gorwY) [30.05.2022].

<sup>18</sup> საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 16/12/1966, მე-4(3). [shorturl.at/gorwY](http://shorturl.at/gorwY) [30.05.2022].

რატიფიკაციის გზით ნებაყოფლობით იბოჭება შესაბამისი ხელშეკრულების მუხლებით“.<sup>19</sup>

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი\* 2001 წლის 31 აგვისტოს გამოქვეყნებულ ზოგად კომენტარებში აღნიშნავს, რომ „პაქტის დებულებებიდან გადახრის ზომები უნდა იყოს დროებითი და გამონაკლისი. ვიდრე ქვეყნები გადაწყვეტენ მე-4 მუხლის გამოყენებას ორი ფუნდამენტური პირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული: სიტუაცია უნდა შეადგენდეს საგანგებო მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს უნდა უქმნიდეს ერის სიცოცხლეს და მონაწილე სახელმწიფომ ოფიციალურად უნდა გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა. ეს უკანასკნელი მოთხოვნა არსებითია კანონიერებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების შესანარჩუნებლად იმ დროს, როდესაც ისინი ყველაზე მეტად საჭიროა. პაქტის ნებისმიერი დებულებებიდან გადახრის შემთხვევაში სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ კონსტიტუციური და კანონის სხვა დებულებებით, რომლებიც არეგულირებენ ამგვარ გამოცხადებას და საგანგებო უფლებამოსილების განხორციელებას. კომიტეტის ამოცანა კი მისი მე-4 მუხლთან შესაბამისობის დადგენაა“.<sup>20</sup> გარდა ამისა „გადახრის ინსტრუმენტი არის მოქნილი სისტემა რათა დაეხმარონ მთავრობებს განსაკუთრებით კრიზისული სიტუაციების დასაძლევად. გადახრის უფლება არ ნიშნავს მთავრობებს შეუძლიათ მოქმედება სურვილისამებრ. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ნორმალური მდგომარეობის აღდგენას, სადაც პაქტის სრული პატივისცემა შეიძლება კვლავ იყოს

---

<sup>19</sup> თომასილი, თ. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. საქართველოს რეფორმების ასოციაცია-GRASS. 2014წ. გვ:21. [shorturl.at/uBDPO](http://shorturl.at/uBDPO) [30.05.2022].

\*გაერომ 2006 წელს გაატარა რეფორმა, რის საფუძველზეც ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეცვალა ადამიანის უფლებათა საბჭომ.

<sup>20</sup> General comment no. 29, States of emergency (article 4): International Covenant on Civil and Political Rights. UN. pg:2 Human Rights Committee. 2001. [shorturl.at/hiHO3](http://shorturl.at/hiHO3) [30.05.2022].

უზრუნველყოფილი, უნდა იყოს პაქტის მონაწილე ქვეყნების უპირატესი მიზანი“.<sup>21</sup>

ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება COVID-19 პანდემიას, რომლის დროსაც, რიგმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს გადახვევა მე-4 მუხლიდან, ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნებს დროულად მიაწოდონ ინფორმაცია გაეროს გენერალურ მდივანს გადახვევის თაობაზე. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ „COVID-19-ის პანდემიის ფონზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ქმედითი ზომები, რათა დაიცვან ყველა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება მათ ტერიტორიაზე და ყველა იმ პირს, რომელიც ექვემდებარება მათ იურისდიქციას. გარდა ამისა, კომიტეტი აღიარებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც არიან დაავადების ფართოდ გავრცელების საფრთხის წინაშე, შეუძლიათ დროებით მიმართონ საგანგებო უფლებამოსილებებს, გამოიყენონ თავიანთი უფლება მე-4 მუხლიდან გადახვევის შესახებ, იმ პირობით, რომ ეს საჭიროა ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. კომიტეტმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ქვეყნებს გაითვალისწინონ საგანგებო მდგომარეობის ოფიციალური გამოცხადება, ოფიციალური შეტყობინება გენერალური მდივნისადმი, აუცილებლობა და პროპორციულობა მიღებული გადახვევების, მიღებული ზომების შესაბამისობა სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან, არადისკრიმინაციულობა და გარკვეული შეუზღუდავი უფლებებისგან გადახვევის აკრძალვა“.<sup>22</sup> კომიტეტი ასევე მიუთითებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალურ დასაბუთებულობაზე, მიზეზების მკაფიო ახსნაზე და ნებისმიერი გამოყენებული კანონის სრულ დოკუმენტურ დასაბუთებულობის აუცილებლობაზე. კომიტეტის მიერ კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა

<sup>21</sup> THE ADMINISTRATION OF JUSTICE DURING STATES OF EMERGENCY. pg:11 [shorturl.at/ekpU4](https://www.shorturl.at/ekpU4) [30.05.2022].

<sup>22</sup> Human Rights committee. Statement on derogations from the Covenant in connection with the COVID-19 pandemic. pg:1 [shorturl.at/dsGJT](https://www.shorturl.at/dsGJT) [30.05.2022].

გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას.<sup>23</sup>

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2020 წლის 7 აპრილის კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო დებულებაში ყურადღება გაამახვილა გადაუდებელი უფლებამოსილების გამოყენებაზე და აღნიშნა, რომ „ის შესაბამისი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ დებულებებთან და რომ ასეთი ღონისძიებები უნდა იყოს აუცილებლად დროით შეზღუდული, რათა რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს ნორმალური მდგომარეობა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ საგანგებო მდგომარეობის ოფიციალურად გამოცხადების გარეშეც სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ განსაკუთრებული ზომები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად, რომლის დროსაც შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის გარკვეული უფლებები. კომიტეტი სახელმწიფოებს შეახსენებს მათ ვალბებულებებს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია საკვების, ჯანმრთელობის, საცხოვრებლის, სოციალური დაცვის, წყლისა და სანიტარული უფლებების ძირითად შინაარსთან, განათლება და ცხოვრების ადეკვატური დონე მოქმედებს საგანგებო სიტუაციებშიც კი“.<sup>24</sup> კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ „ადამიანის უფლებების შეზღუდვა გადაუდებელი ზომების შედეგად, ზოგიერთი უფლება, როგორცაა: გადაადგილების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება ან მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზეზების გამო, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის არ არსებობის შემთხვევაში. თუმცა ეს შეზღუდვები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: კანონიერება; აუცილებლობა; პროპორციულობა; არადისკრიმინაციულობა; ყველა შეზღუდვა უნდა იქნას განმარტებული

<sup>23</sup> Human Rights committee. Statement on derogations from the Covenant in connection with the COVID-19 pandemic. pg:2 [shorturl.at/dsGJT](https://www.shorturl.at/dsGJT) [30.05.2022].

<sup>24</sup> EMERGENCY MEASURES AND COVID-19: GUIDANCE. Geneva, Switzerland. Un.27. pg:1 apr.2020. <https://digitallibrary.un.org/record/3861152> [30.05.2022].

მკაცრად და სადავო უფლების სასარგებლოდ. არანაირი შეზღუდვა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას თვითნებური წესით”.<sup>25</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს მედიის თავისუფლებას საგანგებო მდგომარეობის დროს.<sup>26</sup>

როგორც დავინახეთ „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ”, მართალია არ მიუთითებს პაქტის მონაწილე ქვეყნებს თუ როგორი უნდა იყოს მათი საკანონმდებლო ჩარჩო, ეს მათი უფლებამოსილებაა, თუმცა ის ჩამოთვლის იმ პრინციპებს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობა, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები. „გამომდინარე იქიდან, რომ გამონაკლისი სიტუაციები არ შეიძლება იყოს სამართლებრივი რეგულირების საგანი, ადამიანის უფლებათა სამართალი იღებს გადახრების იდეას, მაგრამ შემდეგ მას აფარებს პრინციპების ინტეგრალურ კომპლექტს, რომელიც ზღუდავს მათ ფარლებს და მოქმედებას-აუცილებლობა, პროპორციულობა, არადისკრიმინაცია და თანმიმდევრულობა სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან ერთად. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ჰგავს სასამართლო განხილვის პროცესს პრინციპებისა და წესების გამოყენებით“.<sup>27</sup>

## 1) ევროპის საბჭო

მეორე მნიშვნელოვანი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია არის ევროპის საბჭო. ევროპის საბჭო არის ორგანიზაცია, რომლის მიზანია „ადამიანის უფლებათა, პლურალისტული დემოკრატიისა და კანონის

<sup>25</sup> EMERGENCY MEASURES AND COVID-19: GUIDANCE. Geneva, Switzerland. Un.27. pg:1 apr.2020. [shorturl.at/qs145](https://www.humanrights.org/document.aspx?id=123456789) [30.05.2022].

<sup>26</sup> EMERGENCY MEASURES AND COVID-19: GUIDANCE. Geneva, Switzerland. Un.27. pg:3 apr.2020. [shorturl.at/qs145](https://www.humanrights.org/document.aspx?id=123456789) [30.05.2022].

<sup>27</sup> Dominic McGoldrick.(2004. 2 apr).The interface between public emergency powers and international law. pg:10. [shorturl.at/BHT69](https://www.humanrights.org/document.aspx?id=123456789) [30.05.2022].

უზენაესობის დაცვა, ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმა და განვითარებისათვის ხელშეწყობა“.<sup>28</sup> „იგი არის ადამიანის უფლებათა დაცვის წამყვანი ორგანიზაცია ევროპის კონტინენტზე, რომელიც აერთიანებს 47 ქვეყანას. 1999 წლის 27 აპრილს საქართველო ამ ორგანიზაციის 41-ე წევრი ქვეყანა გახდა“.<sup>29</sup>

ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს საქვეყნოდ აღიარებული „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომლის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 1999 წლის 20 მაისს. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“ მიიჩნევა ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებად, რომელმაც დაარსა განვითარებული საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმი. კონვენციის უნიკალურობა განპირობებულია არა იმ უფლებათა და თავისუფლებათა უნიკალურობით, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით, არამედ მათი უზრუნველყოფის საზედამხედველო მექანიზმით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და ევროპულმა კომისიამ კონვენცია აღიარეს „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად“.<sup>30</sup> სწორედ, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და მისი მე-15 მუხლი ითვალისწინებს გადახრებს საგანგებო მდგომარეობის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებებს აღიარებს ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ამბობს, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ

<sup>28</sup> ლობჯანიძე, გ. ადამიანის უფლებათა სამართალი. თბილისი. 2005წ. გვ:93

<sup>29</sup> ევროპის საბჭო. გვ:1 [shorturl.at/fhqrV](https://shorturl.at/fhqrV) [30.05.2022].

<sup>30</sup> კორკელია, ვ. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი. 2007წ. გვ:6-7. [shorturl.at/fAHJ3](https://shorturl.at/fAHJ3) [30.05.2022].



პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.<sup>31</sup> ასევე საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ და მისი მე-7 მუხლი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას“ აღიარებს საქართველოს ნორმატიულ აქტად და განსაზღვრავს მისი ადგილი ნორმატიული აქტების იერარქიაში,<sup>32</sup> ხოლო რაც შეეხება საქართველოს კანონს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“, მისი მე-6 მუხლი ასევე აღნიშნავს, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია“.<sup>33</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპული კონვენცია არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღიაროს კონვენცია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად და, შესაბამისად, უშუალოდ გამოიყენოს მისი დებულებები ეროვნულ დონეზე, მათ შორის სასამართლო დავების გადასაწყვეტად. ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ევროპული კონვენციის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარება კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების განსაკუთრებით ეფექტიანი საშუალებაა“.<sup>34</sup> საერთაშორისო კანონმდებლობის აღიარება ევროპული კანონმდებლობის ნაწილად აკისრებს ქვეყნებს ვალდებულებას იმოქმედონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლება სრული დაცვით. ევროპის საბჭო თავის საწესდებო დებულების მე-3 მუხლში ყველა წევრ ქვეყნებს მოუწოდებს

---

<sup>31</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4(5). [shorturl.at/IBMOT](http://shorturl.at/IBMOT) [30.05.2022].

<sup>32</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 22/10/2009, მუხლი 7. [shorturl.at/duvx1](http://shorturl.at/duvx1) [30.05.2022].

<sup>33</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“, 16/10/1997, მუხლი 6. [shorturl.at/bJMT3](http://shorturl.at/bJMT3) [30.05.2022].

<sup>34</sup> კორკელია, ვ. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2007წ. გვ:25. [shorturl.at/bfJO6](http://shorturl.at/bfJO6) [30.05.2022].

კანონის უზენაესობის აღიარებისკენ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული პატივისცემისკენ.<sup>35</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას, მისი მე-15 მუხლის პირველი პუნქტი უშვებს გადახვევას ადამიანის ძირითადი უფლებებიდან.<sup>36</sup> გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს გადახვევას ადამიანის გარკვეული უფლებებიდან.<sup>37</sup> ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აკისრებს შეტყობინების ვალდებულებას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი.<sup>38</sup>

როგორც დავინახეთ, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით გადაუხვიონ ადამიანის უფლებებიდან, თუმცა საგანგებო მდგომარეობა ძალიან ფართო ცნებაა, მასში შეიძლება ბევრი რამ მოიაზრებოდეს, ამიტომ ევროპული სასამართლოს გამართებით, ფრაზა „საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს-მიუთითებს განსაკუთრებულ კრიზისულ სიტუაციაზე ან მდგომარეობაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს მთელ მოსახლეობაზე და საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი სიცოცხლისათვის. აღნიშნული განსაზღვრება განმტკიცებულ იქნა 1969 წელს სახელმწიფოთა შორის საქმეში საბერძნეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც კომისიამ გამოავლინა 4 განსხვავებული შემადგენელი ელემენტი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საგანგებო მდგომარეობის

---

<sup>35</sup> გეფერიძე, დ. ხაზალია, ა. „თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“. გამომცემლობა „მერედიანი“, თბილისი. 2020წ. გვ:350

<sup>36</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 04/11/1950, მუხლი-15(1) [shorturl.at/bf158](https://shorturl.at/bf158) [30.05.2022].

<sup>37</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 04/11/1950, მუხლი-15(2) [shorturl.at/bf158](https://shorturl.at/bf158) [30.05.2022].

<sup>38</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 04/11/1950, მუხლი-15(3) [shorturl.at/bf158](https://shorturl.at/bf158) [30.05.2022].

გამოცხადების წინაპირობას, ესენია: საგანგებო მდგომარეობა უნდა იყოს ნამდვილი და იმწუთიერი; მისი შედეგები გავლენას უნდა ახდენდეს მთელ ერზე; საფრთხე უნდა ექმნებოდეს საზოგადოებრივი სიცოცხლის გაგრძელებას; კრიზისი და საშიშროება უნდა იყოს განსაკუთრებული იმ მხრივ, რომ ჩვეულებრივი ღობისძიებები ან შეზღუდვები, რომლებიც დაშვებულია კონვენციით საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, ჯანმრთელობისა და მართლწესრიგისათვის ნათლად შეუფერებელი უნდა იყოს“.<sup>39</sup> ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს მე-15 მუხლით დადგენილი გადახვევები ნებისმიერი შესაძლებელი ზომების დასამოწმებლად. სახელმწიფო ვალდებულია დაასაბუთოს მყარი კავშირი გამოყენებულ ზომებსა და არსებულ ვითარებას შორის, ანუ სახელმწიფომ ნათლად უნდა დაასაბუთოს, რომ ვითარება საჭიროებს განსაკუთრებულ კონტროლს“.<sup>40</sup> ევროპის კომისიამ საქმეში ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა ბრიტანეთის მიერ მე-15 მუხლის გამოყენებას, ევროპის კომისიამ აქ პირველად მიუთითა და ყურადღება გაამახვილა თანაზომიერების საკითხზე და აღნიშნა, რომ „მთავრობას არ შეუძლია ყველა შესაძლო ზომების გამოყენების დასაბუთება საგანგებო ვითარებით, მან უნდა დაასაბუთოს თანაზომიერება გამოყენებულ ზომებსა და არსებულ ვითარებას შორის. ამასთან კომისიამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს სრულყოფილი კონკრეტული ზომები, რომელსაც ის მიმართავს და ეს არ უნდა იწვევდეს დადანაშაულებას მე-15 მუხლის დარღვევაში“.<sup>41</sup> გარდა ამისა „ევროპული კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ელემენტები, როცა სახელმწიფოებს ეძლევათ უფლება

<sup>39</sup> ბოხაშვილი, ბ. ხუციშვილი, ქ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი. 2004წ. გვ:362-363. [shorturl.at/acjIW](http://shorturl.at/acjIW) [30.05.2022]

<sup>40</sup> კობალაძე, ი. ადამიანის უფლებები და თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის პირობებში. „თემიდა“-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. თბილისი. 2010 4(6). გვ:121.

<sup>41</sup> კობალაძე, ი. ადამიანის უფლებები და თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის პირობებში. „თემიდა“-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. თბილისი. 2010 4(6). გვ:122

გაატარონ ღონისძიებები იმ ზღვრამდე, რაც მკაცრად მოითხოვება მდგომარეობის სიმწვავეით-პრინციპული მნიშვნელობისაა. იგი ადგენს, რომ მდგომარეობის სიმწვავეიდან გამომდინარე მკაცრად მოითხოვება იმ ღონისძიებათა გატარება, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, გაუმკლავდეს შექმნილ ან მოსალოდნელ საფრთხეს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საგანგებო მდგომარეობა სახელმწიფოს მიერ მდგომარეობის გამოსწორების უკიდურესი ზომია“.<sup>42</sup>

„ლოულესის საქმეში“ კი სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა: „საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, განსაკუთრებული მდგომარეობა ან კრიზისი, რომელიც გავლენას ახდენს მთელ მოსახლეობაზე და საფრთხეს უქმნის საზოგადოების ორგანიზებულ ცხოვრებას, რომლისგანაც სახელმწიფო შედგება“.<sup>43</sup>

ევროპის საბჭომ კიდევ ერთხელ განმარტა 2020 წლის 7 აპრილის საინფორმაციო დოკუმენტში, რომ „ნებისმიერ გადახრას უნდა ჰქონდეს მკაფიო საფუძველი შიდა კანონმდებლობაში, რათა დაცული ვიყო თვითნებობისგან და უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი საგანგებო მდგომარეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მიღებული ნებისმიერი ზომა უნდა მიზნად ისახავდეს დემოკრატიული წესრიგის დაცვას მისთვის საფრთხისგან და ყველა ძალისხმევა უნდა გამოიყენონ დემოკრატიული საზოგადოების ფასეულობების დასაცავად, როგორცაა პლურალიზმი, ტოლერანტობა და

---

<sup>42</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. 2000წ. 3-4 კვარტალი. გვ:65

<sup>43</sup> კორკელია, კ. (2000წ. 3-4 კვარტალი). ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. გვ:63

ფართო აზროვნება“.<sup>44</sup> ვენეციის კომისიამ კი მიუთითა, რომ „საგანგებო უფლებამოსილების გამოყენება გამართლებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებელია განსაკუთრებული სიტუაციის დასაძლევად, პროპორციულია და დროშია შეზღუდული, და თუ არსებობს ეფექტური სასამართლო და საპარლამენტო კონტროლი“.<sup>45</sup> რაც შეეხება მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, როგორც ამ პაქტის სამეთვალყურეო ორგანომ 2001 წლის 29-ე ზოგად კომენტარებში საგანგებო მდგომარეობის შესახებ განმარტა, რომ „მე-4 მუხლის ნაწილში ჩამოთვლილი აკრძალვები სრულად არ არის ამომწურავი. განსაზღვრული უფლებები და ელემენტები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ამ პაქტში, როგორცაა მაგალითად თავისუფლება აღკვეთილი ყველა პირის უფლება მოექცნენ ჰუმანურობით და პატივი სცენ ადამიანის თანდაყოლილ ღირსებას, ომის პროპაგანდის აკრძალვა, სიძულვილის ადვოკატირება არ შეიძლება დაექვემდებაროს კანონიერ დეროგაციას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე მიიჩნია, რომ პროცედურული გარანტიები, მათ შორის სასამართლო გარანტიები, არასოდეს არ უნდა დაექვემდებაროს ზომებს, რომელიც გვერდს აუვლიდა შეუზღუდავი უფლებების დაცვას. გარდა ამისა მან დაადგინა, რომ კანონიერების პრინციპი და კანონის უზენაესობა მოითხოვს, რომ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტალური მოთხოვნები დაცული უნდა იყოს საგანგებო მდგომარეობის დროსაც“.<sup>46</sup>

---

<sup>44</sup> Information Documents SG/Inf(2020)11 7 April 2020, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states. [shorturl.at/bxVW8](https://www.unhcr.org/refugees/shorturl.at/bxVW8) [30.05.2022].

<sup>45</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული. (2020 წლის 16 აპრილი). სტრასბურგი. გვ:7. [shorturl.at/fkR08](https://www.unhcr.org/refugees/shorturl.at/fkR08) [30.05.2022].

<sup>46</sup> General comment no. 29, States of emergency (article 4): International Covenant on Civil and Political Rights. UN. Human Rights Committee. Geneva. Un.31Aug.2001. pg:4 [shorturl.at/ehjFT](https://www.unhcr.org/refugees/shorturl.at/ehjFT) [30.05.2022].

რაც შეეხება კონვენციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტს,<sup>47</sup> რომელიც ითვალისწინებს გადახვევის დროს შეტყობინების ვალდებულებას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი, საქმეში „ლოულესი ირლანდიის წინააღმდეგ“, რომელიც სწორედ, რომ შეტყობინების საკითხს ეხება, ვკითხულობთ, კერძოდ: „ირლანდიის მთავრობამ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ინფორმაცია მიაწოდა 12 დღის შემდეგ, მას შემდეგ რაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. სასამართლომ ჩათვალა, რომ 12 დღის განმავლობაში საქმის წარდგენა საშუალებას აძლევს გენერალურ მდივანს საკმარისი ინფორმაცია მიიღოს განხორციელებულ ზომებსა და მიზეზებზე“.<sup>48</sup> Greek-ის საქმეში გაგზავნილი შეტყობინება გაეროს გენერალური მდივნისადმი ღონისძიებათა გატარების დაწყებიდან 4 თვის შემდეგ ევროპის კომისიამ ხანგრძლივ დაგვიანებად ჩათვალა.<sup>49</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან, ასევე მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს და ყურადღება გამახვილებულ იქნა კანონის ხელმისაწვდომობაზე, კერძოდ საქმეში *Sundy Times V. United Kingdoms* (სანდები თაიმზი გაერთიანებული სახელმწიფოს წინააღმდეგ, 1979 წელი) სასამართლომ აღნიშნა: „კანონი ადეკვატურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს: მოქალაქეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მიიღოს მითითება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ადეკვატური მოცემულ გარემოებებში და რა იურიდიული წესები მოქმედებს მოცემულ შემთხვევაში ... ვერ მოხდება ნორმის განხილვა „კანონის“ დონეზე, თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიზუსტით, რაც საშუალებას აძლევს

---

<sup>47</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 04/11/1950. [shorturl.at/dirR1](http://shorturl.at/dirR1) [30.05.2022].

<sup>48</sup> კობალაძე, ი. ადამიანის უფლებები და თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის პირობებში. „თემიდა“-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. თბილისი. 2010 4(6). გვ:122.

<sup>49</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. 2000წ. 3-4 კვარტალი, გვ:68.

მოქალაქეს დაარეგულიროს საკუთარი ქმედება: მას უნდა შეეძლოს - საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რჩევის საფუძველზე-წინასწარ, არსებული გარემოებების შესაბამისად, განსაზღვროს მოცემული ქმედების შედეგები“.<sup>50</sup> ეს მოთხოვნა კიდევ ერთხელ ხაზს უსმევს განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც ავალდებულებს ქვეყნებს უზრუნველყონ არაოზროვანი, წინასწარგანჭვრეტადი და ხელმისაწვდომი კანონების შექმნა, რომელშიც იქნება გარკვეული თვითგარანტიებიც.

აქვე მინდა შევხო ვენეციის კომისიას „როგორც ევროპის საბჭოს დამოუკიდებელ საკონსულტაციო ორგანოს კონსტიტუციურ საკითხებში, რომელიც პრიორიტეტად დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის პრინციპების განმტკიცებასა და დაცვას მიიჩნევს“.<sup>51</sup> სწორედ ვენეციის კომისიასა ის ორგანიზაცია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობას საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებთან. სწორედ ამიტომ, ვენეციის კომისიამ საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით 2020 წლის 16 აპრილის ანგარიშში აღნიშნა: „სახელმწიფოსა და მისი დემოკრატიული ინსტიტუტების და მისი ოფიციალური პირების და მოსახლეობის უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი საჯარო და კერძო ინტერესები ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად“.<sup>52</sup> ამავე კრებულში ვენეციის კომისია აღნიშნავს და ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს ეროვნულ კანონმდებლობებში, რათა ეროვნული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

## 1) ევროკავშირი

---

<sup>50</sup> კანონის უზენაესობა, სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისთვის. 2012წ. გვ:16 [shorturl.at/ltGX9](http://shorturl.at/ltGX9) [30.05.2022].

<sup>51</sup> რა არის ვენეციის კომისია და რა როლი აქვს მას. <https://on.ge/story/35772> [30.05.2022].

<sup>52</sup> European Commission for the Protection of Democracy through Law (Venice Commission), Collection of Opinions and Reports of the Venice Commission on the State of Emergency, Strasbourg, 16 April 2020. pg:4 [shorturl.at/oqUW1](http://shorturl.at/oqUW1) [30.05.2022].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია არის ევროკავშირი, ის „თავდაპირველად იყო მთავრობათაშორისო ორგანიზაცია ახლა სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია. ამჟამად ვეროპის კავშირში 27 წევრი სახელმწიფოა. მისი შექმნის დასაწყისად მოიაზრება პარიზის 1952 წლის ხელშეკრულება, რომელმაც ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანება დააფუძნა. მისი შექმნა დაეყრდნო თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპს. 1995 წლის 26 მარტიდან ძალაში შევიდა კავშირის შიდა საზღვრების თავისუფალი გადალახვის კანონი, ამავე წელს გერმანიის, საფრანგეთისა და ბენელუქსის სამი ქვეყნის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შენგენის ხელშეკრულებას. ხელშეკრულებას მიუერთდა ავსტრიაც. ევროკავშირის წევრების კანდიდატებისათვის დაწესდა გარკვეული მოთხოვნები: დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანთა უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის სტაბილური ინსტიტუტების არსებობის; ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკის არსებობა და უნარი კონკურენციის პირობებში იარსებონ ევროკავშირის საზღვრებში; უნარი იტვირთონ ევროკავშირის წევრობის პასუხისმგებლობა და კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფულად საკრედიტო სისტემის სრული მხარდაჭერა“.<sup>53</sup>

თავდაპირველად ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არანაირი მინიშნება არ ყოფილა საწყის ხელშეკრულებებში. „არავინ წარმოიდგენდა, რომ ევროპაში ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია გავლენას მოახდენდა ადამიანის უფლებებზე. ევროპის კავშირთან მოქალაქეების დასაახლოვებლად 2000 წელს მიიღეს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია. ქარტია აერთიანებს ადამიანის უფლებებს, რომლებიც დაცულია წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა უნივერსალური ხელშეკრულებებით. 2000 წელს მიღებული ეს ქარტია უბრალო დეკლარაციის ფორმას

---

<sup>53</sup> ლობჟანიძე. გ. ადამიანის უფლებათა სამართალი. თბილისი. 2005წ. გვ:107-108.



ატარებდა, მას არ ჰქონდა სავალდებულო იურიდიული ძალა. მოგვიანებით, ევროპულმა კომისიამ (უმთავრესი ორგანო, რომელიც აყალიბებს ევროკავშირის ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს) განაცხადა, რომ ქარტიის დებულებები დაცული იქნება<sup>.54</sup> „2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ ძირითად უფლებათა ქარტია სავალდებულო გახდა, შედეგად ევროკავშირის ინსტიტუტები ვალდებულები გახდნენ შეესრულებინათ მისი დებულებები. ევროკავშირის ძირითადი სასამართლო ორგანოა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (ECJ) სადაც შესაძლებელია წევრმა ქვეყნებმა მიმართონ დარღვევების შემთხვევაში“<sup>.55</sup> რაც შეეხება „ევროკავშირის სამართალს და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ამჟამად ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო მიუერთდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (ECJ) შთაგონებას იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან, როცა ადგენს ევროკავშირის სამართლით ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებს. ძირითად უფლებათა ქარტიაც ასახავს ევროპულ კონვენციაში ჩამოთვლილ უფლებებს (თუმცა ამ უფლებებით არ შემოიფარგლება). ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადებულია დებულება, რომელიც ევროპის კავშირს ანიჭებს უფლებამოსილებას, საკუთარი სურვილით მიუერთდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. კონვენციის მე-14 დამატებითი ოქმი ამის შესაძლებლობას იძლევა“<sup>.56</sup>

რაც შეეხება საქართველოს „ის არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ მისწრაფვის რათა გახდეს ამ ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრი. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული, კერძო: 2014

---

<sup>54</sup> სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, გვ:17. [shorturl.at/HXYZ8](http://shorturl.at/HXYZ8) [30.05.2022].

<sup>55</sup> სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ. ევროპის საბჭო. 2013წ. გვ:18. [shorturl.at/HXYZ8](http://shorturl.at/HXYZ8) [30.05.2022].

<sup>56</sup> სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ. გვ:19-20. [shorturl.at/HXYZ8](http://shorturl.at/HXYZ8) [30.05.2022].

წლის 27 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, საქართველოს პარლამენტმა კი მისი რატიფიკაცია მოახდინა 2014 წლის 17 ივლისს<sup>.57</sup> ევროკავშირი ცნობს საქართველოს მისწრაფებებს და მიიჩნევს, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას ევროპაში“.<sup>58</sup> საქართველო იზიარებს ძირითად უფლებათა ქარტიის სტანდარტებს, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის დროსაც.

ევროკავშირის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია ის დებულებულებები, რომელსაც ევროკავშირი ეფუძნება, „ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, კანონის უზენაესობის პატივისცემა, აგრეთვე, ადამიანის უფლებების პატივისცემა, ეს ფასეულობები საერთოა წევრი სახელმწიფოებისთვის ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს პლურალიზმი, დისკრიმინაციის არარსებობა, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და მამაკაცებისა და ქალების თანასწორობა“, „ევროკავშირის მიზანია მშვიდობის, მისი ფასეულობებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისათვის კეთილდღეობის დამკვიდრების ხელშეწყობა“.<sup>59</sup>

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით ევროპარლამენტმა 2020 წლის 17 აპრილს მიიღო რეზოლუცია სადაც წევრ ქვეყნებს მოუწოდა „გაატარონ მხოლოდ აუცილებელი, კოორდინირებული და პროპორციული ღონისძიებები გადაადგილების შეზღუდვის ან შიდა საზღვრების კონტროლის შემოღებისას. საგანგებო მდგომარეობის დროს გატარებული ყველა ღონისძიება უნდა აღდგეს, როგორც კი ეს მიზანშეწონილად

---

<sup>57</sup> შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ. გვ:1 [shorturl.at/ghAL5](http://shorturl.at/ghAL5) [30.05.2022].

<sup>58</sup> გეფერტიე, დ. ხაზალია, ა. თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. თბილისი. გამომცემლობა „მერედიანი“. 2020წ. გვ:364.

<sup>59</sup> ევროპის კონსტიტუცია. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მიერ მიღებული კონსტიტუცია, ახსნა-განმარტებები მოქალაქეებისათვის. 2004წ. გვ:8 [shorturl.at/buQY4](http://shorturl.at/buQY4) [30.05.2022].

ჩაითვლება. ევროპარლამენტი ხაზს უსვამს საგანგებო ღონისძიების კონტექსტში ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიისა და კანონის უზენაესობის დაცვას, ხელისუფლებამ კი უნდა უზრუნველყოს ის, რომ ყველა იყოს თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფილი. ეროვნულ ან ევროკავშირის დონეზე გატარებული ყველა ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას, უნდა იყოს მკაცრად პროპორციული საჭიროებებისადმი, მკაფიოდ დაკავშირებული ჯანმრთელობის არსებულ კრიზისთან, დროში შეზღუდული და რეგულარულ კონტროლს დაქვემდებარებული“.<sup>60</sup>

მიმდინარე კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებით ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა, რომ „ევროკავშირი დაფუძნებულია თავისუფლების, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის ღირებულებებზე. ეს ღირებულებები ყველა ჩვენგანისთვისაა საერთო. ჩვენ უნდა დავიცვათ ისინი ყველაზე რთულ დროსაც კი“.<sup>61</sup> ევროკავშირის პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა გასატარებელ ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ „ნებისმიერი გადაუდებელი ღონისძიება უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია და იყოს მკაცრად პროპორციული, ისინი არ უნდა გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, უფრო მეტიც, მთავრობები უნდა დარწმუნდნენ, რომ ასეთი ზომები ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას“.<sup>62</sup> ევროკავშირის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ინსტიტუტმა ევროპარლამენტმა კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „მიღებული ზომები უნდა იყოს მკაცრად პროპორციული აუცილებლობის

---

<sup>60</sup> ნაკაშიძე, მ. ადამიანის უფლება დაცვა და კოვიდ-19-პანდემია, სტატიათა კრებული. ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში: ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა. თბილისი. 2021წ. გვ:187-188. <http://ewmi-prolog.org/images/files/1230Emergency-Final-02.06.21..pdf> [30.05.2022].

<sup>61</sup> Statement by President Von der leyen on emergency measures in member states. 2020, 31 March. [shorturl.at/iGQX6](http://shorturl.at/iGQX6) [30.05.2022].

<sup>62</sup> Statement by President Von der leyen on emergency measures in member states.(2021March). [shorturl.at/iGQX6](http://shorturl.at/iGQX6) [30.05.2022].

მიმართ, აშკარად დაკავშირებული მიმდინარე ჯანმრთელობის კრიზისთან, დროში შეზღუდული და რეგულარულ შემოწმებას დაქვემდებარებული“.<sup>63</sup> ევროპარლამენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა „საპარლამენტო და სასამართლო კონტროლის აუცილებლობაზე, როგორც ის ორგანოები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ საგანგებო უფლებამოსილების გადამეტებული გამოყენების თავიდან აცილებაში და მიღებული სპეციალური ზომების ადეკვატურობისა და პროპორციულობის უზრუნველსაყოფათ. სასამართლო ზედამხედველობა რჩება გადამწყვეტი მნიშვნელობის, მიღებული ზომების კანონიერების, აუცილებლობის და პროპორციულობის უზრუნველსაყოფათ“.<sup>64</sup>

## 1) ეუთო

ეუთო წარმოადგენს „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის (ეუთო) სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციას, რომელიც შედგება 57 წევრისგან. იგი წარმოადგენს ფორუმს პოლიტიკური დიალოგისთვის უსაფრთხოების მთელ რიგ საკითხებზე. ეუთოს მიდგომა უსაფრთხოების საკითხებში მოიცავს პოლიტიკურ-სამხედრო, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და ადამიანურ განზომილებებს. იგი ხელს უწყობს განსხვავებული პოზიციების შერიგებას და ნდობის აღდგენას. მისი საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: შეიარაღების კონტროლი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კარგი მმართველობა, ენერგოუსაფრთხოება, ადამიანებით ვაჭრობის აღმოფხვრა, დემოკრატიზაცია, მედიის თავისუფლება და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები“.<sup>65</sup> საქართველო ამ ორგანიზაციის წევრი გახდა 1999 წლის 24 მარტს.<sup>66</sup> ეუთოს საქმიანობა ასევე საინტერესოა ადამიანის

<sup>63</sup> State of emergency in response to the coronavirus crisis. 2020 December.pg:10 [shorturl.at/jmEYZ](https://shorturl.at/jmEYZ) [30.05.2022].

<sup>64</sup> State of emergency in response to the coronavirus crisis. 2020 December. pg:10 [shorturl.at/jmEYZ](https://shorturl.at/jmEYZ) [30.05.2022].

<sup>65</sup> უსაფრთხოების სექტორში დემოკრატიის ზედამხედველობა. ეუთო. გვ:1 [shorturl.at/gmwHO](https://shorturl.at/gmwHO) [30.05.2022].

<sup>66</sup> საქართველო-ეუთო 2018. გვ:1. [shorturl.at/InoUY](https://shorturl.at/InoUY) [30.05.2022].

უფლებათა სფეროში, რომელიც მოიცავს „შუამავლობას, მოლაპარაკებას და ფაქტების დადგენის მრავალსაფეხურებრივ პროცესს, რაც ასევე გულისხმობს ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებს, ექსპერტთა და მომხსენებელთა მისიების დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ხელშეწყობით“.<sup>67</sup>

ეუთოს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, რომელიც არის საყურადღებო და მნიშვნელოვანი. ეუთომ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებებზე საგანგებო მდგომარეობის დროს და აღნიშნა, რომ „ის უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ანუ იყოს კანონით განსაზღვრული, როგორც ასეთი იყოს მკაფიო, ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც ასეთი უპასუხოს მწვავე სოციალურ საჭიროებებს და იყოს დასახული მიზმის პროპორციული, იყოს არადისკრიმინაციული“.<sup>68</sup>

## დასკვნა

როგორც დავინახეთ საერთაშორისო სტანდარტები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით დროსთან ერთად იხვეწებოდა და ვითარდება, ის არის დინამური პროცესი, შესაბამისი ცვლილები კი ასახვას ჰპოვებს ეროვნულ კონსტიტუციებში, ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციამაც საინტერესო ეტაპები განვლო. თუ გადავხედავთ ადამიანთა უფლებების განვითარების ისტორიას, ამ სტანდარტების ცვლილება აშკარაა. წარმოდგენილი ნაშრომი კიდევ ერთხელ ხაზს უსმევს საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობას, წარმოაჩენს არა მარტო არსებულს, არამედ მიმდინარე სტანდარტების განვითარების საინტერესო საკითხებსა და ტენდენციებს. სისტემური ანალიზისა და სისტემური მიდგომით კარგად

<sup>67</sup> ლობჟანიძე, გ. ადამიანის უფლებათა სამართალი. თბილისი. 2005წ. გვ:113

<sup>68</sup> OSCE Human Dimension Commitments and State Responses to the Covid-19 Pandemic. 2020. pg:24. [shorturl.at/tvS18](https://shorturl.at/tvS18) [30.05.2022].

ჩანს, რომ ვერც მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა ან მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტები უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას საგანგებო მდგომარეობის დროს, არამედ მხოლოდ ერთობლივი, შეთანხმებული და კარგად კოორდინირებული მექანიზმები არის გარანტი საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა სრულყოფილი დაცვის. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად გარკვეული ფასეულობების დაცვა და განმტკიცება, რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომლის შენარჩუნებაზეც ძალიან დიდი ძალისხმევა იხარჯება, კარგად ჩანს წარმოდგენილ ნაშრომში. მსოფლიო ცივილური საზოგადოება არა ერთხელ დამდგარა და დგას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების მნიშვნელოვანი დარღვევების წინაშე, რაც მიმდინარე კოვიდ-19-ის პანდემიის ფონზეც კარგად წარმოჩინდა, შესაბამისად საერთაშორისო სტანდარტების როლი და მნიშვნელობა კვლავ აქტუალური გახდა.

## 1.2 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება

სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოების უმეტესობა დღეისათვის „იცავს და აღიარებს ადამიანის უფლებებს. ყველა დემოკრატიულ ქვეყნებს აქვთ როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა შექმნას შესაბამისი გარემო და კანონები, რათა შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლებათა დაცვა, ნეგატიური ვალდებულება კი სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას არ ჩაერიოს ადამიანის უფლებებში“.<sup>69</sup>

საქართველოს კონსტიტუცია ქმნის მყარ საფუძვლებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. „მიუხედავად იმისა, რომ ევროპის არაერთი ქვეყნის კონსტიტუციაში განმტკიცდა ადამიანის ძირითადი უფლებები,

---

<sup>69</sup> ქუეჩიშვილი, ხ. სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები და საჯარო მმართველობა. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“. N2(46) 2018. გვ:84 shorturl.at/bBD36 [30.05.2022].

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე მათ არ ჰქონიათ მოქმედი სამართლის მნიშვნელობა. შეუძლებელი იყო ძირითადი უფლებით საჯარო ხელისუფლების სამართლებრივი შებოჭვა; არ არსებობდა კონსტიტუციური მართლმსაჯულება, რომელიც ძირითად უფლებათა სამართლებრივ განხორციელებას უზრუნველყოფდა. ძირითად უფლებებს არ ჰქონდა ნორმატიულ ბუნება, ისინი, ძირითადად, პროგრამული და დეკლარირებული ხასიათის იყო.<sup>70</sup> დღევანდელი, მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას სახელმწიფო და ხალხი შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.<sup>71</sup> „ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულებას ყველაზე უკეთ ძირითადი უფლებების კლასიკური ფუნქციები გამოხატავს. ესენია: თავდაცვითი, მფარველობითი და თანამონაწილეობითი. თავდაცვითი ფუნქცია სახელმწიფოს ავალდებულებს ინდივიდის კონსტიტუციურად გარანტირებული თავისუფლებების ხელშეუხებლობას. სწორედ ეს კლასიკური ფუნქცია უდევს საფუძვლად ძირითად უფლებებს, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ბოჭავს. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, არ შელახოს ადამიანის უფლებები. მასში ჩარევის შემთხვევაში, პიროვნება უზრუნველყოფილია სამართლებრივი თავდაცვის შესაძლებლობით”.<sup>72</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებაა აღიაროს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, შექმნას უფლებებით სარგებლობის საკმარისი გარანტიები და ეფექტურად, სრულყოფილად დაიცვას ისინი.

---

<sup>70</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი II, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013. გვ:9 [shorturl.at/opLNY](http://shorturl.at/opLNY) [30.05.2022].

<sup>71</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4. [shorturl.at/IIM06](http://shorturl.at/IIM06) [30.05.2022].

<sup>72</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი II, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013. გვ:14-15 [shorturl.at/bfnxV](http://shorturl.at/bfnxV) [30.05.2022].

უფლებათა თავდაცვითი ფუნქცია (status negativus) სახელმწიფოსგან მოითხოვს ნეგატიურ ვალდებულებას. კერძოდ: უფლებების ნაწილი, რელიზაციისათვის სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება არ ჩაერიოს ადამიანის ამ თავისუფლებაში, ხელი არ შეუშალოს უფლებით სარგებლობის პროცესში. მაგალითად, ასეთია საკუთრების უფლება, აზრისა და გამოხატვის, რელიგიის თავისუფლებები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება<sup>.73</sup> რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას (status pozitivus) „იგი აკისრებს სახელმწიფოს მეტი აქტიურობის ვალდებულებას, ჩართულობას და უზრუნველყოფელი გარანტიების შექმნის აუცილებლობას, რათა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობილი და გარანტირებული იყოს ამა თუ იმ უფლების სარგებლობის პროცესი. თუმცა არის ისეთი უფლებები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს თანაბარ მოქმედებას“<sup>.74</sup>

„დღეს უფრო მეტად, ვიდრე უწინ, სახელმწიფოს ტრადიციულ მოთხოვნებს იყოს პასიური, ემატება მოთხოვნა სახელმწიფომ იმოქმედოს და ეს მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან იღებს პოზიტიური ვალდებულების ფორმას, ვალდებულებისა, განახორციელონ პრაქტიკული ან სამართლებრივი ზომები, რომელთა მიზანი იქნება კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების ქმედითი დაცვის გარანტირება. პოზიტიური ვალდებულებები შეიძლება იყოს ქმედითი ან პროპორციული“<sup>.75</sup> „პირველი ტიპის ვალდებულებები სახელმწიფოსაგან მოითხოვს ქმედითი ზომების განხორციელებას და გარკვეულ შემთვევებში

---

<sup>73</sup> გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩხილაძე, გ., ჭილაძე, ნ. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2016წ. გვ:175

<sup>74</sup> გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩხილაძე, გ., ჭილაძე, ნ. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2016წ. გვ:177

<sup>75</sup> ფრანსუაზ ტულკენსი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ორმოცდაათი წლისაა. ბოლოდროინდელი მიმართულებები სასამართლოს იურისპრუდენციაში. ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“. ივლისი 2010წ, N3. გვ:5

<sup>62</sup> იქვე, გვ:5-6



იგი მოიცავს ვალდებულებას განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები. ამ მხრივ საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომელიც პირველი გადაწყვეტილებაა სადაც სასამართლომ ყურადღება გაამარხვია სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას დანაშაულის მსხვერპლი, რის გამოც სახელმწიფოს უნდა სცოდნოდა ან იცოდა, იმ დროს კონკრეტული პირის ან პირების სიცოცხლისათვის მესამე მხარის მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. გადაწყვეტილება საინტერესოა, რამეთუ აქ სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლთან მიმართებაში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.<sup>76</sup> რაც შეეხება მეორე ტიპის ვალდებულებას, ის გულისხმობს „რათა სახელმწიფოებმა დააწესონ შიდა პროცედურები კონვენციის შესაბამისად დაცვის ან კომპენსაციის უზრუნველსაყოფად. ევროპული სასამართლო ძალიან ხშირად ბოლო დროს ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პროცედურულ მოთხოვნებს. ევროპული სასამართლოს 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების დროს ყურადღება გამახვილდა პროცედურულ საკითხებზე, საქმეში „სლიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა პროცედურული დარღვევები და აღნიშნა, რომ გარდაცვლილი პირის უახლოესი ნათესავები არ უნდა იყოს ვალდებული, საკუთარი ინიციატივით შეიტანოს ოფიციალური საჩივარი ან იკისროს პასუხისმგებლობა საგამომიებო ქმედებებზე. მე-2 მუხლი მოითხოვს, რომ გარდაცვლილის უახლოესი ნათესავი ავტომატურად იქნეს ჩართული სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ოფიციალურ გამოძიებაში“.<sup>77</sup>

---

<sup>76</sup> იქვე, გვ:5-6

<sup>77</sup>ფრანსუაზ ტულკენსი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ორმოცდაათი წლისაა. ბოლოდროინდელი მიმართულებები სასამართლოს იურისპრუდენციაში. ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“. ივლისი 2010წ, N3. გვ:6-7.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ევროპის საბჭოზე და ზოგადად ევროპულ კონვენციაზე, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ „სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რაც განიმარტება შემდეგნაირად, რომ ევროპული კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების და თავისუფლებების დარღვევისაგან, არამედ უზრუნველყონ მისი დაცვა, თუ ეს უფლებები დაირღვა სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა“.<sup>78</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „პოზიტიური ვალდებულება გამომდინარეობს კონვენციის მე-2, მე-3, მე-8 და მე-11 მუხლებიდან. პოზიტიური ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კონვენციის სხვადასხვა დებულებების საფუძველზე“.<sup>79</sup> პოზიტიური ვალდებულების საუკეთესო მაგალითია ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე. „1988 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ავსტრიის წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი (საქმე-პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ (Plattform „Ärzte für das Leben“ v. Austria), რომელიც ეხებოდა შეკრების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი). ევროპულ სასამართლოში ავსტრიის ექიმთა ასოციაციამ შეიტანა განაცხადი, რომელიც აბორტის საწინააღმდეგო კამპანიას ეწეოდა. განაცხადი ეხებოდა ასოციაციის ორ დემონსტრაციას, რომელთა ჩატარებას ხელი შეუშალა ამ კომპანიის

---

<sup>78</sup>კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. თებერვალი. გვ:28. [shorturl.at/ipqR5](http://shorturl.at/ipqR5) [30.05.2022].

<sup>79</sup>კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. თებერვალი. გვ:28. [shorturl.at/ipqR5](http://shorturl.at/ipqR5) [30.05.2022].

მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა. ასოციაციის წევრთა პირველი დემონსტრაციის დროს აბორტის მომხრეებმა ხელი შეუშალეს დემონსტრაციას, რისთვისაც გამოიყენეს ხმის გამაძლიერებლები და დემონსტრანტებს კვერცხები დაუშინეს. პოლიციელები, რომლებიც ესწრებოდნენ ამ დემონსტრაციას, დაპირისპირებაში ჩაერივნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეებს შორის ურთიერთობა გამწვავდა და შეიქმნა ფიზიკურ ძალადობაში მისი გადაზრდის რეალური საფრთხე. აბორტის მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა ასე შეუშალა ხელი ასოციაციის მეორე დემონსტრაციას. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი, ეფექტიანი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ჩაურევლობის მოვალეობით: სახელმწიფოს როლის წმინდა ნეგატიური კონცეფცია შეუთავსებელი იქნება მე-11 მუხლის ობიექტსა და მიზანთან. მე-11 მუხლი ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვს პოზიტიური ღონისძიების გატარებას, ინდივიდებს შორის ურთიერთობების სფეროშიც კი, თუ არსებობს ამის საჭიროება“.<sup>80</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება კარგად ჩანს და იკვეთება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების კონტექსტში, როდესაც სახელმწიფოებს ეძლევათ ფართო უფლებამოსილება თავად განსაზღვრონ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, თუმცა იქვე მათ ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ ამ დროს ადამიანის უფლებათა დაცვა, რათა ამავდროულად არ მოხდეს ადამიანის უფლებებში საჭიროზე მეტად ჩარევა. ამ კონტექსტში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით საინტერესოა დოქტორ ქსენონის აზრი, ის ამბობს, რომ „სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებაა უზრუნველყოს ადეკვატური სამართლებრივი და ადმინისტრაციული

---

<sup>80</sup>კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. თებერვალი. გვ:28. [shorturl.at/ipqR5](http://shorturl.at/ipqR5) [30.05.2022].

სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც მინიმუმ პრევენციულ დაცვას და ადეკვატურ საშუალებებს დარღვევების შემთხვევაში<sup>81</sup>.

---

<sup>81</sup> Dimitris xenos „the positive obligations of the state under the european Convention of human Rights”, pg:28

## 2 თავი: საგანგებო და საომარი მდგომარეობა

### 2.1 განსხვავება საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის საერთაშორისო აქტებსა და ეროვნულ კანონმდებლობაში

„ნებისმიერმა ქვეყანამ შეიძლება განიცადოს ომი, შეჭრა, შეიარაღებული აჯანყებები და თავდასხმები, სტიქიური უბედურებები, სამოქალაქო ომები, ეპიდემიები და სხვა კატასტროფები. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს დემოკრატიული კონსტიტუციების უმრავლესობა მოიცავს საგანგებო დებულებებს, რომლებიც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, გადაუდებელ აუცილებლობად მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული უსაფრთხოება, დაიცვან მოქალაქეების სიცოცხლე და ქონება, შეინარჩუნონ საზოგადოებრივი სერვისები და ზოგადად აღადგინონ ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირება. სწორედ საგანგებო დებულებები ნებას რთავს ხელისუფლებას ქვეყანაში „შეზღუდოს“ ან „შეაჩეროს“ გარკვეული უფლებები და მეტიც, ახლებურად განსაზღვროს ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებებიც“.<sup>82</sup>

იმის გამო, რომ ზოგადად საგანგებო და საომარი მდგომარეობა არის ის მდგომარეობა, რომელიც თავისი არსით სახიფათოა და მიდრეკილია მეტი კრიზისული ვითარების შექმნისაკენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძებს ბალანსისა და გაწონასწორების მექანიზმის არსებობა. მოგეხსენებათ, რომ სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ეს არის ძალთა ბალანსის დაცვა საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, საგანგებო მდგომარეობის დროს კი ხდება ამ დადგენილი ბალანსის შეცვლა აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოთ.

საგანგებო მდგომარეობის არსთან დაკავშირებით არის აზრთა სხვადასხვაობა, ჯერ კიდევ კარლ შმიდტი თავის წიგნში „პოლიტიკური თეოლოგია“ (Politische Theologie) აღნიშნავდა, რომ არ არსებობს ერთიანი

---

<sup>82</sup> ხავთასი, ლ. საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები. სამაგისტრო ნაშრომი თსუ. თბილისი 2019 წ. გვ:6 [shorturl.at/begkR](http://shorturl.at/begkR) [30.05.2022].

თეორია საგანგებო მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან ტერმინი პოლიტიკისა და სამართლის მიჯნაზე მდებარეობს, რთული ხდება მისი განსაზღვრაც კი. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად საგანგებო მდგომარეობა წარმოადგენს „მიჯნას, რომელზეც საჯარო სამართალსა და პოლიტიკურ ფაქტს შორის არსებული ბალანსი ირღვევა“.<sup>83</sup> „ცივილიზებული სახელმწიფოები მიისწრაფიან რათა ჩამოაყალიბონ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, ამისთვის აუცილებელ პირობას კი წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლება დანაწილებული უნდა იყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ხელისუფლების დანაწილება მოითხოვს შტოებს შორის გაწონასწორებისა და კონტროლის მექანიზმების არსებობას, რომელიც განმტკიცებული უნდა იქნეს ქვეყნის უმაღლესი კანონით „კონსტიტუციით“.<sup>84</sup>

საგანგებო და საომარი მდგომარეობა თავისი არსით სახიფათო მოვლენაა რადგან, მისი არსებითი მახასიათებელი-საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებას შორის განსხვავების დროებითი გაუქმება-მმართველობის უცვლელ პარადიგმად შეიძლება ჩამოყალიბდეს.<sup>85</sup> ამ მოცემულობაში რთულია ძალთა ბალანსის დაცვა, ანუ პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.<sup>86</sup> საგანგებო მდგომარეობის სირთულეზე საუბრობს ასევე ექსესის უნივერსიტეტის პროფესორი სკოტ პ. შირანი თუ

---

<sup>83</sup> ჯორჯო აგამბენი. საგანგებო მდგომარეობა. თარგმანი: ნინო მიქაშავიძე. გვ:1 [shorturl.at/bsvNQ](https://shorturl.at/bsvNQ) [30.05.2022].

<sup>84</sup> გულიაშვილი, ბ. ხელისუფლების დანაწილების პრინციპები და საკონსტიტუციო სასამართლო. სამართლის სამაგისტრო პროგრამა. თბილისი 2019წ. გვ:3 [shorturl.at/bhtuF](https://shorturl.at/bhtuF) [30.05.2022].

<sup>85</sup> ჯორჯო აგამბენი. საგანგებო მდგომარეობა. თარგმანი: ნინო მიქაშავიძე. გვ:8 [shorturl.at/bsvNQ](https://shorturl.at/bsvNQ) [30.05.2022].

<sup>86</sup> anna khakee-securing democracy? A comparative analysis of emergency powers in Europe, geneva centre for the democratic control of armed forces (DCAF) policy paper-N30. 2009. pg:6 [shorturl.at/AELQX](https://shorturl.at/AELQX) [30.05.2022].

როგორ უნდა შეთავსდეს თეორია და პრაქტიკა, რათა უკეთ იყოს დაცული ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის რეგრესული ბუნებისგან.<sup>87</sup>

თანდათანობით საგანგებო მდგომარეობა ჩამოყალიბდა როგორც უსაფრთხოების პარადიგმა, მას შემდეგ რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა დეგოლმა 1961 წლის აპრილში, ალჟირის კრიზისის პერიოდში გამოიყენა მე-16 მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ხელისუფლების ფუნქციონირება არ შეწყვეტილა. მას შემდეგ მე-16 მუხლი არ გამოუყენებიათ.<sup>88</sup> საგანგებო სიტუაციები თავის მხრივ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის: ერთის მხრივ საგანგებო მდგომარეობის დაძლევა და ქვეყანაში წესრიგის აღდგენა, ამავე დროს ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა.<sup>89</sup>

კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ „ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა არის სამართალი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებაში წესრიგისა და თავისუფლების ჰარმონიული თანაარსებობის უზრუნველყოფა. ამ სოციალურ მიზანს ყველაზე მეტად ემსახურება სამართლის ის ნაწილი, რომელსაც კონსტიტუციურ სამართალს ან სახელმწიფო სამართალს უწოდებენ. შესაბამისად საგანგებო და საომარი მდგომარეობის სამართლებრივი რეგულირების ნაწილი სწორედ კონსტიტუციაში უნდა ვეძებოთ“.<sup>90</sup>

საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად ძირითად საკანონმდებლო ჩარჩოს საგანგებო და საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით ქმნის

---

<sup>87</sup> Scott P. Sheeran-Reconceptualizing States of Emergency under International Human Rights Law: Theory, Legal Doctrine, and Politics-michigan journal of international law, 2013, issue 3. pg:3. [shorturl.at/eRW45](http://shorturl.at/eRW45) [30.05.2022].

<sup>88</sup> ჯორჯო აგამბენი. საგანგებო მდგომარეობა. თარგმანი: ნინო მიქაშავიძე. გვ:15. [shorturl.at/suEF3](http://shorturl.at/suEF3) [30.05.2022].

<sup>89</sup> Mohamed M. EL ZEIDY-The ECHR and States of Emergency: Article 15-A Domestic Power of Derogation from Human Rights Obligations. 2003. pg:2 [shorturl.at/bhWH8](http://shorturl.at/bhWH8) [30.05.2022].

<sup>90</sup> დემეტრაშვილი, ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, თბილისი 2005წ. გვ:13 [shorturl.at/bkxFU](http://shorturl.at/bkxFU) [30.05.2022].

საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“<sup>91</sup> საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“<sup>92</sup> და „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი“<sup>93</sup>, „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მე-4 მუხლი.<sup>94</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, რომლის მე-7 მუხლმაც კი საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება აღიარა საქართველოს ნორმატიულ აქტად და განსაზღვრა მისი ადგილი საქართველოს მოქმედი სამართლებრივი ნორმების იერარქიაში, რამეთუ საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებულია საერთაშორისო სამართლის პრიმატი.<sup>95</sup> „კონსტიტუციები აფუძნებენ და ბოჭავენ ხელისუფლებას, ცალკეული ორგანოების კომპეტენციების გამიჯვნისა და ურთიერთკონტროლის მექანიზმების შემგვობით“.<sup>96</sup> „კონსტიტუციაა ის მთავარი მექანიზმი, რომელიც თავად უნდა იყოს ზოგადად კონსტიტუციის იდეის, მიზნის, სულისკვეთების ადეკვატური, დაფუძნებული სწორად შერჩეულ ღირებულებათა სისტემაზე, რადგან მხოლოდ ასეთი კონსტიტუციის ერთგულებით, შესაბამისად შექმნილი სამართალი იქნება ვარგისი ინსტრუმენტი სახელმწიფოს ადამიანის თავისუფლების სამსახურში ჩასაყენებლად“.<sup>97</sup> „თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში ძალაუფლების დაბალანსება მიიღწევა ხელისუფლების დანაწილების გზით. ხელისუფლების დანაწილება აწონასწორებს, აბალანსებს და

---

<sup>91</sup> საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, 17/10/1997, [shorturl.at/yNSVX](http://shorturl.at/yNSVX) [30.05.2022].

<sup>92</sup> საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“, 31/10/1997. [shorturl.at/mqEI7](http://shorturl.at/mqEI7) [30.05.2022].

<sup>93</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 15. [shorturl.at/dfp17](http://shorturl.at/dfp17) [30.05.2022].

<sup>94</sup> საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 16/11/1966, მუხლი 4. [shorturl.at/rDGTW](http://shorturl.at/rDGTW) [30.05.2022].

<sup>95</sup> საქართველოს ორგანული „კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“, 22/10/2009, მუხლი 7. [shorturl.at/AFKN7](http://shorturl.at/AFKN7) [30.05.2022].

<sup>96</sup> ლომთათიძე, ე. საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში? 2016წ. გვ:175. [shorturl.at/aoNOS](http://shorturl.at/aoNOS) [30.05.2022].

<sup>97</sup> გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩილაძე, გ., ჭილაძე ნ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2017 წ. გვ:16



ურთიერთკონტროლის საშუალებას აძლევს სამივე ხელისუფლებას. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ემსახურება სახელმწიფო საქმიანობის რაციონალიზაციას. ხელისუფლების ორგანოთა გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვის მიზანს. თუ ადამიანის უფლებებს დაემუქრება საფრთხე ხელისუფლების რომელიმე შტოს მხრიდან, მაშინ უნდა ჩაერთოს კანონის უზენაესობა. კანონი და ადამიანის უფლებები ვერ იქნება თანაბარი რანგის. ამ შემთხვევაში, ადამიანის უფლებები უფრო პრიორიტეტულია“.<sup>98</sup>

არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ საქართველო არ არის იზოლირებული ქვეყანა, საქართველოს კონსტიტუციის მე-4(5) ამბობს, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“.<sup>99</sup> უფრო მეტიც, კონსტიტუცია ასევე აღნიშნავს, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.<sup>100</sup> ამ კონტექსტში უმჯობესი იქნება არსებული საგანგებო და საომარი მდგომარეობა განვიხილოთ ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ანალიზის მიხედვით.

კონსტიტუციაში საგანგებო და საომარი მდგომარეობის დებულებებთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია კონსტიტუციის 71-ე მუხლში, თუმცა მკვეთრი დეფინიცია საგანგებო და საომარ მდგომარეობის შორის არ არსებობს, შესაბამისად „საგანგებო მდგომარეობის განსაზღვრას ხელს უშლის მისი კავშირი სამოქალაქო ომთან, აჯანყებასა და წინააღმდეგობასთან. იმისთვის, რომ ზუსტად გავიაზროთ რა არის საომარი მდგომარეობა უნდა განისაზღვროს ის თუ რა ითვლება ომად. ომი ეს არის ერთი სახელმწიფოს თავდასხმა მეორეზე, ხოლო საომარ მდგომარეობად

<sup>98</sup> ხუბუა, გ. საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი. 2016წ. გვ:105 [shorturl.at/BMOUW](http://shorturl.at/BMOUW) [30.05.2022].

<sup>99</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4(5). [shorturl.at/ikn35](http://shorturl.at/ikn35) [30.05.2022].

<sup>100</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4(5). [shorturl.at/ikn35](http://shorturl.at/ikn35) [30.05.2022].

ითვლება ქვეყანაში შექმნილი ვითარება, როდესაც ქვეყანაში შემოჭრილია უცხო სახელმწიფო ან არსებობს ამის რეალური საფრთხე. ომის მდგომარეობა მოიცავს იარაღის, სამხედრო ორგანიზაციისა და ჯარისკაცების გამოყენებას და შესაძლებელია შეიქმნას სამხედრო სასამართლოებიც. ომად ითვლება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის და შეიარაღებული კონფლიქტები მთავრობასა და გარკვეულ ჯგუფებს შორის. ამ უკანასკნელში კი შესაძლებელია მოვიაზროთ სამოქალაქო ომიც, როგორც ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით არსებულ დაპირისპირებულ ძალებს შორის სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. სამოქალაქო ომი დროში გაწელილი პროცესია და იგი განსხვავდება სახელმწიფო გადატრიალებისგან, რომელიც ჩვეულებრივ დროის მოკლე მონაკვეთში ხდება<sup>101</sup>. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ომი აკრძალულია, უფრო მეტიც იგი კრძალავს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარას. სახელმწიფოები ვალდებული არიან ყველა სიტუაციაში მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ ნებისმიერი უთანხმოება. სახელმწიფო რომელიც შეეცდება ძალის გამოყენებას მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი მოქმედება შეფასდება როგორც აგრესია“<sup>102</sup>. 1928 წლის 27 აგვისტოს დასავლეთის ქვეყნებმა დადეს ე.წ. ბრიან-ელოვის პაქტი, რომლითაც უარი თქვეს ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე,<sup>103</sup> მაგრამ, გაეროს წესდება არ კრძალავს ძალის გამოყენებას მაშინ, როდესაც მას თავს ესხმიან და იძულებულია თავი დაიცვას. ამგვარად მოქმედი საერთაშორისო სამართალი კრძალავს საომარ

<sup>101</sup> ხავთასი, ლ. საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები. სამაგისტრო ნაშრომი თსუ. თბილისი 2019 წ. გვ:10-11 [shorturl.at/acCDR](http://shorturl.at/acCDR) [30.05.2022].

<sup>102</sup> ჰანს-პიტერ გასერი. „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“. თბილისი. 1999წ. გვ:11-12

<sup>103</sup> ალექსიძე, ლ. „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“. თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015წ. გვ:49

მოქმედებებს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფო მიმართავს აგრესიისაგან დაცვის უფლებას.<sup>104</sup>

კონსტიტუციით მოხსენიებული მოქმედება, რომელიც „საქართველოში საომარი მდგომარეობის გამოცხადებას იწვევს, „ცალხმრივი ხასიათისაა“ იმ თვალსაზრისით, რომ საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. ეს გამორიცხავს საქართველოს მიერ სხვა სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებას. ხსენებული დებულების ცალხმრივი ხასიათი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, იკრძალება სხვა სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა”.<sup>105</sup> მსგავსი შინაარსის დებულება დევს საქართველოს კანონში „საომარი მდგომარეობის შესახებ“, მის პირველ მუხლში წერია „საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონით საომარი მდგომარეობის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას“,<sup>106</sup> თუმცა არ არის დაზუსტებული რა იგულისხმება თავდასხმაში, უცხო სახელმწიფოს თავდასხმა თუ რომელიმე შეიარაღებული ჯგუფის. ამიტომ სასურველი იქნება, თუ მზგავსი დეფინიცია აღნიშნული იქნება კონსტიტუციაში. „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საგანგებო

---

<sup>104</sup> ჰანს-ჰიტერ გასერი. „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“. თბილისი. 1999წ. გვ:12

<sup>105</sup> კორკელია, ვ. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“. N3/4, 2000წ. გვ:70-71.

<sup>106</sup> საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“, 31/10/1997, მუხლი 1. [shorturl.at/vBFWZ](http://shorturl.at/vBFWZ) [30.05.2022].

მდგომარეობა ცხადდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება საფრთხე, ასევე შეიარაღებული ამბოხების და სამხედრო გადატრიალების რაც შესაძლებელია განხორცილდეს საომარი მდგომარეობის დროსაც შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. შეიარაღებულმა ამბოხებამ, ასევე სამხედრო გადატრიალებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია საერთაშორისო სამართლით აგრესიული ომი აკრძალულია, ერთი სახელმწიფოს თავდასხმა მეორეზე, ამიტომ კონსტიტუციების უმეტესობა უარს ამბობს აგრესიულ ომზე, თუმცა იტოვებენ უფლებას ჰქონდეთ სათანადო რეაგირება ნებისმიერ აგრესიაზე. მაგალითად, ესტონეთის კონსტიტუციით საომარი მდგომარეობა ცხადდება ესტონეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შემთხვევაში,<sup>107</sup> ლატვიის კონსტიტუცია საომარი მდგომარეობას აცხადებს, როგორც გარეშე მტრის საფრთხის შემთხვევაში, ასევე შიდა ამბოხების დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის არსებულ პოლიტიკურ სისტემას, ან სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში არსებობს წარმოშობის საშიშროება.<sup>108</sup> საბერძნეთის კონსტიტუციის მიხედვით კი საომარი მდგომარეობა ცხადდება საგარეო საფრთხით გამოიწვეული ომის ან მობილიზაციის ან ეროვნული უსაფრთხოების მიმართ პირდაპირი საშიშროების არსებობისას, ასევე დემოკრატიული წყობილების დასამხობად შეიარაღებული ამბოხების შემთხვევაში,<sup>109</sup> ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, რომ საომარი მდგომარეობა გამოცხადდეს საქართველოზე უცხო სახელმწიფოს თავდასმის, უშუალო აგრესიის ან გარდაუვალი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ან ქვეყნის

<sup>107</sup>გონაშვილი. ვ. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი II „თბილისელები“. თბილისი 2006 წელი. მუხლი 130. გვ:272

<sup>108</sup>გონაშვილი. ვ. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი I „თბილისელები“. თბილისი 2008წელი. თავი IV, პუქტი 62. გვ:308

<sup>109</sup>გონაშვილი. ვ. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი II „თბილისელები“. თბილისი 2005 წელი. მუხლი 48. გვ:514

შიგნით ისეთი მოქმედების დროს რომელსაც თან ახლავს იარაღის გამოყენება და რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების, ქვეყნის დემოკრატიული წყობილების დამხობისკენ, სხვა დანარჩენ შემთხვევებში: ეპიდემიების, პანდემიის, ბუნებრივი უბედურებების, ეპიზოტიების, დიდი კატასტროფების ან სხვა შემთხვევებში გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა.

„თანამედროვე საერთაშორისო სამართლით ომი აკრძალულია. ბოლო დროს ტერმინ „ომის“ ნაცვლად იხმარება „შეირაღებული კონფლიქტები“. მზგავს შეირაღებულ კონფლიქტებს მიეკუთვნება სამოქალაქო ომებიც“.<sup>110</sup> თუ ჩვენ გადავხედავთ სხვა ქვეყნის კონსტიტუციებს აღმოვაჩინოთ, რომ ომის დეფინიციის დაკონკრეტებას არცერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ იძლევა, არამედ გვაქვს ზოგადი დეფინიცია. არცერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების ვადებს. მაშინ როდესაც თავისი არსით, როგორც „საგანგებო მდგომარეობა“, ასევე „საომარი მდგომარეობა“ არის დროებითი ხასიათის, რომელიც არ შეიძლება მუდმივად გაგრძელდეს, ამიტომ ვენეციის კომისია მოითხოვს, რომ „საგანგებო მდგომარეობა“ დროებითი უნდა იყოს სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპით ხელმძღვანელობს, „საგანგებო მდგომარეობა“ აუცილებლად უნდა იყოს შეზღუდული დროში და სივრცეში. ეს მოთხოვნა ლეგიტიმურია, რამეთუ ადამიანის უფლებების შეზღუდვა დროის დიდი ხნის განმავლობაში დაუშვებელია. „საგანგებო მდგომარეობას“ კრიზისული მდგომარეობაა, რომელიც თავისი ბუნებით დროებითია.<sup>111</sup> არც საქართველოს კონსტიტუცია და არც საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ არ მიუთითებს საგანგებო

<sup>110</sup>ლობჟანიძე, გ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. თბილისი 2013წ. გვ:101-102.

<sup>111</sup>ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული, სტრასბურგი. 2020 წ. 16 აპრილი. გვ.27 [shorturl.at/IBGNQ](https://www.echr.europa.eu/en/press/communications/2020/0016) [30.05.2022].

მდგომარეობის გამოცხადების მინიმალურ და მაქსიმალურ ვადებზე, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნის კონსტიტუციებში მითითებულია ეს ვადები, მაგალითად: ესტონეთის კონსტიტუციის მიხედვით საგანგებო მდგომარეობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს,<sup>112</sup> ესპანეთში საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადაა 30 დღე,<sup>113</sup> თურქეთის რესპუბლიკის შემთხვევაში მაქსიმალური ვადაა 6 თვე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ყოველ ჯერზე მხოლოდ 4 თვის ვადით მინისტრთა საბჭოს მოთხოვნით,<sup>114</sup> პოლონეთში საგანგებო მდგომარეობის ვადა 90 დღეა, გაგრძელება კი შესაძლებელია ერთხელ და არა უმეტეს 60 დღის ვადით,<sup>115</sup> ფინეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მაქსიმალური ვადა კი 6 თვეა.<sup>116</sup> რაც შეეხება საომარ მდგომარეობას, რადგან ის დროში გაწეილი პროცესია ძნელია იმის წინასწარ განსაზღვრა თუ რა ვადით შეიძლება ის გაგრძელდეს, შესაბამისად რთულია მისი მინიმალური და მაქსიმალური ვადების წინასწარმეტყველება, თუმცა თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში გხვდება მზგავსი ჩანაწერი, რომ „საომარი მდგომარეობა“ შეიძლება გამოცხადდეს არაუმეტეს 6 თვის ვადით, მისი გაგრძელება კი შესაძლებელია არაუმეტეს 4 თვისა დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით.<sup>117</sup> ეს ჩანაწერი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, რამეთუ საერთაშორისო სამართლისთვის ომის ან სხვა, ერისთვის საშიში მდგომარეობა მიჩნეულ და ჩათვლილ იქნება

---

<sup>112</sup>გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი 2006 წ. გვ:272

<sup>113</sup>გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი 2006 წ. გვ:196

<sup>114</sup>გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი 2006 წ. გვ:353

<sup>115</sup>გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი II. „თბილისელები“. თბილისი 2006წ. გვ:625.

<sup>116</sup>საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი GPRC, საგანგებო მდგომარეობის რეგულირების სამართლებრივი პრაქტიკა-თვალსაზრისი, 2020წ. 21 მარტი. N03/02. გვ:8.

<sup>117</sup>გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი 2006წ. გვ:355.

საგანგებო მდგომარეობად, მაგრამ მათ აქვთ განსხვავებული ფარგლები.<sup>118</sup> აქედან გამომდინარე, როგორც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“, ასევე საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს ცალსახად მიუთითებენ მის დროებითობის აუცილებლობაზე.

ვფიქრობ, რომ თავისი არსით, როგორც საგანგებო ასევე საომარი მდგომარეობა ქმნის იმ საგანგებო მდგომარეობას, რომელიც მოითხოვს შექმნილი მდგომარეობის სწრაფ მოგვარებას, რადგან საგანგებო და საომარი მდგომარეობა დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა შეზღუდვასთან ან შეჩერებასთან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ეს საკითხი. გარდა ამისა, მინიმალური და მაქსიმალური ვადების მითითება მიიჩნევა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ეფექტურ და მძლავრ მექანიზმად. მართალია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცესში ხელისუფლების სამივე შტო თანაბრად მონაწილეობს, თუმცა შესუსტებულია შემდგომი საპარლამენტო კონტროლი. მაგალითად, თუკი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა 4 თვის ვადით და პარლამენტი ჩათვლის, რომ აღარ არსებობს ის გარემოება, რათა გაგრძელდეს საგანგებო მდგომარეობა, გაურკვეველია, როგორ შეუძლია პარლამენტს ამ გადაწყვეტილების აღსრულება. საქართველოს კონსტიტუციის 71(6) მუხლი მიუთითებს, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის გაუქმება ხდება შესაბამისი მდგომარეობის გამოცხადებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით,<sup>119</sup> რაც გულისხმობს, იმას, რომ გაუქმება უნდა მოხდეს პრემიერ-მინისტრის წარდგინებითა და პრეზიდენტის თანხმობით. გამოდის, რომ თუ პრემიერ-მინისტრი არ მიიღებს გადაწყვეტილებას

---

<sup>118</sup> Ana Rita Gil. „Derogation Clauses of International Human Rights Instruments: protecting rights at the maximum possible extent in times of crisis“. pg:16. [shorturl.at/hwAIS](http://shorturl.at/hwAIS) [30.05.2022].

<sup>119</sup> საქართველოს კონსტიტუცია. [shorturl.at/akqOW](http://shorturl.at/akqOW) [30.05.2022].

პარლამენტისადმი მიმართვის, პარლამენტს საკუთარი ინიციატივით ამის განხორცილება არ შეუძლია, რაც ვფიქრობ პრობლემურია. ამიტომ მინიმალური და მაქსიმალური ვადების მითითებით, პარლამენტს ექნება საშუალება შეაფასოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა და შექმნილი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების ან გაუქმების. მსგავსი უფლებამოსილება პარლამენტისთვის სრულად პასუხობს საპარლამენტო რესპუბლიკისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ეს მოთხოვნა ლეგიტიმურია. მსგავსი რეკომენდაციები გაიცა ვენეციის კომისიის მიერაც.

საგანგებო და საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები განთავსებულია საქართველოს კონსტიტუციის მერვე თავში, რომელიც შეეხება ქვეყნის თავდაცვას და უსაფრთხოებას. „კონსტიტუცია წარმოადგენს ძირითად წყაროს, რომელიც ქვეყანაში არეგულირებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის საკითხებს და განსაზღვრავს ხელისუფლების შტოთა როლს საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, როგორც საგანგებო, ასევე საომარ მდგომარეობას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც ხელისმოწერისთანავე წარუდგენს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად, საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ ბრძანებას ამტკიცებს შეკრებისთანავე, თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას“.<sup>120</sup>

კონსტიტუციის მიხედვით გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ის არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ,

---

<sup>120</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71 (2). [shorturl.at/gzM79](http://shorturl.at/gzM79) [30.05.2022].



ხოლო საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების თაობაზე პრემიერ-მინისტრის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს დასამტკიცებლად პარლამენტში.<sup>121</sup> კონსტიტუცია ასევე გვეუბნება, რომ გადაწყვეტილებას ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილებ არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ. პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების შეწყვეტის თაობაზე.<sup>122</sup> ზემოთქმულიდან გამომდინარე რამდენიმე საკითხია ბუნდოვანი, პირველი ის, რომ საქართველოს კონსტიტუცია ზემოთ ჩამოთვლილ მოვლენებს ისედაც მიაკუთვნებს საგანგებო მდგომარეობას და მიუთითებს, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენება ხდება პარლამენტის მონაწილეობით, პრემიერ-მინისტრის წარდგინებითა და საქართველოს პრეზიდენტის თანამონაწილეობით. თუკი ზემოხსენებულ შემთხვევებში პრემიერ-მინისტრს ერთპიროვნულად ეძლევა თავდაცვის ძალების გამოყენების საშუალება ის შეიძლება პრობლემური გახდეს, თუკი პარლამენტი დროულად ვერ შეძლებს შეკრებას, შესაძლებელია ამან გაზარდოს რისკი თავდაცვის ძალების პოლიტიკური მიზნით გამოყენების, მითუმეტეს მაშინ თუკი პარლამენტი დაკომპლექტებულია მთავარი პოლიტიკური ძალის მიერ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო გამოცდილებისათვის უცხო არ არის მსგავსი პრაქტიკა თავდაცვის ძალების გამოყენების, მაგრამ მკაცრი ზედამხედველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ, ამიტომ კიდევ ერთხელ აუცილებელია დაზუსტება საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების არსი, მიზნები და ფარგლები.

---

<sup>121</sup> კობახიძე, ი. „კონსტიტუციური სამართალი“, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:224-225.

<sup>122</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 72(2). [shorturl.at/gzM79](https://shorturl.at/gzM79) [30.05.2022].

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლში საუბარია ადამიანის უფლებების შეზღუდვაზე და შეჩერებაზე. ჩამოთვლილია ის მუხლები რომლის „შეზღუდვა“ და „შეჩერება“ შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმ მუხლებზე, რომლის „შეჩერება“ ან „შეზღუდვა“ დაუშვებელია. „საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს უფლება აქვს დეკრეტით „შეზღუდოს“ კონსტიტუციის შემდეგი ნორმების მოქმედება:

მუხლი 13: ადამიანის თავისუფლების უფლება

მუხლი 14: მიმოსვლის თავისუფლება

მუხლი 15: პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

მუხლი 17: აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები.

მუხლი 18: სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები

მუხლი 19: საკუთრების უფლება.

მუხლი 21: შვილების თავისუფლება.

მუხლი 26: შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება.

პრეზიდენტს უფლება აქვს ასევე კონსტიტუციით „შეაჩეროს“ შემდეგი მუხლების მოქმედება ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით:

მუხლი 13, პუნქტები 2-6: ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ფარგლები

მუხლი 14, პუნქტი 2: მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები

მუხლი 15, პუნქტი 2: პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების შეზღუდვის ფარგლები

მუხლი 17, პუნქტები 3,5,6: აზრის, ინფორმაციის, მასობრივ ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების შეზღუდვის ფარგლები.

მუხლი 18, პუნქტი 2: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის ფარგლები

მუხლი 19, პუნქტი 3: საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლები”.<sup>123</sup>

„კონსტიტუციაში ასახული ადამიანის უფლებათა ეს შეზღუდვები თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საუბრობს იმ დაცულ მუხლებზე საიდანაც გადახვევა დაუშვებელია, როგორც საგანგებო ასევე საომარი მდგომარეობის დროს. კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აბსოლიტური უფლებებია: სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), წამების, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა (მე-3 მუხლი), მონობის, იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი) და სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების აკრძალვა (მე-7 მუხლი)“.<sup>124</sup> ამიტომ სასურველია კონსტიტუციაში მიეთითოს ის მუხლები საიდანაც გადახვევა დაუშვებელია როგორც საგანგებო ასევე საომარი მდგომარეობის დროს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს შესაძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებების „შეჩერება“ და „შეზღუდვა“, მაგრამ შეჩერებასთან და შეზღუდვებთან დაკავშირებით განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციებს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია. კერძოდ: დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის

---

<sup>123</sup>კობახიძე, ი. „კონსტიტუციური სამართალი“, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:223-224.

<sup>124</sup>კორკელია, კ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. 2004 წლის თებერვალი. გვ:40 [shorturl.at/hLW19](http://shorturl.at/hLW19) [30.05.2022].

შეჩერების შესახებ პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე.<sup>125</sup> ცალკე განხილვის საკითხია კონსტიტუციური ნორმა ადამიანის უფლებათა შეჩერების შესახებ რამდენად კონსტიტუციურია, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც შეჩერების მექანიზმი, ასევე შეზღუდვაც ადამიანის უფლებებში უხემ ჩარევას წარმოადგენს, ამიტომ მართებულია ორივე შემთხვევაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი ძალაში შევიდეს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, რაც უნდა დასაბუთდეს იმით, რომ ნორმატიული აქტების იერარქიაში პრეზიდენტის დეკრეტი და ასევე საქართველოს ორგანული კანონი ერთი და იგივე თანაბარი რანგისაა.<sup>126</sup> ამავე დროს 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის მიუთითებს, რომ ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი.<sup>127</sup> თუ თვალს გადავავლებთ სხვა ქვეყნის კონსტიტუციებს აღმოვაჩინოთ, რომ უკრაინის კონსტიტუცია საერთოდ დაუმზებლად მიიჩნევს ადამიანის უფლებების შეზღუდვას,<sup>128</sup> ლატვიის,<sup>129</sup> სომხეთის,<sup>130</sup> აზერბაიჯანის,<sup>131</sup> პოლონეთის,<sup>132</sup> ფინეთის,<sup>133</sup> დასაშვებიათ მიიჩნევს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას. აღნიშნულთან ერთად, უნდა მივუთითოთ კიდევ ერთ გარემოებაზე „საკონსტიტუციო სამართალში

---

<sup>125</sup> საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 71, პუნქტი 4. [shorturl.at/gzM7930.05.2022](http://shorturl.at/gzM7930.05.2022)].

<sup>126</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 22/10/2009, მუხლი 7. [shorturl.at/BNO05](http://shorturl.at/BNO05) [30.05.2022].

<sup>127</sup> საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 45, პუნქტი 2. [shorturl.at/gzM79](http://shorturl.at/gzM79) [30.05.2022].

<sup>128</sup> გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი 2008წ. გვ:638.

<sup>129</sup> გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი I. „თბილისელები“. თბილისი 2008წ. გვ:316

<sup>130</sup> გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი I. „თბილისელები“. თბილისი 2008წ. გვ:438

<sup>131</sup> გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი I. „თბილისელები“. თბილისი 2008წ. გვ:241

<sup>132</sup> გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი II. „თბილისელები“. თბილისი 2006წ. გვ:619.

<sup>133</sup> გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი II. „თბილისელები“. თბილისი 2006წ. გვ:743

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძირითადი უფლებები შეიძლება მხოლოდ „შეიზღუდოს“. ამას ადასტურებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების უდიდესი უმრავლესობა. გამონაკლისია სულ რამდენიმე სახელმწიფო (მათ შორის პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი), რომელთა კონსტიტუციები შეიცავენ ტერმინს–„შეჩერება“, მაგრამ კონსტიტუციური სამართლის თეორიაში იქაც გაზიარებულია ძირითად უფლებათა შეზღუდვის კონცეფციის არსი–დემოკრატიულმა და სამართლებრივმა სახელმწიფომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის პირობებშიც უნდა იმოქმედოს იმ კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში, რომლის საფუძველი ძირითადი უფლებებია. დაუშვებელია სახელმწიფო გავიდეს აღნიშნული ფარგლებიდან, იურიდიულად ძალადაკარგულად მიიჩნიოს ძირითადი უფლებები და იმოქმედოს თვითნებურად, ყოველგვარი ბოჭვის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ”.<sup>134</sup>

შემდეგ მნიშვნელოვან განსხვავებას საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის საბჭოს საკითხი. ეროვნული თავდაცვის საბჭო რომელიც თავისი არსით იყო პრეზიდენტთან არსებული დროებითი სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნებოდა საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ და მოქმედებს მის გაუქმებამდე.<sup>135</sup> საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“ პირდაპირ მიუთითებს, რომ საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სათათბირო ორგანო-ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელსაც თავჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი, რომლის წევრებიც არიან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრად შეიძლება მოწვეულ იქნენ

<sup>134</sup> კუბლაშვილი, ვ. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები. გვ:6 [shorturl.at/cmuAS](http://shorturl.at/cmuAS) [30.05.2022].

<sup>135</sup> აქუბარდია, თ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: დაგეგმვა, კორდინაცია და პრაქტიკა. 2020წ. გვ:6 [shorturl.at/fgST9](http://shorturl.at/fgST9) [30.05.2022].

საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრები.<sup>136</sup> საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც მონაწილეობს არა მხოლოდ საომარი მდგომარეობის გამოცხადების პროცესში, არამედ ის ასევე ჩართულია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცესში, მიზანშეწონილი იქნება ეროვნული თავდაცვის საბჭომ იფუნქციონიროს ასევე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროსაც, რამეთუ ის უფრო მეტად უპასუხებს ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების სწრაფ მოგვარებას და არსებული რესურსების სათანადოდ გამოყენებას.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ როგორც საგანგებო ასევე საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის წარდგინებითა და თანახელმოწერით, გამოსცემს ორგანული ძალის მქონე დეკრეტს, რომელიც მოქმედებს საგანგებო და საომარი მოქმედების გაუქმებამდე. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.<sup>137</sup> კონსტიტუცია არაფერს ამბობს თუ რა ვადაში უნდა შეიკრიბოს პარლამენტი საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის დასამტკიცებლად. სიტყვა დაუყოვნებლივ ძალიან ბუნდოვანი და ზოგადია და ის მოითხოვს მეტ დაზუსტებას, რაც ეწინააღმდეგება ასევე ვენეციის კომისიის მოთხოვნებს. მაშინ როდესაც, კონსტიტუციის ძველ რედაქციაში გათვალისწინებული იყო საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს პარლამენტის შეკრება 48 საათში.<sup>138</sup> ეს მოთხოვნა მით უფრო ლოგიკურია, როცა საგანგებო მდგომარეობა ცხადდება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა გასატარებელი ღონისძიებების ვადებთან დაკავშირებით.

---

<sup>136</sup> საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“, 31/10/1997, მუხლი-4<sup>1</sup>, ნაწილი1-ლი და მე-2 [shorturl.at/iuAB3](http://shorturl.at/iuAB3) [30.05.2022].

<sup>137</sup> კობახიძე, ი. „კონსტიტუციური სამართალი“, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:222

<sup>138</sup> გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩილაძე, გ., ჭილაძე, ნ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2017წ. გვ:340.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ის რომ საქართველოს კონსტიტუცია განასხვავებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვებს მშვიდობიანობის პერიოდში და საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. „სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს მოქალაქეთა თავისუფლებაში ან მათი საქმიანობის სხვა სფეროში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამისთვის კანონით იქნება უფლებამოსილი. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ძირითადი უფლებების უმრავლესობა შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ. ცალკეული უფლებების შეზღუდვის კონკრეტული საფუძვლები თავად კონსტიტუციაშია მოცემული, მაგალითად გადაუდებელი აუცილებლობა, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, მართლმსაჯულების განხორციელება. სახელმწიფოს ბევრი ვალდებულება აკისრია და ძირითადი უფლებების შეზღუდვისას უნდა დაიცვას რამდენიმე პირობა. 1) შეზღუდვა უნდა განხორცილდეს კანონის საფუძველზე. 2) კანონის საფუძველზე ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ძირითად უფლებათა შეზღუდვის დროს დაეყრდნოს ზოგად აუცილებლობას. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციაში გამოყენებული ტერმინი (მ.10, პ.2) „აუცილებელი“ თავისი შინაარსით არ არის სინონიმი სიტყვა „indispensable“, იგი „ძლიერ სოციალურ მოთხოვნილებას“ გულისხმობს და მას ასევე არა აქვს ისეთი გამოთქმების მნიშვნელობა, როგორებიცაა „დასაშვები“, „მისაღები“, „საკმარისი“, „გონივრული“. 3) კანონი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ძირითადი უფლების შეზღუდვა, აუცილებლად უნდა იყოს შეზღუდვის მიზნის თანაზომიერი, ანუ უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით კანონს უნდა ჰქონდეს ა) ლეგიტიმური საჯარო მიზანი, ბ) უნდა იყოს გამოსადეგი (მიზნის მისაღწევად), გ) აუცილებელი (საჭირო), დ)

პროპორციული ანუ მიზნის თანაზომიერი“.<sup>139</sup> კონსტიტუციის 71 მუხლი ითვალისწინებს ძირითად უფლებათა შეზღუდვის ე.წ. საერთო საფუძველსაც, „რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფომ შეიძლება ერთდროულად შეზღუდოს რამდენიმე ძირითადი უფლება: ეს არის ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ან საომარი მდგომარეობა. ასეთ პირობებში სახელმწიფოს უპირველესი ინტერესია უმნიშვნელო სიკეთეების დაცვა, როგორცაა სახელმწიფოს უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, კანონიერება და მართლწესრიგი. ამ დროს, ბუნებრივია, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ძირითად უფლებათა შეზღუდვა „აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, აქედან გამომდინარე პრეზიდენტს აქვს უფლება შეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ცალკეული ადამიანის ძირითადი უფლებები. მშვიდობიანობის პერიოდში ძირითადი უფლებების შეზღუდვა ხორციელდება კანონის საფუძველზე“.<sup>140</sup> შეზღუდვები იძლევა საშუალებას დაბალანსირდეს ინდივიდუალური და საჯარო ინტერესები.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე, რაც იწვევს მათ შეჩერებას ან შეზღუდვას, ამიტომ დაუზუსტებელი, ბუნდოვანი და დაუბალანსებელი საკანონმდებლო დებულებები ზრდის რისკს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ადამიანის უფლებათა შესაძლო უხეში დარღვევების. ამ კონტექსტში დიდ მნიშვნელობას იძებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის სწორი დეფინიცია, მათ შორის განსხვავებების ზუსტი განსაზღვრა, რამეთუ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს სულ სხვანაირად ფუნქციონირებს როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ასევე სასამართლო ხელისუფლება. თემაში განხილული

---

<sup>139</sup> კუბლაშვილი, ვ. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. თბილისი 2017 წელი, გვ:37-38

<sup>140</sup> კუბლაშვილი, ვ. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. თბილისი 2017 წელი, გვ:38



კონსტიტუციური ხარვეზების გამოსწორება, მათი ზუსტი დეფინიცია უფრო მეტად განჭვრეტადს გახდის კონსტიტუციურ დებულებებს, რომელმაც სხვა კანონებთან ერთად უნდა შექმნას ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობით შექმნილი ვითარების სწრაფ მოგვარებას.

**2.2. საგანგებო მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნები: ნამდვილობა და იმწუთიერება; ზეგავლენის მოქმედების არეალი; საფრთხის ხარისხი; საჭიროების განსაკუთრებული საკითხი**

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობა დგება მაშინ როდესაც ერის სიცოცხლეს ექმნება საფრთხე, როცა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები მოკლებულნი არიან ნორმალური უფლებამოსილების განხორციელების საშუალებას. ასეთ დროს კონსტიტუციების უმრავლესობა ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, თუმცა ამ შემთხვევაში მათ უნდა დააკმაყოფილონ არა მხოლოდ ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნები, არამედ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებიც. გამომდინარე იქიდან, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს ხდება ადამიანის უფლებების შეზღუდვა და შეჩერება საკითხი კიდევ უფრო რთული ხდება იმ გაგებით, რომ ის მოითხოვს გონივრულ ბალანს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. ეს სულისკვეთება კარგად გადმოსცა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სორეინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v United Kingdom) სადაც აღნიშნა, რომ „ევროპული კონვენციის მთელი სულისკვეთება ეფუძნება სამართლიანი ბალანსის ძიებას საზოგადოების საერთო ინტერესებსა და ინდივიდუალურ უფლებებს შორის“.<sup>141</sup>

<sup>141</sup> Soering v United Kingdom. [shorturl.at/iINWZ](https://www.shorturl.at/iINWZ). [30.05.2022]

„დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ემსახურება რა ადამიანის თავისუფლებებისა და თვითრეალიზაციის იდეას, სწორედ ამავე მიზნებისთვის უშვებს ადამიანის თავისუფლებების შეზღუდვის შესაძლებლობებს. როდის, როგორ და რა ინტერნსივობით შეუძლია სახელმწიფოს ჩაერიოს ადამიანის თავისუფლებაში ისე, რომ ეს ჩაითვალოს აუცილებელ ჩარევად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამისათვის სამართლებრივ საფუძველს და შეფასების მასშტაბს კონსტიტუცია იძლევა, პირველ რიგში ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპები და ძირითადი უფლებების მარეგულირებელი კონსტიტუციური ნორმები. უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას, თუმცა, იმავდროულად, დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევა იქნება. არცერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე. ამ დროს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და იმავდროულად დემოკრატიის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. სახელმწიფომ უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება. მხოლოდ ასეა შესაძლებელი, როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნის მიღწევა“.<sup>142</sup>

იმის გამო, რომ „სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის ის თუ როგორ იცავს სახელმწიფო ადამიანის უფლებებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების სტანდარტებს, რათა მინიმუმანდე იქნეს დაყვანილი ადამიანის უფლებათა დარღვევები. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ადამიანის უფლებათა ყველაზე მძიმე დარღვევებს სწორედ

---

<sup>142</sup> გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი. გ., კახიანი. გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე, ნ. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. თბილისი 2016წ. გვ:95.

საგანგებო მდგომარეობის დროს აქვს ადგილი<sup>143</sup> საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ საგანგებო სიტუაციები მიდრეკილები არიან განვითარებისა და დამატებითი კრიზისების გამოწვევისკენ.<sup>144</sup> მაგალითად: სუდანში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა გადაიზარდა გენოციდსა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში დარფურის რეგიონში.<sup>145</sup> საქმეში „Aksoy v Turkey“-სასამართლომ დაადგინა შემდეგი: „მიუხედავად არსებული ვითარების სიმწვავისა და იმ პრობლემებისა რაც თან ახლავს ტერორიზმთან ბრძოლას, არსებული ვითარება ვერ გამართლებს თურქეთის ხელისუფლებას, რომლებმაც გადაუხვიეს მე-15(3) მუხლიდან და 14 დღის განმავლობაში სრულ იზოლაციაში ამყოფა ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირი ადვოკატზე ხელმისაწვდომობისა და და სასამართლოს წინაშე გასაჩივრების უფლების გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ თავისი მოქმედება გამართლა მე-15 მუხლით, რის უფლებაც სახელმწიფოს არ აქვს თუკი ამით დაარღვევს საერთაშორისო სამართალს“.<sup>146</sup> ევროპულმა სასამართლომ მე-15 მუხლის დარღვევა დააფიქსირა ასევე საბერძნეთთან დაკავშირებით, სადაც აღინიშნა, რომ არანაერი საფუძველი არ არსებობდა უფლებების შეზღუდვის და რომ მთავრობის მოქმედებები იყო ხელოვნური, ეს ზომები არ იყო გამართლებული კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე.<sup>147</sup>

---

<sup>143</sup> European Commission for the Protection of Democracy through Law (Venice Commission) - Collection of Opinions and Reports of the Venice Commission on the State of Emergency, Strasbourg, 16 April 2020. pg:6 [shorturl.at/emvC7](http://shorturl.at/emvC7) [30.05.2022].

<sup>144</sup> ძეტსიარო, კ. COVID-19 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა 2020წ. ივლისი. N14. გვ:78 [shorturl.at/cfjCM](http://shorturl.at/cfjCM) [30.05.2022].

<sup>145</sup> Vesna stefanovska. derogation of human rights rules in times of emergency, Cambridge international law journal. 2020. july4. [shorturl.at/CKL48](http://shorturl.at/CKL48) [30.05.2022].

<sup>146</sup> ბოხაშვილი, ბ., ხუციშვილი, ქ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი 2004წ. გვ:363. [shorturl.at/cHIMT](http://shorturl.at/cHIMT) [30.05.2022].

<sup>147</sup> Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece („The Greek Case“), 1967წ. 21 აპრილი. [shorturl.at/gKU27](http://shorturl.at/gKU27) [30.05.2022].

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის, კერძოდ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა“ და საერთაშორისო პაქტის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების“ თანახმად აქვს უფლება საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს გადაუხვიონ კოვენციით ნაკისრ ვალდებულებებს თუ საფრთხე ემუქრება ერის სიცოცხლეს, თუმცა ეს უფლებამოსილება არ არის აბსოლიტური. სახელმწიფოები ექვემდებარებიან გარკვეულ ზედამხედველობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მხრიდან.<sup>148</sup> ევროპული კომისია განსაზღვრავს გადახვევის პირობებს რათა სიტუაცია ჩაითვალოს საგანგებო მდგომარეობად, რათა ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის ცხადი იყოს ის მოთხოვნები, თუ რა შემთხვევაშიც აქვთ მათ უფლება გადაუხვიონ ადამიანის უფლებებიდან, ესენია:

ა) საფრთხე უნდა იყოს რეალური და გარდაუვალი

ბ) მისი შედეგები უნდა ეხებოდეს მთელ ერს

გ) საფრთხე უნდა ემუქრებოდეს ნორმალური ცხოვრების პირობებს

დ) კრიზისი და საფრთხე უნდა იყოს განსაკუთრებული ხასიათის იმ გაგებით, რომ უსაფრთხოების, მართლწესრიგისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ჩვეულებრივი ზომების გამოყენება როცა არასაკმარისია.<sup>149</sup> მზგავსი პინციპები მოცემულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. აღნიშნული პაქტი ყურადღებას აქცევს საგანგებო მდგომარეობის ოფიციალურ გამოცხადებას.<sup>150</sup> „გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და საგანგებო

---

<sup>148</sup> პიტერ მალანჩუკი. აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. გამომცემლობა „დიოგენე“. 2005წ. გვ:245 [shorturl.at/bqY02](http://shorturl.at/bqY02) [30.05.2022].

<sup>149</sup> კობალაძე, ი. ადამიანის უფლებები და თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის პირობებში. „თემიდა“-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. თბილისი 2010 4(6). გვ:111

<sup>150</sup> საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 16/12/1966, მუხლი 4. [shorturl.at/hNRZ9](http://shorturl.at/hNRZ9) [30.05.2022].

მდგომარეობის საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა შემდეგი პრინციპები უნდა დაიცვან:

ა) დროებითი მოქმედების პრინციპი-ანუ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების განსაკუთრებული ბუნება, საფრთხის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც მოითხოვს, რომ კრიზისი წარმოადგენდეს რეალურ, ამჟამინდელ ან სულ მცირე, გარდაუვალ საფრთხეს საზოგადოებისთვის.

ბ) გამოცხადების პრინციპი-ანუ საგანგებო მდგომარეობის საჯაროდ გამოცხადების აუცილებლობა. შეტყობინების პრინციპი, კერძოდ სხვა სახელმწიფოებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების მონიტორინგის ორგანოებისათვის მიღებული ზომების და მათი ხასიათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. პროპორციულობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ კრიზისის მოსაგვარებლად მიღებული ზომები მისი სიმძიმის პროპორციული იყოს.

გ) კანონიერების პრინციპი-საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების შეზღუდვები ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებით დადგენილ ფარგლებში უნდა რჩებოდეს. გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობა არ გულისხმობს კანონის უზენაესობის დროებით შეჩერებას და არ აძლევს უფლებას ხელისუფლების წარმომადგენლებს იმოქმედონ ისე, რომ კანონის დარღვევა მოხდეს, რადგან მათ ამ პრინციპების მუდმივად დაცვის ვალდებულება ეკისრებათ.

დ) იმ ძირითადი უფლებების ხელშეუვალობის/ხელშეუხებლობის პრინციპი, რომლებიდანაც გადახვევა დაუშვებელია, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის დროს: სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, მონობის აკრძალვა, კანონის უკუქმედებითი გამოყენების დაუშვებლობა და სხვა

სასამართლო გარანტიები, საკუთარი იურიდიული აღიარების უფლება და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება“.<sup>151</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოების მიერ საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება მათი დისკრეციული უფლებაა, სახელმწიფოები სრულად არ არიან თავისუფლები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება დაბალანსირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებით.“<sup>152</sup> გარდა ამისა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად საქართველომ, როგორც ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყანამ, ოფიციალურად უნდა შეატყობინოს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ვინაიდან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას, გამონაკლისის სახით, დასაშვებია ადამიანის უფლებებიდან გადახვევა, რაც ნორმალურ ვითარებაში ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციით ისე ადამიანის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ მუხლებს.<sup>153</sup> ანალოგიურად ხდება გაეროს სისტემაში. „გარდა ამისა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს სახელმწიფოში მოქმედებს სამი პრინციპი: ეს არის „გამოცხადების პრინციპი“ რაც გულისხმობს იმას, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობა ქვეყანაში სათანადო წესით უნდა გამოცხადდეს, რათა მოსახლეობა ინფორმირებული იყოს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ. მეორე ეს არის „შეტყობინების პრინციპი“ იგივე „კომუნიკაციის პრინციპი“, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს ქვეყანაში საგანგებო და საომარი მდგომარეობის შემოდების შესახებ შეატყობინოს გაერთიანებული ერების

---

<sup>151</sup> European Commission for the Protection of Democracy through Law (Venice Commission) - Collection of Opinions and Reports of the Venice Commission on the State of Emergency, Strasbourg, 16 April 2020. pg:9 [shorturl.at/adhMX](https://www.shorturl.at/adhMX) [30.05.2022].

<sup>152</sup> ჯიბლაძე, ლ. ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2019წ. თბილისი 2002წ. გვ:16

<sup>153</sup> საქართველოს საპარლამენტო კვლევითი ცენტრი GPRC, საგანგებო მდგომარეობის საერთაშორისო პრაქტიკა, თვალსაზრისი. 2020წ. 21 მარტი. [shorturl.at/ajyAB](https://www.shorturl.at/ajyAB) [30.05.2022].

ორგანიზაციას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ეს არის „დროებითობის პრინციპი“, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს დეკრეტში აუცილებლად განსაზღვრონ საგანგებო და საომარი მდგომარეობის ხანგრძლივობა და ამასთან, კანონმდებლობით განსაზღვროს ამ ვადის გაგრძელების მაქსიმალური ვადები და პროცედურები. კანონის უზენაესობის პრინციპი მოითხოვს, რომ ნებისმიერი კანონი, ბრძანება, თუნდაც სათანადო წესით მიღებული აუცილებლად უნდა იქნეს გამოქვეყნებული“.<sup>154</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისი რეგულაციების არ არსებობა საკანონმდებლო დონეზე საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს და ქმნის იმის ალბათობას, რომ არასაკმარისად ფორმულირებული საგანგებო და საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან არასათანადო კონტროლმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის უფლებათა დაცვას. ვერცერთი ეს მოთხოვნები სათანადოდ ვერ იქნება დაცული თუ მან ასახვა არ ჰპოვა ეროვნულ კანონმდებლობაში და არ დაბალანსირდა ხელისუფლების სამ შტოს შორის, რადგან თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს არსი სწორედ ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვაში მდგომარეობს.

---

<sup>154</sup> ხავთასი, ლ. საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები, სამაგისტრო ნაშრომი თსუ. თბილისი 2019წ. გვ:27 [shorturl.at/ALPZ9](http://shorturl.at/ALPZ9) [30.05.2022].

3 თავი: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით ადამიანის უფლებათა შეზღუდვის საფუძვლები-ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები და ინტერპრეტაცია

### 3.1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1959 წელს.<sup>155</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნა იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნაწილი, რომლის მე-19 მუხლი მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დაარსდა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო მოიხსენიება, როგორც სასამართლოს მუდმივმოქმედი ორგანო.<sup>156</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 33-ე და 34-ე მუხლები უშვებს როგორ ინდივიდუალურ ასევე სახელმწიფოთაშორის საჩივრების შეტანის შესაძლებლობას სასამართლოში.<sup>157</sup> იმისათვის, რომ ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღოს საქმე ამისთვის საჭიროა ეროვნულ დონეზე ამოწურული იყოს ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, საბოლოო გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, ანონიმური არ უნდა იყოს განაცხადი და ის შეთავსებადი უნდა იყოს კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან.<sup>158</sup> „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაარსებული საზედამხედველო მექანიზმის ეფექტიანობა, ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური განაცხადების შეტანის უფლებასთან ერთად, განპირობებულია მისი საზედამხედველო ორგანოს-ადამიანის

<sup>155</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. [shorturl.at/aceKW](http://shorturl.at/aceKW) [30.05.2022].

<sup>156</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. თებერვალი. გვ:11. [shorturl.at/eioxz](http://shorturl.at/eioxz) [30.05.2022].

<sup>157</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 33 და მუხლი 34. [shorturl.at/bquKS](http://shorturl.at/bquKS) [30.05.2022].

<sup>158</sup> კორკენია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. თებერვალი. გვ:22-23 [shorturl.at/frAR4](http://shorturl.at/frAR4) [30.05.2022].



უფლებათა ევროპული სასამართლოს-გადაწყვეტილებათა სავალდებულო იურიდიული ძალით.<sup>159</sup> არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპული სასამართლოს (სტრასბურგი) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის, რადგან ქვეყნების უმეტესობამ ევროპული კონვენცია აღიარეს ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად.

იმის გამო, რომ „საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფოს ფართო კომპეტენციები ენიჭება, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხი. საგანგებო მდგომარეობა დაკავშირებულია ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან, რის გამოც საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს“.<sup>160</sup> „თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი ეფუძნება კონვენციის მიზნებსა და ამოცანებს. სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის ინტერპრეტაციისას განაცხადა, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი განსაკუთრებული ხასიათი, ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულებას როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კოლექტიურ აღსრულებას. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ინტერპრეტაცია დაკავშირებული უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოების იდეებისა და ღირებულებების შენარჩუნებასა და ხელშეწყობასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის ადამიანის უფლებათა სამართლის ავანგარდში“..<sup>161</sup>

---

<sup>159</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. თებერვალი. გვ:24 <https://rm.coe.int/168008db49> გვ:24. [30.05.2022].

<sup>160</sup> კობალაძე, ი. ადამიანის უფლებები და თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის პირობებში. „თემიდა“-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. 2010 4(6). თბილისი გვ:112.

<sup>161</sup> Jukka Viljanen (University of Tampere, Finland)-The Role of the European Court of Human Rights as a Developer of International Human Rights Law. pg:1 [shorturl.at/cMZ68](https://shorturl.at/cMZ68) [30.05.2022].

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ევროპული სასამართლოს როლი და მნიშვნელობა მით მეტად გახდა აქტუალური, როდესაც ევროპული კონვენციის მე-15 მუხლმა მიანიჭა უფლება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გადაუხვიონ ადამიანის უფლებებიდან საგანგებო მდგომარეობის დროს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იძლევა ზუსტ დეფინიციას არც იმის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საგანგებო მდგომარეობათ, მაშინ როდესაც კონსტიტუციების უმეტესობა შეიცავს ამ ჩამონათვალს, მაგრამ ეს საერთოდ არ გამორიცხავს, რომ ბუნებრივი კატასტროფების დროს ან სხვა შემთხვევებში არ შეიძლება გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა. ევროპული კონვენცია აკეთებს ზოგად დეფინიციას „ომის ან ერის არსებობისთვის სხვა საშიში საგანგებო მდგომარეობის დროს...“. აქედანაც კარგად ჩანს, რომ სახელმწიფოებმა თავად უნდა განსაზღვრონ თუ რა ჩაითვლება საგანგებო მდგომარეობათ. მართალია ამ უფლებათა სარგებლობის დროს სახელმწიფოები არ არიან შეზღუდულნი, მათ ფართო უფლებამოსილება აქვთ ამ საკითხში. სახელმწიფოებმა თავად უნდა შეაფასონ და განსაზღვრონ ასეთი გადახვევების საჭიროება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი შეაფასებს ნებისმიერ გადახვევას მისთვის წარდგენილ საქმეებზე. საქმეში ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. United Kingdom) სასამართლომ აღნიშნა, რომ „თითოეული ხელშემკვრელი მხარე, რომელიც ერის სიცოცხლეზეა პასუხისმგებელი, განსაზღვრავს თუ რამდენად უქმნის საფრთხეს „საგანგებო მდგომარეობა“ ადამიანის სიცოცხლეს. რამდენად აუცილებელია შორსმომავალი მიზნების გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დასაძლევად. ეროვნული ხელისუფლება უკეთ იცნობს ეროვნულ საჭიროებებს“.<sup>162</sup> ამას გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს შეტყობინების ვალდებულებას ევროპის საბჭოს გენერალური

<sup>162</sup> საინფორმაციო დოკუმენტი (7 აპრილი, 2020)-დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა Covid-19-ის სანიტარული კრიზისის პირობებში. ინსტრუმენტების წყება წვერი სახელმწიფოებისათვის. გვ:3 [shorturl.at/akLUW](http://shorturl.at/akLUW) [30.05.2022].

მდივნისადმი.<sup>163</sup> საქმეში „ლოულესი ირლანდიის წინააღმდეგ“ (Lawless v. Ireland) სასამართლოს განმარტებით ფრაზა-„საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს“-მიუთითებს განსაკუთრებულ კრიზისულ სიტუაციაზე ან მდგომარეობაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს მთელ მოსახლეობაზე და წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი სიცოცხლისათვის. აღნიშნული გადაწყვეტილება განმტკიცებულ იქნა 1969 წლის საქმეში საბერძნეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც კომისიამ გამოავლინა 4 განსხვავებული შემადგენელი ელემენტი:

- საგანგებო მდგომარეობა უნდა იყოს ნადვილი და იმწუთიერი
- მისი შედეგები გავლენას უნდა ახდენდეს მთელ ერზე
- საფრთხე უნდა ექმნებოდეს საზოგადოებრივი სიცოცხლის გაგრძელებას
- კრიზისი ან საშიშროება უნდა იყოს განსაკუთრებული იმ მხრივ, რომ ჩვეულებრივი ღონისძიებები ან შეზღუდვები, რომლებიც დაშვებულია კონვენციით საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, ჯანმრთელობისა და მართლწესრიგისათვის ნათლად შეუფერებელი უნდა იყოს“.<sup>164</sup> ამ განმარტებით სასამართლომ ჩამოთვალა ის მახასიათებლები რაც საჭიროა რათა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მხრიდან გადახვევა მე-15 მუხლიდან ჩაითვალოს საგანგებო მდგომარეობად. „ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მოთხოვნა, რომლითაც სახელმწიფოებს შეუძლიათ გაატარონ გარკვეული ზომები იმ ზღვრამდე, რაც მკაცრად მოითხოვება მდგომარეობის სიმწვავეთ, პრინციპული მნიშვნელობისაა. Lawless-ის საქმეში სახელმწიფომ პირველად მიუთითა პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ირლანდიის მთავრობამ დაამტკიცა, რომ სამართლებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის

<sup>163</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 15(3) [shorturl.at/auBRW](http://shorturl.at/auBRW) [30.05.2022].

<sup>164</sup> ბოხაშვილი, ბ., ხუციშვილი, ქ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს იურისტთა ასოციაცია. 2004წ. გვ:362-363 [shorturl.at/hmp79](http://shorturl.at/hmp79) [30.05.2022].

დადგენილი კანონმდებლობა და ჩვეულებრივი პროცედურები არ იყო საკმარისი“.<sup>165</sup> ამასთან ერთად „საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი შესაძლებელია მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალოს. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის დასაწყისში „მკაცრად მოითხოვებოდა“, შეიძლება აღმოჩნდეს არაადეკვატური (მეტისმეტად მკაცრი ან მეტისმეტად სუსტი), თუ მდგომარეობა შეიცვლება. აქედან გამომდინარე, პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე სახელმწიფომ უნდა მოახდინოს შესაბამის დროს ღონისძიებების ადაპტირება სიტუაციასთან“.<sup>166</sup> რაც შეეხება ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ხელმშეკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს შეტყობინებას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი, თუმცა კონვენცია არ მიუთითებს თუ რამდენ ხანში არის ეს ნებადართული. კერძოდ, საქმეში „ლოულესი ირლანდის“ წინააღმდეგ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან 12 დღის შემდგომ მოხდა შეტყობინება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი, თუმცა სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინება 12 დღის დაგვიანებით მიიღო სრულიად საკმარისად ჩათვალა კონვენციური მიზნებისთვის, რათა სრულფასოვანი ინფორმაცია ჰქონებოდა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.<sup>167</sup> „რაც შეეხება Geek-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ შეტყობინების გაგზავნა 4 თვის შემდგომ ჩათვალა ხანგრძლივ დაგვიანებათ კონვენციის მიზნებისთვის“.<sup>168</sup> ამავე საქმეში ადამიანის უფლებათა

---

<sup>165</sup> კორკელია, ვ. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. 2000წ. 3-4 კვარტალი. გვ:65

<sup>166</sup> კორკელია, ვ. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. 2020-2021წწ. გვ:18 [shorturl.at/bpsT1](https://shorturl.at/bpsT1) [30.05.2022].

<sup>167</sup> Case of Lawless v. Ireland (No. 3) (Application no [332/57](https://shorturl.at/denR4)). [shorturl.at/denR4](https://shorturl.at/denR4) [30.05.2022].

<sup>168</sup> კორკელია, ვ. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-15 მუხლი გულისხმობს იმას, რომ საგანგებო მდგომარეობა უნდა იყოს ნადვილი და გარდაუვალი, და რომ კრიზისი და საფრთხე უნდა იყოს „საგამონაკლისო“ ხასიათის, რაც ჩვეულებრივ არაადეკვატურ ზომებს აქცევს საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აღსადგენად, თუ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, გადახრები პრინციპში დასაშვებია.<sup>169</sup> ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში მეჰმედ ჰასან ალთანი თურქეთის წინააღმდეგ (Mehmet Hasan Altan v. Turkey; Şahin Alpay v. Turkey) აღნიშნა, რომ „საჯარო საგანგებო მდგომარეობა არ უნდა გახდეს პოლიტიკური დებატების, თავისუფლების შეზღუდვის საბაზი და საგანგებო მდგომარეობაში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მიღებული ნებისმიერი ზომა მიზნად უნდა ისახავდეს დემოკრატიული წესრიგის დაცვას მისთვის საფრთხისაგან და ყველა ძალისხმევა უნდა იქნას გამოყენებული რათა დაიცვან დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებები, როგორცაა პლურალიზმი, ტოლერანტობა და ფართო აზროვნება.<sup>170</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოქმედებს როგორც უსაფრთხოების ბადე, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადამიანის უფლებები დაირღვა, დაინტერესებულმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანობა ინდივიდებისათვის. მას ასევე შეუძლია იმ ნაბიჯების გადადგმაც მოუწიოს, რათა ის მეორედ აღარ განმეორდეს. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი“.<sup>171</sup>

---

ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. 2000 3-4 კვარტალი. გვ:68

<sup>169</sup> Upholding human rights in Europe during the pandemic. pg.3 [shorturl.at/IXZ57](https://shorturl.at/IXZ57) [30.05.2022].

<sup>170</sup> Upholding human rights in Europe during the pandemic. pg.3 [shorturl.at/clzBM](https://shorturl.at/clzBM) [30.05.2022].

<sup>171</sup> The European convention on Human Rights-how does it works? [shorturl.at/vwY06](https://shorturl.at/vwY06) [30.05.2022].

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხშირად სთხოვდნენ განესაზღვრათ ადამიანის უფლებათა დარღვევების კანონიერება მე-15 მუხლთან მიმართებით. „ლოულესის სამეში“ სასამართლომ დაასკვნა, რომ ის უფლებამოსილება რაც ჰქონდა მინიჭებული სახელმწიფო მინისტრს 1940 წლის სახელმწიფოს წინააღმდეგ კანონით ეწინააღმდეგებოდა ევროპული კონვენციის მე-5(1)(c) და მე-3 მუხლს, და რომ ბატონი ლოულესის 5 თვეზე მეტი ხნით პატიმრობა, არ განხორციელებულა კომპეტენტური, კანონიერ ორგანოში წარდგენის მიზნით და მისი პატიმრობის დროის განმავლობაში ის არ წარმდგარა სასამართლოს წინაშე გონივრული განხილვის ვადაში. ის სასამართლოს წინაშე არასოდეს ყოფილა წარდგენილი არცერთი მიზნით, ამიტომ სასამართლომ ამ საკითხში დაასკვნა, რომ 1940 წლის აქტით სასამართლოს პროცესის გარეშე პატიმრობა იყო ის ზომა რომელსაც მკაცრად მოითხოვდა შექმნილი სიტუაცია.<sup>153</sup> ხოლო საქმეში ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom, § 207) რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთის უფლებამოსილებებს სახელმწიფომ აქ დაასკვნა, რომ პირველ რიგში, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება თავისი პასუხისმგებლობა [მისი] ერის სიცოცხლეზე, განსაზღვროს, ემუქრება თუ არა საფრთხე ერის სიცოცხლეს და თუ ასეა, რამდენად არის საჭირო.<sup>153</sup> ბრანიგანისა და მაკბრაიდის (Brannigan and McBride v. the United Kingdom, § 43) საქმეში, სადაც სასამართლო განიხილავდა საქმეს სასამართლოს ჩარევის არარსებობას ტერორისტების შვიდი დღის განმავლობაში დაკავებასთან დაკავშირებით. სასამართლომ აქ დაადგინა მე-5(3) მუხლის დარღვევა. მომჩივანები დაუყოვნებლივ არ იყვნენ წარდგენილნი სასამართლოში. აქაც სასამართლომ აღიარა, რომ: „ხელშემკვრელი მხარეები არ სარგებლობენ შეფასების შეუზღუდავი უფლებამოსილებით. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, *inter alia*, გასცდა თუ არა სახელმწიფოები კრიზისის „აუცილებელ სიტუაციებს“, რაც

მკაცრად არის მოთხოვნილი. ამრიგად, შეფასების შიდა ზღვარს თან ახლავს ევროპული ზედამხედველობა... ამავე დროს, სასამართლომ თავისი ზედამხედველობის განხორციელებისას სათანადო მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ისეთ რელევანტურ ფაქტორებს, როგორცაა უფლებების ბუნება, რომელიც გავლენას ახდენს გადახრით, გამომწვევი გარემოებები და საგანგებო სიტუაციის ხანგრძლივობა.<sup>153</sup> საქმეში მარშალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Marshall v. the United Kingdom) სასამართლომ არ განიხილა და დაუშვებლად ცნო. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი 7 დღიანი პატიმრობა არღვევდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მის უფლებას და ამტკიცებდა, რომ არ ჰქონდა ეფექტური საშუალება მისი სასამართლოში გასაჩივრების. მისი აზრით დაყოვნება წარმოადგენდა მე-5(3) მუხლის ოპერატიულობის მოთხოვნის დარღვევას, რომელიც ვერ გამართლდებოდა მე-15(1) მუხლით. სასამართლომ აქ დაასკვნა, რომ ადმინისტრაციულ დაკავებას 7 დღის ვადით არ გამოუწვევია გადალახვა იმ შეფასების ზღვრის, რაც ენიჭება ხელისუფლებას საზოგადოებისთვის საფრთხის მიმართ მათი რეაგირების განსაზღვრისას.<sup>153</sup> ეს მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ სავარაუდოა, რომ სასამართლო გამოიყენებს ქვეყნების მიმართ პატივისცემის ფართო ხარისხს. ამიტომ გადახრის დებულებები შეიძლება ითქვას ნაკლებად სასარგებლო შეიძლება იყოს უფლებების დასაცავად, მაშინ როდესაც სახელმწიფოებს შეუძლიათ თავისი ქმედება გაამართლონ მით უმეტეს უცნობი დაავადების ფონზე.

სასამართლოს არ მოეთხოვება მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის ომის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი ძალადობა ან არეულობა ომის დროს მოხდება მეორე ნაწილის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს მისი დროებითობის მოთხოვნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ეს არ ნიშნავს იმას,

რომ ის არ შეიძლება მრავალი წელი გაგრძელდეს.<sup>172</sup> საქმეში (CASE OF BAŞ v. TURKEY) ბასი თურქეთის წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც სახელმწიფო იბრძვის საგანგებო მდგომარეობის წინააღმდეგ, ერის სიცოცხლე დაუცველი დარჩება თუკი მას მოეთხოვება ყველაფრის ერთად შესრულება, ყოველი არჩეული მოქმედების საშუალება თავიდანვე იყოს უზრუნველყოფილი ყოველი გარანტიით, რომელიც შეესაბამება ხელისუფლების სათანადო ფუნქციონირებას. კონვენციის მე-15 მუხლის ინტერპრეტაციამ უნდა დატოვოს ადგილი პროგრესული ადაპტაციისთვის.<sup>173</sup>

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ამდიდრებს ევროპული კონვენციით მინიჭებულ უფლებებს საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა გადახვევების სამართლებრივი გამოყენების მექანიზმებს. რიგ საკითხებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო იძლევა ძალიან ცხად და მკაფიო განმარტებებს რომლებიც ხელშემკვრელ სახელმწიფოთათვის კარგი სახელმძღვანელოა. არის რიგი საკითხები, რომლებიც სახელმწიფოთა უშუალოდ უფლებამოსილებათა ფარგლებს განეკუთვნება, თუმცა საბოლოოდ ისიც ემორჩილება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის დარღვეულ უფლებათა აღდგენის ყველაზე ეფექტური მექანიზმია, რაც ზრდის მის როლსა და მნიშვნელობას. სასამართლო გადაწყვეტილებები ცალკეულ საკითხებზე მნიშვნელოანია და პრეცედენტული თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა საქმე თავისი თავისებურებებით გამოირჩევა, საჭიროებს შესწავლას, რამდენად საჭირო იყო სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები და რამდენად იყო მოთხოვნილი შექმნილი მდგომარეობის სიმწვავით. საგანგებო

---

<sup>172</sup> Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights, Derogation in time of emergency, Updated on 31 December 2021. [shorturl.at/bsKWY](https://shorturl.at/bsKWY) [30.05.2022].

<sup>173</sup> Case of BAŞ v. TURKEY. (Application no. [66448/17](https://shorturl.at/csABI)). [shorturl.at/csABI](https://shorturl.at/csABI) [30.05.2022].



მდგომარეობის გამოცხადებით სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობის ტვირთი ადამიანის უფლებებიდან გადახრასთან დაკავშირებით. სავარაუდოა, რომ სასამართლო გამოიყენებს ქვეყნების მიმართ პატივისცემის ფართო ხარისხს და სახელმწიფოებს კი აქვთ საშუალება ამტკიცონ განხორციელებული ზომების საჭიროება, უცნობი პანდემიების ფონზე ეს ადვილად მისაღწევი ჩანს. დაგროვილი სასამართლო პრაქტიკა კარგი სახელმძღვანელოა ქვეყნებისთვის საგანგებო მდგომარეობის მართვის კუთხით.

### 3.2 ევროპის საბჭოს რეკომენდაციები

ევროპის საბჭო არის ევროპული ქვეყნების ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს დაიცვას დემოკრატია და ადამიანის უფლებები და ხელი შეუწყოს ევროპული ერთიანობის ხელშეწყობას სამართლებრივ, კულტურულ და სოციალურ საკითხებზე თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით,<sup>174</sup> სწორედ, რომ ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, პირველი კონვენცია და მისი მთელი საქმიანობის ქვაკუთხედი. იგი მიღებულ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1953 წელს.<sup>175</sup> „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიიჩნევა ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებად. ევროპული კონვენცია პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელმაც განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები“.<sup>176</sup> „საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესის მზგავსად, არც ევროპული კონვენცია აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღიაროს კონვენცია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად და, შესაბამისად, უშუალოდ გამოიყენოს მისი დებულებები ეროვნულ დონეზე, მათ შორის სასამართლო

<sup>174</sup> Council of Europe. [shorturl.at/kptW0](https://shorturl.at/kptW0) [30.05.2022]

<sup>175</sup> A Convention to protect your rights and liberties. [shorturl.at/glnS7](https://shorturl.at/glnS7) [30.05.2022]

<sup>176</sup> კორკელია, ვ. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. თბილისი 2007წ. გვ:6-7 [shorturl.at/uAU08](https://shorturl.at/uAU08) [30.05.2022].

დავების გადასაწყვეტად. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ევროპული კონვენციის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარება კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების განსაკუთრებით ეფექტიანი საშუალებაა<sup>177</sup>. „ევროპის საბჭოს ორგანოა მინისტრთა კომიტეტი და საკონსულტაციო ასამბლეა, ორივე ორგანოს ემსახურება ევროპის საბჭოს სამდივნო. მინისტრთა კომიტეტი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს სახელით მე-15 მუხლის შესაბამისად. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები ეხება ასევე მე-15 მუხლის მნიშვნელოვან საკითხებს.<sup>178</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია აძლევს უფლებას ამ კონვენციის წევრ ქვეყნებს გადაუხვიონ საგანგებო მდგომარეობის დროს კონვენციის მე-15 მუხლიდან. ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეხმარება ცალკეული მუხლების გაგებისა და მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. მე-15 მუხლის პუნქტები შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

1) ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვანდებულებებიდან გადახვევის მიზნით, მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.

1) დაუშვებელია წინარე პუნქტის საფუძველზე კონვენციის მე-2 მუხლიდან გადახვევა, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით

---

<sup>177</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. თებერვალი. გვ:42 [shorturl.at/htRV8](http://shorturl.at/htRV8) [30.05.2022].

<sup>178</sup> ევროპის საბჭოს წესდება 1949 წლის 5 მაისი. [shorturl.at/mnuV3](http://shorturl.at/mnuV3) [30.05.2022].

გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, გადახვევა მე-3, მე-4 (პუნქტი 1) და მე-7 მუხლებიდან.

2) ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზნების შესახებ. იგი აგრეთვე ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა სრული ამოქმედების თარიღს<sup>.179</sup>

ევროპული კონვენციის საფუძველზე „ადამიანის უფლებათა შეზღუდვების ანალიზამდე მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა შეზღუდვები, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებებისაგან გადახვევები. ევროპული კონვენცია ითვალისწინებს, როგორც ადამიანის უფლებათა შეზღუდვებს, ისე ადამიანის უფლებებისაგან გადახვევებს. თუ ადამიანის უფლებათა შეზღუდვები, ჩვეულებრივ, წესდება ორდინარულ სიტუაციაში, ადამიანის უფლებათა გადახვევები დაშვებულია საგანგებო მდგომარეობით ან ომით გამოწვეულ არაორდინარულ სიტუაციაში“<sup>.180</sup>

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციის“ მე-8, მე-9, მე-10, მე-11 მუხლების მე-2 ნაწილების მიმართება ამავე კონვენციის მე-15 მუხლთან, რადგან შეზღუდვების ის სტანდარტი, რომელიც ევროპული კონვენციით არის განსაზღვრული ძირითად უფლებებთან დაკავშირებით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ევროპული კონვენციის მიხედვით ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების არსებობის შემთხვევაში, ასევე ის უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. კერძოდ მე-8 (პირადი

<sup>179</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 15. [shorturl.at/goY56](http://shorturl.at/goY56) [30.05.2022].

<sup>180</sup> კორკელია. კ. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში COVID-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. 2020-2021წელი. გვ:11. [shorturl.at/CUVY0](http://shorturl.at/CUVY0) [30.05.2022].

და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლები ითვალისწინებს შეზღუდვებს შემდეგი ლეგიტიმური მიზნების არსებობის შემთხვევაში: ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის, უწყესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთის, ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად, სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცად, ასევე სხვათა რეპუტაციის დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების აღსაკვეთად, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.<sup>181</sup>რაც შეეხება კონვენციის მე-9 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) მუხლს, იგი ითვალისწინებს შეზღუდვებს შემდეგი ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში: დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.<sup>182</sup>კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) შეიძლება შეიზღუდოს: დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.<sup>183</sup> სახელმწიფოებს ეკრძალებათ სხვა მიზნებისთვის ამ მუხლების გამოყენება, ამას ადასტურებს ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი, რომელიც

---

<sup>181</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 8. [shorturl.at/dSYZ6](http://shorturl.at/dSYZ6) [30.05.2022]

<sup>182</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 9. [shorturl.at/dSYZ6](http://shorturl.at/dSYZ6) [30.05.2022]

<sup>183</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 10. [shorturl.at/dSYZ6](http://shorturl.at/dSYZ6) [30.05.2022]

დაუშვებლად მიიჩნევს კონვენციით დაწესებულ შეზღუდვებს სხვა მიზნებისთვის გამოყენებას.<sup>184</sup>ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დაყრდნობით მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე) საინტერესოა საქმე-კლასი გერმანიის წინააღმდეგ (*Klass v. Germany*), რომელშიც განმცხადებელი საიდუმლო თვალთვალს მის პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ჯაშუშობის და ტერორიზმის ის ფორმები, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას, საიდუმლო თვალთვალი, რომელიც მიმართულია ასეთი საფრთხის მოსაგერიებლად, კონვენციური მიზნებისთვის ლეგიტიმურია.<sup>185</sup>რაც შეეხება ევროპული კონვენციის მე-9 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) მუხლი, მის შეზღუდვას ევროპული კონვენცია ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის დროსაც, საქართველოს კონსტიტუცია კი მას დაუშვებლად მიიჩნევს, ამ მხრივ საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლს ითვალისწინებს შეზღუდვას (გადახვევას) ადამიანის უფლებებიდან ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს. მე-15 მუხლთან მიმართებით ევროპულმა კონვენციამ ცალსახად განსაზღვრა იმ ლეგიტიმური მიზნის არსებობა, რომლის დროსაც დასაშვებია გადახვევა ადამიანის ძირითადი უფლებებიდან, როგორც აღვნიშნეთ ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვა მიზნებისთვის ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – ლოულესი ირლანდიის წინააღმდეგ (*Lawless v. Ireland*) – შემდეგნაირად განმარტა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს: „საგამონაკლისო სიტუაცია ან საგანგებო კრიზისი, რომელიც

---

<sup>184</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, მუხლი 18. [30.05.22]

<sup>185</sup> კორკელია, კ. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს გამოცდილება. თბილისი 2007. [shorturl.at/DOT37](http://shorturl.at/DOT37) გვ:20 [30.05.22]

გავლენას ახდენს მთლიან მოსახლეობაზე და არის საფრთხე იმ საზოგადოების ორგანიზებული ცხოვრებისათვის, რომლისაგანაც შედგება სახელმწიფო.<sup>186</sup>საქმეზე – დანია, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდი საბერძნეთის წინააღმდეგ (Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece) („ბერძნული საქმე“) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა: იმისათვის, რომ საგამონაკლისო სიტუაცია ჩაითვალოს „საგანგებო მდგომარეობად“ ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის გაგებით, მას უნდა ჰქონდეს შემდეგი ნიშნები: ა) ის უნდა იყოს არსებული ან გარდაუვალი; 2) ის გავლენას უნდა ახდენდეს მთელ ერზე; 3) საზოგადოების ორგანიზებული ცხოვრების გაგრძელება უნდა იყოს საფრთხეში; 4) კრიზისი ან საფრთხე უნდა იყოს საგამონაკლისო იმ გაგებით, რომ ჩვეულებრივი ღონისძიებები და შეზღუდვები, რომლებიც დაშვებულია კონვენციით საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად, უბრალოდ არაადეკვატურია.<sup>187</sup>აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, ევროპული კონვენცია ერთის მხრივ ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში მოცემული მიზნების შესაბამისად უშვებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას, ხოლო საგანგებო მდგომარეობას მიიჩნევს იმ საგამონაკლისო მდგომარეობად, რომლის დროსაც უშვებს გადახვევას ადამიანის უფლებებიდან, ასეთ საგამონაკლისო მიზეზად კი ის ასახელებს იმ მდგომარეობას, როცა ერის არსებობას ემუქრება საფრთხე.

ევროპული კონვენცია როგორც დავინახეთ იძლევა უფლებას გარკვეული უფლებების შეზღუდვის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე არის ის უფლებები, საიდანაც გადახვევა დაუშვებელია. მაშინ ისმება კითხვა თუ ისედაც შეუძლია ქვეყნებს გადაუხვიონ ადამიანის უფლებებიდან საჭიროებისამებრ, კანონის საფუძველზე რატომ გახდა საჭირო მისი საერთაშორისო სამართლით მოწესრიგების? იმიტომ, რომ ამ დებულებით, ერთის მხრივ სახელმწიფოთა მოთხოვნები დაკმაყოფილდა საგანგებო

<sup>186</sup> კორკელია კ. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები 2020-2021წწ. გვ: 16. [shorturl.at/afOP6](https://shorturl.at/afOP6) [30.05.2022]

<sup>187</sup> იქვე, გვ:16.

დებულებებთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ სახელმწიფოებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა, რათა მათი ქცევა მოქცეული ყოფილიყო ევროპული კონვენციის, საერთაშორისო სამართლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც დააზღვევდა რისკებს. გარდა ამისა, ქვეყნებს დაუწესდათ ის სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილებაც მართებთ სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის დროს. გარდა ამისა, ის მოთხოვნა, რომ ქვეყნებმა მხოლოდ კანონის საფუძველზე ისარგებლონ და ისე გადაუხვიონ ადამიანის უფლებებს მეტი დაცვის მექანიზმია ჩადებული, რამეთუ სახელმწიფოები იძულებული ხდებიან ეს საკითხები კანონით მოაწესრიგონ და ის არ გახდეს თვითნებური მოწესრიგების საგანი. სწორედ მეთხუთმეტე მუხლი ამიტომ მიიჩნევა ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტურ საშუალებათ. მაგალითად მე-8(2) იძლევა უფლებას ამ მუხლიდან გადახვევის, მაგრამ ამ დროს ჩვენ სახეზე გვექნება დე ფაქტო საგანგებო მდგომარეობა, რომელსაც არ ექნება გამჭირვალობა და დამატებითი ზედამხედველობა.<sup>188</sup> შეზღუდვები ადამიანის უფლებათა სახელმწიფო სისტემის აუცილებელი და ნორმალური ელემენტია, რადგან მათ გარეშე იარსებებდა ინდივიდის აბსოლუტური უფლებების შეუზღუდავი სისტემა. სახელმწიფოს მოეთხოვება ყველა საშუალების ამოწურვა სანამ ის გამოიყენებს გადახვევის დებულებებს. ამასთან ადამიანის უფლებათა შეზღუდვის დასაბუთებულობა ორგვარია: პირველი შეზღუდვები ხაზს უსმევს იმას, რომ ადამიანის უფლებები იშვიათად არის აბსოლუტური, რაც ადამიანის უფლებათა ჩარჩოს მართვადს ხდის, და მეორე, ადამიანის უფლებების უმეტესობა ასახავს ბალანს ინდივიდუალურსა და საზოგადოების ინტერესებს შორის<sup>189</sup>

ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ გამოწვევებს, რომელიც შექმნა კოვიდ-19 პანდემიამ. ვინაიდან „ადამიანის უფლებათა და ძირითად

---

<sup>188</sup> Sean Molloy. Covid-19 and Derogations Before the European Court of Human Rights. 10 april. 2020. [shorturl.at/fgT02](https://www.shorturl.at/fgT02) [30.05.2022].

<sup>189</sup> Amrei Muller „ Limitations to and Derogations from Economic, Social and Cultural Rights”, 2009, pg:8-9

თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“ არის ადამიანის უფლებათა ვალდებულებებიდან გადახვევისა და ადამიანის უფლებათა შეზღუდვების საფუძველი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეახსენებს სახელმწიფოებს კონვენციიდან გამომდინარე მათ ვალდებულებებს კოვიდ-19-ის პანდემიის დროს. დოკუმენტი მიუთითებს, რომ სხვადასხვა ღონისძიება შეიძლება გატარდეს კოვიდ-19-ის საფრთხის საპასუხოდ, კერძოდ: „მაშინ როდესაც ზოგიერთი შეზღუდვითი ღონისძიებები, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები იღებენ, შეიძლება გამართლდეს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტული დებულებების საფუძველზე (იხ. კონვენციის მე-5 მუხლის 1(ე)-ლი პუნქტი, მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტები, კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი) საგამონაკლისო ხასიათის ღონისძიებები შეიძლება საჭიროებდეს გადახვევას კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებიდან“.<sup>190</sup> ევროპის საბჭომ 2020 წლის 7 აპრილს გამოსცა საინფორმაციო დოკუმენტი სახელწოდებით: „დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა კოვიდ-19-ის სანიტარული კრიზისის პირობებში: ინსტრუმენტების ნაკრები წევრი ქვეყნებისთვის“. აღნიშნული დოკუმენტი ჯერ კიდევ შესავალ ნაწილში მიუთითებს, რომ „ნაშრომის მიზანია დღევანდელი და უპრეცედენტო სანიტარული კრიზისი გადაჭრას ისე, რომ პატივი ვცეთ კანონის უზენაესობას, დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს. აღიარებულია, რომ მთავრობები დიდი გამოწვევების წინაშე დგანან თავიანთი მოსახლეობის დასაცავად კოვიდ-19-ის საფრთხისგან. აქვე დოკუმენტი კიდევ ერთხელ მოიუთითებს, რომ მიღებული ზომები საფრთხის პროპორციული უნდა დარჩეს და დროში შეზღუდული. ვირუსი ანადგურებს ბევრ სიცოცხლეს და ბევრ სხვა რამეს რაც ჩვენთვის ძალიან ძვირფასია, მაგრამ ჩვენ არ უნდა

---

<sup>190</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში Covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. გვ:33 [shorturl.at/IAJ08](http://shorturl.at/IAJ08) [30.05.2022].



დავუშვათ, რომ მან გაანადგუროს ჩვენი ძირითადი ღირებულებები და თავისუფალი საზოგადოება“.<sup>191</sup> ამავე დოკუმენტში ევროპის საბჭო მიუთითებს კიდევ ერთხელ, რომ სახელმწიფოებმა შეიძლება ისარგებლონ გადახრებით ადამიანის ძირითადი უფლებებიდან, მაგრამ ნებისმიერი გადახრა შეფასდება ევროპული სასამართლოს მიერ. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს კონვენციის ფორმალურ მოთხოვნებზე, რომელიც შეეხება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შეტყობინებას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი“.<sup>8</sup> ევროპის საბჭო ასევე ყურადღებას ამახვილებს კონვენციურ მუხლებზე საიდანაც გადახვევა დაუშვებელია, ესენია: „სიცოცხლის უფლება, გარდა ომის კანონიერი აქტებისა (მუხლი 2), წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა ან სასჯელი (მუხლი 3), მონობისა და მონური მდგომარეობის აკრძალვა (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი) და წესი „არანაერი სასჯელი კანონის გარეშე“ (მუხლი 7). არავინ არ უნდა იყოს გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ ერთი და იმავე დანაშაულისათვის (მე-6 და მე-13 ოქმები, ისევე როგორც მე-7 ოქმის მე-4 მუხლი).“<sup>192</sup> დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს და ამბობს, რომ ნებისმიერ გადახრას უნდა ჰქონდეს მკაფიო საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში რათა დაცული ვიყოთ თვითნებობისაგან და უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი საგანგებო მდგომარეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ყველა ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რათა დაცული იყოს დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებები, როგორცაა პლურალიზმი, ტოლერანტობა და ფართო აზროვნება. სასამართლომ შეიძლება გაამართლოს გარვეული გადახრები, მაგრამ ისინი ვერასოდეს გაამართლებენ რაიმე ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის უმთავრეს მოთხოვნებს კანონიერებისა და პროპორციულობის

---

<sup>191</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. [shorturl.at/bAG48](https://shorturl.at/bAG48) [30.05.2022].

<sup>192</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. pg:2 [shorturl.at/bAG48](https://shorturl.at/bAG48) [30.05.2022].

მოთხოვნებს.<sup>193</sup> დოკუმენტში საუბარია კანონიერების პრინციპის მნიშვნელობაზე და რომ საგანგებო სიტუაციებშიც კი დაცული უნდა იყოს კანონის უზენაესობა. დოკუმენტი ასევე კიდევ ერთხელ ხაზს უსმევს საგანგებო მდგომარეობის დროებით ხასიათს. საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობებს შეუძლიათ ისარგებლონ ზოგადი უფლებამოსილებით და გამოსცენ კანონის ძალის მქონე დეკრეტი. ეს მისაღები იქნება იმ პირობით, თუკი ეს ზოგადი უფლებამოსილებები შეზღუდული ხანგრძლივობის იქნება. საგანგებო მდგომარეობა უნდა აუცილებლად ექვემდებარებოდეს კონტროლს პარლამენტის მხრიდან. დაუშვებელია აღმასრულებლის ზოგადი უფლებამოსილება უსასრულოდ გაგრძელდეს. საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებული ნებისმიერი კანონმდებლობა ასევე უნდა შეიცავდეს მკაფიო ვადებს ამ განსაკუთრებული ზომების ხანგრძლივობის შესახებ. მართლაც, საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეული კონკრეტული, მიზანმიმართული ღონისძიებების გაგრძელება, მაგრამ ასეთი გაფართოება პარლამენტის კომპეტენციაში შედის ჩვეულებრივი პროცედურებით.<sup>194</sup> ევროპის საბჭო ამ დოკუმენტში კიდევ ერთხელ ხაზს უსმევს პარლამენტის როლს და მნიშვნელობას საგანგებო მდგომარეობის დროს, განსაკუთრებით პარლამენტმა უნდა შეინარჩუნოს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის როლი განსაკუთრებით გონივრულ ინტერვალებში გადამოწმების გზით, არის თუ არა გამართლებული აღმასრულებელი ხელისუფლების საგანგებო უფლებამოსილებები, თუ დროებითი ჩარევა აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების შესაცვლელად ან გასაუქმებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის დაშლა შეუძლებელია და მართლაც ბევრი კონსტიტუციით პარლამენტის მანდატი

---

<sup>193</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. pg:2 [shorturl.at/bAG48](https://shorturl.at/bAG48) [30.05.2022].

<sup>194</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. pg:3 [shorturl.at/bAG48](https://shorturl.at/bAG48) [30.05.2022].

გახანგრძლივებულია საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე. ასევე დოკუმენტი სასამართლოს როლზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ უნდა შენარჩუნდეს სასამართლო ხელისუფლების ძირითადი ფუნქცია-განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლოების, სადაც ისინი არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა გამოიკვლიონ ადამიანის უფლებების ყველაზე სერიოზული შეზღუდვები, რომლებიც შემოდებულია საგანგებო კანონმდებლობით.<sup>195</sup> ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის, სასჯელის პრევენციის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ეხება თავისუფლებააღკვეთილ პირთა მკურნალობას კორონავირუსული დაავადების (COVID-19) პანდემიის კონტექსტში. ამ განცხადებაში ამავე კომიტეტის პრეზიდენტი მიკოლა გნატოვსკი აღნიშნავს, რომ „კორონავირუსული დაავადების (კოვიდ-19) პანდემიამ განსაკუთრებული გამოწვევები შეუქმნა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს ხელისუფლებას. არსებობს კონკრეტული გამოწვევები თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა ადგილებში მომუშავე პერსონალისთვის, მათ შორის პოლიციის დაწესებულებებში, პენიტენციურ დაწესებულებებში, საიმეგრაციო დაკავების ცენტრებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და სოციალური მზრუნველობის სახლებში, ასევე სხვადასხვა ახლად დაარსებულ დაწესებულებებში/ზონებში, სადაც პირები მოთავსებულია კარანტინში. მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს მტკიცე მოქმედების მკაფიო აუცილებლობას Covid-19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად და შეახსენებს ყველა სუბიექტს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური ხასიათის შესახებ. დამცავ ზომებს არასოდეს უნდა მოჰყვეს არაადამიანური ან ღირსების შემლახველი

---

<sup>195</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. pg:4 shorturl.at/bAG48 [30.05.2022].

მოპყრობა თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ“.<sup>196</sup> ამავე კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირებზე და აღნიშნა, რომ „მთავრობებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს დაცული იყოს ყველა ადამიანის უფლებები, ვინც რჩება პატიმრობაში, ხოლო მხედველობაში მიიღება ყველაზე დაუცველი დაკავებულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ორსული ქალებისა და არასრულწლოვანი პატიმრების სპეციფიკური საჭიროებები. დაკავებულებზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს არადისკრიმინაციული, აუცილებელი, პროპორციული, დროში შეზღუდული და გამჭვირვალე. მაგალითად, როდესაც ოჯახური ვიზიტებისა და სხვა გარე კონტაქტების შეზღუდვა აუცილებელია, ისინი აუცილებლად უნდა შემცირდეს ალტერნატიული ღონისძიებებით, როგორცაა სატელეფონო ან ვიდეო კომუნიკაციებზე გაფართოებული წვდომა. წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი არასოდეს უნდა დაირღვეს ციხეებში მიღებული ზომებით, მათ შორის ჯანმრთელობის მიზეზების გამო იზოლაციის შემთხვევაში. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული პატიმართა და ციხის პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად“.<sup>197</sup> გენერალური მდივნის დოკუმენტი ასევე საუბრობს, რომ კონვენციით გარანტირებული მე-8 (პირადი და ოჯახული ცხოვრების დაცულობის უფლება), მე-9 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), მე-10(გამოხატვის თავისუფლება) და მე-11(შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლებით სარგებლობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს წარმოადგენს. მათი შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დადგენილია კანონით და პროპორციულია დასახული ლეგიტიმური

---

<sup>196</sup> Covid-19: Council of Europe anti-torture Committee issues “Statement of principles relating to the treatment of persons deprived of their liberty”. 2020. [shorturl.at/kqyGJ](https://shorturl.at/kqyGJ) [30.05.2022].

<sup>197</sup> COVID-19 pandemic: urgent steps are needed to protect the rights of prisoners in Europe. [shorturl.at/aeswY](https://shorturl.at/aeswY) [30.05.2022].

მიზნის მიმართ, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული უფლებების გაძლიერებული შეზღუდვები შეიძლება სრულად იყოს გამართლებული კრიზისის დროს, მკაცრი სისხლის სამართლის სანქციები იწვევს შემფოთებას და უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ შემოწმებას. სიტუაციებმა არ უნდა გამოიწვიოს კრიმინალური საშუალებების გადაჭარბება. სამართლიანი ბალანსი იძულებასა და პრევენციას შორის ყველაზე შესაფერისია, თუ არა ერთადერთი გზაა კონვენციის პროპორციულობის მოთხოვნის შესასრულებლად.<sup>198</sup> დოკუმენტი ასევე მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის ინფორმაციის თავისუფალი და დროული ნაკადი, არის კრიტიკული ფაქტორი მედიის შესაძლებლობებისთვის გააშუქონ პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები. მედიას და პროფესიონალ ჟურნალისტებს, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ მაუწყებლებს, აქვთ საკვანძო როლი და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საზოგადოებისთვის დროული, ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდების, ასევე პანიკის თავიდან აცილებისა და ხალხის თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის.<sup>199</sup> დოკუმენტი ასევე საუბრობს დისკრიმინაციაზე Covid-19 პანდემიის დროს, როდესაც იგი აფასებს გადახრის ზომებს იყო თუ არა მკაცრად აუცილებელი კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად, სასამართლო იკვლევს, ასეთი ღონისძიებები ახდენს თუ არა გაუმართლებელ დისკრიმინაციას სხვადასხვა კატეგორიის პირებს შორის.<sup>200</sup>

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ევროპის საბჭო კარგად აცნობიერებს მის მნიშვნელოვან როლს საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის

---

<sup>198</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. pg:6 [shorturl.at/opsvA](https://shorturl.at/opsvA) [30.05.2022].

<sup>199</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. pg:6. [shorturl.at/opsvA](https://shorturl.at/opsvA) [30.05.2022].

<sup>200</sup> Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states, 7 April 2020. pg:7. [shorturl.at/opsvA](https://shorturl.at/opsvA) [30.05.2022].

უფლებათა დაცვის სფეროში, ამ მიზნით გაიცა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავდა წევრი ქვეყნებისთვის გაემარტივებინათ კოვიდ-19 პანდემიით შექმნილი მდგომარეობის დროს ეფექტიანი ფუნქციონირება. განხორციელებული ღონისძიება მიზნად ისახავდა ასევე დახმარებას ევროვნული მთავრობებისთვის. ევროპის საბჭო ითვალისწინებს რა ზოგადად საგანგებო მდგომარეობის სირთულეს, მან არაერთხელ გაუსვა ხაზი მის დროებითი ხასიათის მნიშვნელობას. ევროპის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხზე და მის დროულ განხორციელებაზე დამოკიდებული პანდემის სწრაფი დასრულება და მართვა. ეროვნული ხელისუფლებები ევროპის საბჭოსთან ერთად მიიჩნევა საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ გარანტიად. ევროპის საბჭოს რეკომენდაციები მისი ბუნებით სავალდებულოა მისი წევრი ქვეყნებისთვის, რაც კიდევ ერთხელ ზრდის მის ეფექტიანობას.

#### 4 თავი: ეროვნული კანონმდებლობა საგანგებო მდგომარეობის შესახებ

##### 4.1 საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები

კონსტიტუცია „თავისი არსით არის თავისუფლების მანიფესტი, მისი უმთავრესი დანიშნულებაა ადამიანის, როგორც ღირსებადაცული პიროვნების, მიზნის აღიარება, უზრუნველყოფა. შესაბამისად, პირველ რიგში ყველაზე ეფექტიანი სწორედ კონსტიტუცია უნდა იყოს, ქმედითი ინსტრუმენტი სახელმწიფო ხელისუფლების ადამიანის თავისუფლების სამსახურში ჩაყენებისთვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თუ როგორი იქნება კონსტიტუციის თითოეული ნორმა, დებულება. უმთავრესი მაინც ისაა, რომ არჩევანი გაკეთდეს სწორად შერჩეულ ღირებულებათა სისტემაზე-ფასეულობებზე, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს წესრიგს, სადაც ადამიანი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას, სახელმწიფო და სამართალი კი ინსტრუმენტებს“.<sup>201</sup>

კაცობრიობის ისტორიამ ცხადად გვიჩვენა, რომ „სამართალი არის ცივილიზაციის განვითარების მამოძრავებელი ძალა, რომლის ძირითადი დანიშნულება არის საზოგადოებაში წესრიგისა და ჰარმონიის თანაარსებობის უზრუნველყოფა. ამ სოციალურ მიზანს ემსახურება სამართლის ის ნაწილი, რომელსაც კონსტიტუციურ სამართალს, ან სახელმწიფო სამართალს უწოდებენ.“<sup>202</sup>

საქართველოს კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ დებულებებს, რამეთუ ამ დროს ხდება ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა. საგანგებო მდგომარეობაზე საუბარი უნდა დავიწყოთ 1921 წლის 21 თებერვლის

---

<sup>201</sup> გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩილაძე, გ., ჭილაძე, ნ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2017წ. გვ:18

<sup>202</sup> დემეტრაშვილი, ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. გამომცემლობა ფონდი „ღია საზოგადოება“. თბილისი 2005წ. გვ:13 [shorturl.at/blmnp](http://shorturl.at/blmnp) [30.05.2022].

კონსტიტუციიდან, მას შემდეგ რაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა და მიღებულ იქნა პირველი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, თუმცა დღევანდელი ფორმით, როგორც საგანგებო მდგომარეობას მას არ მოიხსენიებს. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია არ იცნობს მსგავს დებულებას საგანგებო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ გვხვდება ცალკეული დებულებები საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 43-ე მუხლი აძლევდა პარლამენტს უფლებას დროებით „შეეჩერებინა“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში ადამიანის გარკვეული უფლებების მოქმედება, როგორც ამბოხების ასევე ომის დროს. ეს მუხლებია: მე-19 მუხლი (სიკვდილით დასჯის გაუქმება), 22-ე მუხლი (ეხება პიროვნების ხელშეუხებლობას), 25-ე მუხლი (შეეხება დამნაშავეს სასამართლოში წარდგენის ვადებს), 26-ე მუხლი (შეეხება სასამართლოს ვალდებულებას), 27-მუხლი (ისევ სასამართლო ვალდებულებას ეხება), 28-ე მუხლი (ეხება ყველა პირის ბინის ხელშეუხებლობას, მხოლოდ სასამართლოს დადგენილების გზით შეიძლებოდა მისი გაჩხრეკა მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში), 29-ე მუხლი (ეხება კერძო მიწერ-მოწერის ხელშეუხებლობას, მხოლოდ სასამართლოს ჰქონდა უფლება ამოხმობის და გადასინჯვის), 30-ე მუხლი (შეეხებოდა მიმოსვლისა და ბინადრობის უფლებას, ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს შეეძლო), 32- მუხლი (ყველა მოქალაქეს ჰქონდა უფლება სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რაიმე ღონისძიებით საკუთარი აზრის გამოთქმის და გაავრცელების), 33-ე მუხლი (ეხება შეკრების თავისუფლებას საჯაროდ და უიარაღოდ), 38-ე მუხლი (მუშათა გაფიცვის თავისუფლება). პარლამენტი თუ შეკრებილი არ იყო, მთავრობას შეეძლო თავისი პასუხისმგებლობით შეეჩერებინა ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა მოეწვია პარლამენტი და წარედგინა დადგენილება.<sup>203</sup> მოქმედი კონსტიტუციისგან განსხვავებით

---

<sup>203</sup>საქართველოს კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალი, მუხლი 43.



1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია არაფერს საუბრობს ეპიდემიებზე, ბუნებრივ კატასტოფებზე, მაგრამ კონსტიტუციის 44-ე მუხლი საუბრობს დიდ ეპიდემიებზე, რომლის დროსაც მთავრობას უფლება ჰქონდა „შეჩერებინა“ დროებით 22, 25, 26, 30-ე მუხლების მოქმედება.<sup>204</sup>

მინდა ყურადღება გავამახვილო ტერმინ ადამიანის უფლებათა დროებით შეჩერებაზე. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია იცნობს მხოლოდ ამ ტერმინს. რა თქმა უნდა 1921 წლის კონსტიტუცია ვერ იქნებოდა სრულყოფილი, მაშინ როცა ის ის იყო ფეხს იდგამდა, შესაბამისად საგანგებო მდგომარეებასთან დაკავშირებული გარკვეული დებულებები სრულად ვერ იქნებოდა ასახული კონსტიტუციაში, თუმცა იმ დროისთვის ის იყო უდაოდ პროგრესული. სამწუხაროა, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ მხოლოდ 4 დღე იარსება და მან შეწყვიტა კიდევ არსებობა.<sup>205</sup>

რაც შეეხება 1921 წლის შემდგომ პერიოდს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონს“, მას მცირე კონსტიტუციასაც უწოდებენ. „ამ კანონით მოწესრიგდა სახელმწიფო მმართველობის საკითხები. კერძოდ, ჩამოყალიბდა ჰიბრიდული სახელმწიფოს მმართველობის მოდელი, სადაც პარლამენტის თავჯდომარე სახელმწიფო მეთაურის სტატუსსაც ითავსებდა. აღნიშნული მოდელი არ იყო თავსებადი დემოკრატიულ სივრცეში არსებულ არცერთ მმართველობის ფორმასთან და ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი ამავედროულად ხელმძღვანელობდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, მის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებდა მთავრობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. აღნიშნული სისტემა 1995 წლის 24 აგვისტოს

---

[shorturl.at/ijPV8](http://shorturl.at/ijPV8) [30.05.2022].

<sup>204</sup> საქართველოს კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვლი, მუხლი 43. [shorturl.at/ijPV8](http://shorturl.at/ijPV8) [30.05.2022].

<sup>205</sup> დემეტრაშვილი, ა. საქართველოს 1921 წლის 2 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან. ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან- საქართველოს 1921 კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი 2011წ. გვ:11 [shorturl.at/DJW05](http://shorturl.at/DJW05) [30.05.2022].

კონსტიტუციის მიღების შემდგომ გაუქმდა“.<sup>206</sup> საქართველოს რესპუბლიკის „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის“ მე-17 მუხლის მე-18 პუნქტი „ანიჭებდა უფლებას პარლამენტის თავჯდომარეს-სახელმწიფო მეთაურს მობილიზაციის გამოცხადების, საომარი მდგომარეობის გამოცხადების, სამხედრო მდგომარეობის და ასევე მას ჰქონდა უფლებამოსილება გამოეცხადებინა საგანგებო წესები, მიღებული გადაწყვეტილება კი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინა პარლამენტში“.<sup>207</sup> „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონი“ ასევე ითვალისწინებდა „ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შექმნას“ ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით“.<sup>208</sup> 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად გამოცხადდა. სახელმწიფო მართვის საპარლამენტო ფორმისთვის კი დამახასიათებელია საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ამ კონსენსუსის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) ფორმირება, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ კი სახელმწიფო მართვის საპრეზიდენტო ფორმა შემოიღო. მართვის ასეთი ფორმისთვის დამახასიათებელია პარლამენტისგან დამოუკიდებლად პრეზიდენტის არჩევა და პარლამენტის წინაშე მინიმალური პასუხისმგებლობა“.<sup>209</sup> რაც შეეხება 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციას, იგი დაეფუძნა სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას. ამ კონსტიტუციის მიხედვით საქართველო გამოცხადდა საპრეზიდენტო რესპუბლიკად, ხოლო ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის განსაზღვრა კი პარლამენტის

---

<sup>206</sup> კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:26-27

<sup>207</sup> საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ 06/11/1992, მე-17 მუხლის მე-18 პუნქტი. [shorturl.at/mBHQV](http://shorturl.at/mBHQV) [30.05.2022].

<sup>208</sup> ხავთასი, ლ. საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები. სამაგისტრო ნაშრომი თსუ. თბილისი 2019წ. გვ:43. [shorturl.at/lmsQY](http://shorturl.at/lmsQY) [30.05.2022].

<sup>209</sup> ტაბუცაძე, ი. „ისტორიული წინამძღვრები და ძირითადი პრინციპები“, საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგა, საქართველოს კონსტიტუცია საფუძვლებისა და შინაარსის მიმოხილვა. თბილისი 1997წ. გვ:6 [shorturl.at/nwz07](http://shorturl.at/nwz07) [30.05.2022].

კომპეტენციად. „მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პირვანდელი რედაქცია კლასიკური საპრეზიდენტო მმართველობის პრინციპებს ეფუძნებოდა, მან ნახევრად ავტორიტარული მმართველობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი“.<sup>210</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-5 მუხლმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა და მიუთითა, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.<sup>211</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით „პრეზიდენტს მიეცა უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა შეზღუდვის, როგორც საგანგებო, ასევე საომარი მდგომარეობის დროს. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მისი 46-ე მუხლი სწორედ, რომ ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვას მთელი ქვეყნის მასშტაბით ან მის რომელიმე ნაწილში, კერძოდ კონსტიტუციით გარანტირებული 18-ე (პიროვნების თავისუფლება), მე-20 (პირადი მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა), 21-ე (საკუთრების უფლება), 22-ე (მიმოსვლის თავისუფლება), 24-ე (აზრის, ინფორმაციის და პრესის თავისუფლება), 25-ე (შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება), 33-ე (გაფიცვის უფლება) და 41-ე (პირადი ინფორმაციის თავისუფლება) მუხლების. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებული იყოს გადაწყვეტილება შეეტანა საქართველოს პარლამენტში არაუგვიანეს 48 საათისა. კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებდა წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით“.<sup>212</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 46-ე მუხლთან დაკავშირებით ცხარე დებატები გაიმართა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსმევს ამ საკითხის აქტუალობას, კერძოდ საკითხი შეეხებოდა იმას, უნდა ჰქონოდა თუ არა პრეზიდენტს

---

<sup>210</sup> კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:29

<sup>211</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია. [shorturl.at/coKP8](http://shorturl.at/coKP8) [30.05.2022].

<sup>212</sup> კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი, თბილისი 2005წ. გვ:96 [shorturl.at/cfkLV](http://shorturl.at/cfkLV) [30.05.2022].

უფლება კანონის ძალის მქონე დეკრეტის გამოცემის, რაც დადებითად გადაწყდა და ისიც მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.<sup>213</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებდა, რომ „საქართველოს კონსტიტუცია შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს,<sup>214</sup> ხოლო მე-7 მუხლი აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო ცნობს და იცავს საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.<sup>215</sup>

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაში იყო მცირე ხარვეზი, კერძოდ: „კონსტიტუციის მე-18 მუხლი დასაშვებად მიიჩნევა დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება აღკვეთილი პირის მიმართ ფიზიკური თუ ფსიქიკური იძულების გამოყენებას საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, რაც შეუსაბამოა „ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან“ და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. ევროპული კონვენცია კრძალავს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ღირსებისა და პატივის შემლახველ ქმედებას. ეს საკანონმდებლო ხარვეზი 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში გატარებული ცვლილებით გასწორდა. მიუხედავად ამ კონსტიტუციის ხარვეზისა, ადამიანი საგანგებო და საომარი მდგომარეობის პერიოდში მაინც დაცული იყო ფიზიკური და ფსიქიკური იძულებისგან. მის ასეთ ყოვლისმომცველ დაცვას უზრუნველყოფდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომლის

---

<sup>213</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“. თბილისი 2013წ. გვ:615 [shorturl.at/bgPQS](http://shorturl.at/bgPQS) [30.05.2022].

<sup>214</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 6. [shorturl.at/nrxG6](http://shorturl.at/nrxG6) [30.05.2022].

<sup>215</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 7. [shorturl.at/nrxG6](http://shorturl.at/nrxG6) [30.05.2022].

პირველი პუნქტი ადამიანის ღირსებას ხელშეუხებლად აცხადებდა, მე-2 პუნქტით კი დაუშვებლად მიიჩნევდა „ადამიანის წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ ან პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას და სასჯელის გამოყენებას. კონსტიტუცია ამ დებულებით აბსოლუტურად კრძალავდა ადამიანის ღირსების შემლახველ მოქმედებას და არ უშვებდა არავითარ გამონაკლისს საერთო წესიდან“.<sup>216</sup>

კიდევ ერთი საკითხი რაზეც ყურადღება მინდა გავამახვილო არის ის, რომ საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“<sup>217</sup> არ ითვალისწინებს შეტყობინების ვალდებულებას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისად, მაშინ როდესაც ასეთი ვალდებულება გამომდინარეობს თავად „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციიდან“, კერძოდ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტიდან.<sup>218</sup> საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ და მისი მე-15 მუხლი შეტყობინების ვალდებულებას აკისრებს მხოლოდ „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და გაუქმების შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს გენერალური მდივნისადმი“, მსგავსი შეტყობინების გაკეთების ვალდებულებას ითვალისწინებს „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“,<sup>219</sup> კერძოდ მე-4 მუხლის მესამე პუნქტი, რომლის რატიფიკაციაც საქართველომ მოახდინა 1994 წლის 3 მაისს.<sup>220</sup> ამიტომ ვფიქრობ კანონში „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ ეს ვალდებულებაც უნდა ჩაიწეროს.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მხოლოდ საქართველოს

---

<sup>216</sup> კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი. თბილისი 2005წ. გვ:97-98 [shorturl.at/acfi2](http://shorturl.at/acfi2) [30.05.2022].

<sup>217</sup> საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, 17/10/1997, [shorturl.at/eUWY5](http://shorturl.at/eUWY5) [30.05.2022].

<sup>218</sup> ადამიანის უფლება და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 11/04/1950, [shorturl.at/hpuOP](http://shorturl.at/hpuOP) [30.05.2022].

<sup>219</sup> საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, 17/10/1997, მუხლი 15. [shorturl.at/coxU3](http://shorturl.at/coxU3) [30.05.2022].

<sup>220</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 16/12/1966, მე-4 მუხლის 3-ე პუნქტი. [shorturl.at/hjAF8](http://shorturl.at/hjAF8) [30.05.2022].

პრეზიდენტი იყო უფლებამოსილი ბრძანებულებით გამოეცხადებინა ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობა და ეს გადაწყვეტილება 48 საათის განმავლობაში უნდა წარედგინა პარლამენტისთვის დასამტკიცებლად. აღნიშნული მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი აღჭურვილი იყო უფლებით, მიეღო გადაწყვეტილება და „შეეზღუდა“ საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრული რიგი უფლებები და თავისუფლებანი. მოცემული გადაწყვეტილება ფორმდებოდა კანონის ძალის მქონე აქტით–დეკრეტით, რომელიც გამოცემიდან 48 საათში უნდა წარედგინა პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებდა პრეზიდენტის მიერ გამოცემულ დეკრეტს, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა უქმდებოდა. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ პარლამენტის მიერ დეკრეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აღნიშნული მდგომარეობა უქმდებოდა, თუმცა გაუქმებამდე მას ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც ექნებოდა მაშინ, თუ პარლამენტი მას დაამტკიცებდა”.<sup>221</sup>

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციიდან 2004 წლამდე განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები.<sup>222</sup> 1995-2004 წლებში განხორციელებულ ცვლილებათა მთავარი მიზანი იყო ისეთი კონსტიტუციის შექმნა, რომელიც დააბალანსებდა ხელისუფლების შტოთა უფლებამოსილებებს, ნაცვლად ამისა მივიღეთ პრეზიდენტის გაზრდილი უფლებამოსილებები. „მსგავსი დანაწილება უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს ერთი რომელიმე ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების მითვისება, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალაუფლების მიმთვისებელი ხელისუფლება” ავტომატურად იქცევა სხვა ხელისუფლების განშტოებების ზემდგომად, რაც აუცილებლად

---

<sup>221</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“. თბილისი 2013წ. გვ:613 [shorturl.at/aBDY6](http://shorturl.at/aBDY6) [30.05.2022].

<sup>222</sup> გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩილაძე, გ., ჭილაძე, ნ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2017წ. გვ:122

გამოიწვევს ძალაუფლების იმგვარად გამოყენებას, რითაც შეიზღუდება დანარჩენი ხელისუფლების უფლებამოსილებები, რაც გამოიწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას და სამართლებრივი სახელმწიფოს რღვევას“.<sup>223</sup> გარდა ამისა „დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არის კონსტიტუციის იდეის სიცოცხლისუნარიანობის, მისი მიზნობრივი ქმედითობის სამართლებრივი გარანტია, რადგან ეს არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების განმუხტვას, ძალაუფლების არაჯანსაღი კონცენტრირების გამორიცხვას, მის დაბალანსებას, ამ გზით ხელისუფლების გაწონასწორებას“.<sup>224</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სწორედ რომ ადამიანის უფლებათა დაცვაა. „სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ამგვარი მიდგომით შესაძლებელი ხდება სახელისუფლებო ძალაუფლების უზურპაციის პრევენცია, უზენაესი და წარუვალი კონსტიტუციური ღირებულების ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. ხელისუფლების ამგვარი ფორმით განხორციელება უზრუნველყოფს შესაბამის კონსტიტუციურ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის რაციონალურ დანაწილებას. ხელისუფლების დანაწილების პირობებში შესაძლებელი ხდება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მაქსიმალურად კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად მიღება. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტიანი და სამართლიანი მართვის წინაპირობაა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება იმ ორგანოების მიერ,

---

<sup>223</sup> გულიაშვილი, ბ. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო. სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი 2019წ. გვ:9. [shorturl.at/rxFP2](http://shorturl.at/rxFP2) [30.05.2022].

<sup>224</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. N3/4/641, 29 სექტემბერი, 2016. [shorturl.at/puvO7](http://shorturl.at/puvO7) [30.05.2022].

რომლებიც კომპეტენტური არიან თავიანთი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებებით“.<sup>225</sup>

შემდგომი ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვალს განხორციელდა. „ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ, საქართველოს მმართველობის ფორმა–საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ჩანაცვლდა შერეული ტიპის (ნახევრად საპრეზიდენტო) რესპუბლიკით. ამ ტიპის ცვლილებების შედეგად, კანონზომიერება მოითხოვდა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის თვალსაზრისით, მკვეთრად შემცირებულიყო, რასაც კლასიკური ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი გულისხმობს. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის ძალაუფლება კიდევ უფრო მყარი გახდა და მისი ფართო უფლებამოსილებანი და კონსტიტუციური შესაძლებლობანი აშკარა საფრთხედ იქცა ურთიერთგაწონასწოებისა და ურთიერთკონტროლის კონსტიტუციური პრინციპისათვის“.<sup>226</sup>

შემდგომი ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც „პარლამენტმა დაამტკიცა 2010 წლის 15 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 2013 წლის 17 ნოემბერს. ამ ცვლილებებმა შეასუსტა პრეზიდენტის და გაზარდა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება. ამ ახალი კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი კვლავ აირჩეოდა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. მას აღარ ჰქონდა უფლება დამოუკიდებლად წარემართა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, გადაეყენებინა მთავრობა და ახალი საკანონმდებლო ინიციატივით შესულიყო პარლამენტში.

---

<sup>225</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. N3/4/641, 29 სექტემბერი, 2016. [shorturl.at/kFOXZ](http://shorturl.at/kFOXZ) [30.05.2022].

<sup>226</sup> საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, დასკვნა საქართველოს კონსტიტუციაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. 2013წ. 7 თებერვალი. გვ:2 [shorturl.at/iJNPV](http://shorturl.at/iJNPV) [30.05.2022].



პრეზიდენტი აღარ იყო უმაღლესი ხელისუფლების მეთაური. მიუხედავად ამ ცვლილებებისა ისევ პრეზიდენტის პრეროგატივად დარჩა საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება, კანონის ძალის მქონე დეკრეტის გამოცემა“.<sup>227</sup> ამის შემდგომ „2018 წლის 16 დეკემბერს კი ამოქმედდა კონსტიტუციის ახალი მოქმედი რედაქცია, რომელიც 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე შემუშავდა. ჩამოყალიბდა ევროპული ტიპის, დახვეწილი საპარლამენტო მმართველობის სისტემა. გაძლიერდა პარლამენტი, განსაკუთრებით მისი სახედამხედველო ფუნქციები. დადგინდა პარლამენტის მიმართ პრემიერ-მინისტრის ანგარიშვალდებულების საკითხი. მკაფიოდ გაიმიჯნა უფლებამოსილებები პრეზიდენტსა და მთავრობას შორის“.<sup>228</sup> მოქმედმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო განამტკიცა ადამიანის უფლებები და საქართველოს კონსტიტუციური სისტემის საფუძვლად დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები გამოცხადდა. „საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-4 და მე-6 მუხლები აკონკრეტებს სამართლებრივი სახელმწიფოს რამდენიმე ელემენტს: ა) ადამიანის ძირითად უფლებებს; ბ) ხელისუფლების დანაწილებას; გ) კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობას; დ) ეკონომიკურ თავისუფლებას“.<sup>229</sup> მიუხედავდ იმისა, რომ „გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებების 2004, 2010, 2017 წლების მთავარი მიზანი იყო ახალი სახელმწიფო მმართველობის სისტემის შემოღება, ქვეყნის ელიტა ქვეყნის წარუმატებლობას ხედავდა მმართველობის არასწორად შერჩეულ მოდელში. არადა, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის დამკვიდრება უსათუოდ არ არის

<sup>227</sup> პატარაია, თ. საქართველოს თავდაცვის სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა, ჟენევა-თბილისი. 2014წ. გვ:15 [shorturl.at/ainSZ](http://shorturl.at/ainSZ) [30.05.2022].

<sup>228</sup> კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:32

<sup>229</sup> კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:48

დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობის ერთ რომელიმე სახეობასთან. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს როგორც კონსტიტუციური მონარქიის, ისე საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში. ამის მაგალითები მრავლადაა თანამედროვე მსოფლიოში. მთავარია, სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებული იყოს ცნობილი ტრიადის მიხედვით და ამასთანავე, არსებობდეს ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების ეფექტიანი მექანიზმები, სათანადოდ იყოს დაცული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები".<sup>230</sup> ვენეციის კომისიამ 2017 წლის რეფორმებს პოზიტიური შეფასება მისცა და ქვეყნის საკონსტიტუციო წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეაფასა.<sup>231</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ყველაზე მნიშვნელოვანია, რამეთუ მისი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ადამიანის ძირითადი უფლებები.<sup>232</sup> საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის უფლებებს წარუვალ და უზენაეს ღირებულად და ადამიანს აცხადებს უმაღლეს ფასეულობად და რომ ადამიანი უნდა იყოს მიზანი და არა საშუალება. კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას, მაგრამ საგანგებო მდგომარეობის დროს ხდება არსებული ბალანსის ცვლილება აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ. სანამ შევხებოდე ამ საკითხს, მინდა შევხებო მოქმედ კონსტიტუციაში ისეთი მექანიზმის შემოტანას, როგორცაა ადამიანის უფლებათა „შეჩერება“. შედარებისთვის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია იცნობდა მხოლოდ „დროებით

---

<sup>230</sup> ხეცურიანი, ჯ. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში და საკონსტიტუციო სასამართლო. 2017წ. გვ:27 [shorturl.at/bI019](http://shorturl.at/bI019) [30.05.2022].

<sup>231</sup> ხეცურიანი, ჯ. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში და საკონსტიტუციო სასამართლო. 2017წ. გვ:27 [shorturl.at/bI019](http://shorturl.at/bI019) [30.05.2022].

<sup>232</sup> კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:48

შეჩერების“ მექანიზმს,<sup>233</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია კი ადამიანის უფლებათა „შეზღუდვას“,<sup>234</sup> მოქმედ კონსტიტუციაში კი „შეზღუდვასთან“ ერთად ჩნდება ადამიანის უფლებათა „შეჩერების“ უფლებაც,<sup>235</sup> თუმცა დასაბუთებულობას შეჩერების მექანიზმის შემოტანის აუცილებლობას ჩვენ ვერსად ვხედავთ, ან საერთოდ შეიძლება კი ადამიანის უფლებების შეჩერება ან საერთოდ რამდენად იყო ამის საჭიროება? კონსტიტუციის მოცემული დებულება პრობლემურია. „დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს წესრიგის საფუძველი ადამიანის უფლებებია, ხოლო „შეჩერების“ დებულება კი მის თითქმის სრულ გაუქმებას გულისხმობს. ეს ტერმინი როგორც გრამატიკულად, ასევე სამართლებრივად მოქმედი ნორმისთვის იურიდიული ძალის გაუქმებას გულისხმობს, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა არსს. ამასვე ადასტურებს დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციების უმრავლესობაც, გამონაკლისია პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი, რომელთა კონსტიტუციებიც შეიცავენ ტერმინს „შეჩერებას“, მაგრამ იქაც გაზიარებულია ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციის არსი. აქედან გამომდინარე საგანგებო მდგომარეობის დროსაც მოქმედებს ძირითადი უფლებები და ისინი ბოჭავენ სახელმწიფოს, სახელმწიფო კი ვალდებულია იმოქმედოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად. მშვიდობიანი პერიოდი იმით განსხვავდება საგანგებო მდგომარეობისგან, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო უფრო მეტად ერევა ადამიანის უფლებებში. ეს საკითხი უდავოდ შეუსაბამოა ადამიანის უფლებებთან და ადამიანის უფლებების არსთან, იმ მარტივი მიზეზების

---

<sup>233</sup> საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. მუხლი 43,44. [shorturl.at/gzOU9](http://shorturl.at/gzOU9) [30.05.2022].

<sup>234</sup> საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხლი 46. [shorturl.at/orEJS](http://shorturl.at/orEJS) [30.05.2022].

<sup>235</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71. [shorturl.at/gzM79](http://shorturl.at/gzM79) [30.05.2022].

გამო, რომ ადამიანის უფლებებს თავად აქვს სახელმწიფოს მბოჭავი ფუნქცია“.<sup>236</sup>

რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობის კონსტიტუციური პრინციპების სხვა გამოწვევებს ეს შეეხება იმას თუ რამდენად სწორად არის გადანაწილებული უფლებამოსილებანი ხელისუფლების შტოთა შორის საგანგებო მდგომარეობის დროს და რამდენად არის უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა დაცვა, რამდენად არის ინტეგრირებული საგანგებო დებულებები ერთიან კონსტიტუციურ წესრიგთან. საქართველოს კონსტიტუციის 71 მუხლი მიუთითებს, რომ საგანგებო მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის თანხმობით და დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად, თუ არ დაამტკიცებს ის კარგავს იურიდიულ ძალას. რაც შეეხება გაუქმებას კონსტიტუცია მიუთითებს იგივე პროცედურაზე.<sup>237</sup> სამწუხაროთ კონსტიტუციაში პარლამენტის როლი და ფუნქცია მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და მის გაუქმებაში თანამონაწილეობით შემოიფარგლება. საინტერესოა, რომ კონსტიტუციაში არაფერია ნათვქაში საგანგებო მდგომარეობის მინიმალურ და მაქსიმალურ ვადებზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტად მიიჩნევა, რადგან ის მოითხოვს პარლამენტის თანამონაწილეობას ამ პროცესში. არა მხოლოდ მოქმედ კონსტიტუციაში, არამედ არც კონსტიტუციის სხვა რედაქციებში არ ყოფილა მსგავსი მითითება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად, ვენეციის კომისია ასევე მიუთითებს საგანგებო მდგომარეობის მინიმალური და მაქსიმალური ვადების აუცილებლობაზე და თან აღნიშნავს, რომ აუცილებელია მისი გაგრძელება მუდმივი განხილვის პროცესის საფუძველზე. ვენეციის კომისია ასევე ყურადღებას

---

<sup>236</sup> უბლაშვილი, ვ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები“. 2020წ. 14 ივლისი. გვ:90 [shorturl.at/IUX17](http://shorturl.at/IUX17) [30.05.2022].

<sup>237</sup> საქართველოს კონსტიტუცია. [shorturl.at/gzM79](http://shorturl.at/gzM79) [30.05.2022].

ამახვილებს პარლამენტის როლზე და მის მაქსიმალურ ჩართულობაზე საგანგებო მდგომარეობის დროს.<sup>238</sup>

უაღრესად მნიშვნელოვანია და საყურადღებო საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა, ყურადღებას გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. პირველი მნიშვნელოვანი საქმე უკავშირდება ჯერ კიდევ 2004 წლის 25 მაისის საქმეს, რომელიც შეეხებოდა „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ აჭარის ა/რ ორგანული კანონისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ აჭარის ა/რ მეთაურის 2004 წლის 7 იანვრის განკარგულების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან, 46-ე, 48-ე მუხლებთან და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტთან მიმართებით. საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის და თამაზ დიასამიძის გაერთიანებული სარჩელის თანახმად, არაკონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო ცნობილი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ აჭარის ა/რ 2003 წლის 22 დეკემბრის კანონი. აჭარის ა/რ ხელისუფლება, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე არ იყო უფლებამოსილი დაედგინა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების რეჟიმი. აღნიშნული სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა და აჭარის ა/რ კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.<sup>239</sup> ამ კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახათ განსაზღვრა, რომ მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს მინიჭებული უფლებამოსილება საქართველოს ნებისმიერ ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების. ადამიანის

---

<sup>238</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული, სტრასბურგი. 2020წ. 16 აპრილი. გვ:27 [shorturl.at/bCHRU](http://shorturl.at/bCHRU) [30.05.2022].

<sup>239</sup> საქართველოს კონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N15,290,266. 2004 წლის 25 მაისი. [shorturl.at/bgtC4](http://shorturl.at/bgtC4) [30.05.2022].

უფლებათა შეზღუდვის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქმე, რომელიც შეეხება „საზოგადოებრივი ჯანმთელობის შესახებ“ კანონის იმ ნორმებს, რომლითაც მთავრობას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე მიენიჭა უფლებამოსილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მიმოსვლისა და შრომის თავისუფლების შეზღუდვის. მოსარჩელის პოზიციით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45<sup>3</sup> პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება, შეეზღუდა შრომის თავისუფლება და თავისუფალი გადაადგილების უფლება. ამასთან, საქართველოს მთავრობას შეეძლო, შრომისა და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა იმ წესით, რაც არ არის გათვალისწინებული კანონით ან, უფრო მეტიც, განსხვავდება კანონით დადგენილი მოწესრიგებისგან. უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე კი „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული იზოლაციისა და კარანტინის წესების მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ განისაზღვრა მიმოსვლის რეგულირებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებები. მოსარჩელის პოზიციით დაირღვა უფლების შეზღუდვის ფორმალური მოთხოვნები. საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის, არამედ კანონით განსაზღვრული წესებისაგან განსხვავებული რეგულირების დადგენის. მოსარჩელისვე პოზიციით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია „მხოლოდ კანონის შესაბამისად“, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი შრომის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია ორგანული კანონით. მოსარჩელისვე პოზიციით უფლებამოსილების დელეგირების ფარგლები ძალიან ფართოა,

შესაბამისად დაუშვებელია ამგვარი უფლებამოსილების დელეგირება, მსგავსი შეზღუდვები არის ფუნდამენტური მნიშვნელობის, რომელსაც ჭირდება მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ორგანოს-საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება და დაუშვებელია მისი დელეგირება საქართველოს მთავრობაზე.<sup>240</sup> ასევე საყურადღებო და მნიშვნელოვანია გიორგი ჩიტინის საქმე,<sup>241</sup> „სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონი, მთავრობისა და პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვები. გასაჩივრდა 14 დღის განმავლობაში იზოლაციაში (კარანტინსა და თვითიზოლაციაში) მოთავსება, სატრანსპორტო საშუალებების მართვის შეზღუდვა, კომენტანტის საათის შემოღება, საჯარო ინფრომაციის გაცემის ვადების შეჩერება. მოსარჩელე მიუთითებს ამ უფლებათა შეზღუდვის აუცილებლობაზე კანონის შესაბამისად. მოსარჩელის მითითებით, საქართველოს პარლამენტი ვალდებულია, საკითხის მოწესრიგების დელეგირება მოახდინოს იმგვარად, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ყველა პრინციპულ საკითხებზე. ძირითადი უფლება კვლავ მხოლოდ კონსტიტუციური პრინციპების (თანაზომიერების პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, თანასწორობის პრინციპი და ა.შ) განუხრელი დაცვით უნდა შეიზღუდოს“.<sup>242</sup> მიმდინარე კოვიდ-19-ის პანდემიის დროს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის საკითხებზე საყურადღებოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე. <sup>243</sup> „გასაჩივრდა მთავრობის დადგენილება საქართველოში ახალი კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებული ღონისძიებების შესახებ.

---

<sup>240</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N1/14/1529. ქ. ბათუმი, 2020 წლის 12 ნოემბერი. [shorturl.at/bjquV](http://shorturl.at/bjquV) [30.05.2022].

<sup>241</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N1504. 2020 წლის 19 მაისი. [shorturl.at/aprEG](http://shorturl.at/aprEG) [30.05.2022].

<sup>242</sup> COVID-19 ინფექციის გამოწვევების მართვა-ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში. 2020 წლის 2 ივლისი. გვ:41. [shorturl.at/IFLNQ](http://shorturl.at/IFLNQ) [30.05.2022].

<sup>243</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N1496, 2020 წლის 23 აპრილი. [shorturl.at/eiqtW](http://shorturl.at/eiqtW) [30.05.2022].

მოსარჩელე მიუთითებდა ფაქტზე, რომ ის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააჯარიმეს 2020 წლის 4 აპრილს, 3000 ლარის ოდენობით, სამ მეგობართან ერთად ქუჩაში შეკრებისთვის. დაჯარიმების საფუძველი იყო მთავრობის დადგენილება, რომლის თანახმად აკრძალულია საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 3 პირზე მეტი რაოდენობით. მოსარჩელის მითითებით, ამ ფაქტით დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება-თავისუფალი განვითარების უფლება და პროპორციულობის პრინციპი. მოსარჩელისთვის დაუსაბუთებელია მთავრობის პოზიცია, თუ რატომ წარმოადგენს საჯარო სივრცეში შეკრება უფრო მეტ საფრთხეს, ვიდრე ოჯახში ერთ ჭერქვეშ ცხოვრება“.<sup>244</sup>

ჩვენ მიმოვიხილეთ საგანგებო მდგომარეობის აქტუალური საკითხები 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციიდან მოყოლებული დღემდე, მოქმედი კონსტიტუციის ჩათვლით. ყურადღება გავამახვილეთ საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითადი დებულებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხების ასახვაზე საქართველოს კონსტიტუციაში. როგორც დავინახეთ, დროსთან ერთად, მოთხოვნილებებისა და საჭიროების შესაბამისად იცვლებოდა მიდგომები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საგანგებო მდგომარეობის დროს. საგანგებო მდგომარეობის განხილვა შეუძლებელია ადამიანის უფლებებთან კავშირის გარეშე, რამეთუ საგანგებო მდგომარეობა გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ დებულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა და გავლენა აქვს ადამიანის ძირითად უფლებებზე. კონსტიტუციაში ცალკეული საკითხებს, პრინციპებს თუ ნორმებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და მას კანონმდებელი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, რადგან ისინი გავლენას ახდენენ ადამიანის ძირითად უფლებებზე. მაშინ, როცა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ადამიანის უფლებების

---

<sup>244</sup>COVID-19 ინფექციის გამოწვევების მართვა-ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში. 2020 წლის 2 ივლისი. გვ:41-42. [shorturl.at/CNOX0](http://shorturl.at/CNOX0) [30.05.2022].



დაცვაა, არასწორად ფორმულირებულმა ცაკეულმა დებულებებმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ადამიანის უფლებებს და მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგს.

#### **4.2 საგანგებო მდგომარეობის დროს ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა კოვიდ-19-ის პანდემიის მაგალითზე**

საგანგებო მდგომარეობა არის ის ვითარება რომელიც ყველა ქვეყნის ცხოვრებაში შეიძლება რომ მოხდეს. ჩამონათვალი, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა საკმაოდ ვრცელია, ასეთ დროს სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ შექმნილი კრიზისული მდგომარეობის სწრაფი ნორმალიზება და ქვეყანაში აღადგინონ კონსტიტუციური წესრიგი. საგანგებო მდგომარეობა თავისი არსით მიზნად ისახავს პოზიტიურ მოლოდინებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა. საქართველოს კონსტიტუციაც ითვალისწინებს მსგავს დებულებებს საგანგებო მდგომარეობის შესახებ.

მასშტაბები, რომელიც კოვიდ-19 პანდემიამ გამოიწვია საკმაოდ ფართოა და არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქვეყანა რომელზედაც არ ჰქონოდა მას გავლენა, გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, თუ რა საკანონმდებლობა ბაზა არსებობს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, როგორ მოხდა მისი გამოყენება, როგორი იყო საერთაშორისო პრაქტიკა კოვიდ პანდემიის მართვასთან დაკავშირებით და რა ხარვეზები გამოვლინდა. საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, რამეთუ საგანგებო მდგომარეობა გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე და მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგზე, იცვლება ძალთა ბალანსი აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოთ და იზრდება რისკები შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების და

ადამიანის უფლებებში მომეტებული ჩარევის. კოვიდ-19 პანდემიისგან მიღებულ გამოცდილებას ძალიან დიდი როლი და მნიშვნელობა ექნება საგანგებო მდგომარეობის მართვის დროს. დაგროვილი გამოცდილება კარგი საშუალებაა სწორი დასკვნების გასაკეთებლად.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, როგორც ეპიდემიის ასევე პანდემიის დროს, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალურ განხორციელებათა შესაძლებლობას.<sup>245</sup> ეპიდემიას „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ე-ქვეპუნქტი შემდეგნაირად განმარტავს, როგორც „განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფში დროის გარკვეულ პერიოდში დაავადების შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელ (ფონურ) დონესთან შედარებით, ხოლო პანდემიას კი როგორც გადამდები დაავადებების უჩვეულოდ ფართო (რამდენიმე ქვეყნის, კონტინენტის ან მსოფლიო მასშტაბით) გავრცელება, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს“.<sup>246</sup> ტერმინ „პანდემიის“ ზუსტი სამეცნიერო განმარტება არ არსებობს და მის გამოცხადებაზე გადაწყვეტილებას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იღებს. პანდემია დაავადების გეოგრაფიულ გავრცელებაზე მიუთითებს. იმისთვის, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაავადება პანდემიად გამოაცხადოს აუცილებელია ის ბევრ ქვეყანაში იყოს გავრცელებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას არ აქვს ის ზღვარი თუ რამდენ ქვეყანაში უნდა იყოს გავრცელებული დაავადება, რომ ის პანდემიად გამოცხადდეს. 2003 წლისთვის კორონავირუსი სარსი მსოფლიოს 26 ქვეყანაში იყო გავრცელებული, თუმცა ის პანდემიად არ გამოუცხადებიათ. კოვიდ-19 კი მსოფლიოს 114 ქვეყანაში იყო გავრცელებული. ჯანდაცვის მსოფლიო

<sup>245</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71. [shorturl.at/gzM79](http://shorturl.at/gzM79) [30.05.2022].

<sup>246</sup> საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ შესახებ, 27/06/2007, ქვეპუნქტი-ე, მუხლი 3. [shorturl.at/vABGR](http://shorturl.at/vABGR) [30.05.2022].

ორგანიზაციამ კოვიდ-19 პანდემიად 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა და მთავარ მიზეზად ორი რამ დაასახელა „გავრცელებისა და სიმძიმის შემაშფოთებელი დონე, ისევე, როგორც შემაშფოთებელი უმოქმედობა“.<sup>247</sup>

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კოვიდ-19-ის პანდემიად გამოცხადებას მოჰყვა ქვეყნების მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. საქართველოს პრეზიდენტის N1 დეკრეტის საფუძველზე 2020 წლის 21 მარტს საქართველოსში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. პარლამენტმა დეკრეტი საგანგებო სესიის პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა. ეს პირველი შემთხვევაა იყო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პანდემიის გამო. აღნიშნული დეკრეტით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. დეკრეტი შემდეგნაირად ასაბუთებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას: „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით და იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება-უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა. ამ დეკრეტის საფუძველზე შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, მე-21 და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები“.<sup>248</sup> საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით არ შეზღუდულა, შეზღუდვა არ შეხებია მე-17 მუხლს. ეს მუხლი შეეხება აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, რომლის

<sup>247</sup> რას ნიშნავს პანდემია და იცვლება თუ არა რამე მისი გამოცხადებით? 2020. [shorturl.at/fMSY7](https://shorturl.at/fMSY7) [30.05.2022].

<sup>248</sup> 2020 წლის 21 მარტის N1 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი. [shorturl.at/bjl68](https://shorturl.at/bjl68) [30.05.2022].

შეზღუდვის უფლებამოსილება მას ჰქონდა კონსტიტუციით.<sup>249</sup> ამ დეკრეტითვე მოხდა უფლებამოსილების ფართოდ დელეგირება აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი. საქართველოს მთავრობას ასევე მიეცა უფლება იზოლაციისა და კარანტინის წესების დადგენის. ამ დეკრეტის მე-8 მუხლის შესაბამისად დაწესდა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის ადამინისტრაციული პასუხისმგებლობა-ჯარიმა ფიზიკური პირებისათვის 3000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის-15000 ლარის ოდენობით, აღნიშნული ქმედების განმეორებისათვის განისაზღვრა-ფიზიკურ პირთათვის თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე, იურიდიულ პირთათვის კი ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია.<sup>250</sup> ჰქონდა კი პრეზიდენტს ამის უფლებამოსილება? „საფუძველს მოკლებული იქნება იმის მტკიცება, რომ ამგვარი უფლებამოსილება კონსტიტუციის 71-ე მუხლიდან თავისთავად გამომდინარეობს. კონსტიტუცია, როგორც უზენაესი კანონი, მკაფიოდ უნდა ანიჭებდეს სახელმწიფოს თითოეულ ორგანოს ამა თუ იმ ფუნქციას და მათი მანდატი ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და კონსტიტუციის სხვა ნორმების კონტექსტში უნდა იქნეს გაგებული, მითუმეტეს მაშინ, როდესაც შეიძლება წარმოიშვას დავა ორგანოთა კომპეტენციების შესახებ, ამ მხრივ გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც მკაფიოდ მიუთითებს, რომ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი კი განმარტავს, რომ „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას...“. აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული

<sup>249</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71. [shorturl.at/auDL6](http://shorturl.at/auDL6) [30.05.2022].

<sup>250</sup> 2020 წლის 21 მარტის N1 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი. [shorturl.at/bjl68](http://shorturl.at/bjl68) [30.05.2022].

აქტების შესახებ“ მე-8 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმადაც: „მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს: ბ) ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები; ი) სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული საპროცესო, სასჯელაღსრულების კანონმდებლობა, შრომის, სამეწარმეო კანონმდებლობა;“ ამდენად, აღნიშნული ნორმების ერთობლიობა მიუთითებს იმაზე, რომ პასუხისმგებლობითი სფეროს (სისხლის სამართალი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ამ შემთხვევაში) დარეგულირება ექსკლუზიურად უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის პრეროგატივაა. ამას, რა თქმა უნდა, აქვს ახსნაც. ადამიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმაა. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, აღნიშნული სრულყოფილი დემოკრატიული პროცედურების გამოყენებით მოხდეს, ამის გარანტიას კი სწორედ საქართველოს პარლამენტში შესაბამისი წესით მიღებული კანონები იძლევა<sup>251</sup> აღნიშნული საკითხიც გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საკითხი.<sup>252</sup> საინტერესოა ის, რომ პრეზიდენტის დეკრეტი უნდა დაყრდნობოდა საქართველოს კანონს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, რამეთუ ამ კანონის საფუძველზე უნდა მომხდარიყო პანდემიური მდგომარეობის მართვა. ნაცვლად ამისა დეკრეტი საუბრობს პრევენციულ ღონისძიებაზე თავის დასაბუთებულობაში და ის ძირითადად დაეყრდნო საქართველოს კანონს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“,

---

<sup>251</sup>კაკანაძე, მ. პანდემიასთან ბრძოლის მიზნით საქართველოში დაწესებული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურობა. ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია. სტატიათა კრებული. თბილისი. 2021წ. გვ:21-26 [shorturl.at/NUZ09](http://shorturl.at/NUZ09) [30.05.2022].

<sup>252</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N1507) [shorturl.at/derSU](http://shorturl.at/derSU) [30.05.2022].

რომლის მთავარი ამოცანა პრევენციული ღონისძიებების გადატარებაა. ამ კანონის მე-4 მუხლი ჩამოთვლის მთავარ პრინციპებს, ესენია: ა) პრევენციული ღონისძიების უზრუნველყოფა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით. ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციების მკაფიოდ გამიჯვნა და მათი მჭიდრო საინფორმაციო კოორდინაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვისა და აღსრულების დროს. ამ კანონის მე-11 მუხლით გადაწყვეტილებას იზოლაციისა და საკარანტინე ღონისძიების გამოყენების შესახებ იღებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახური. საგანგებო სიტუაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა ფიზიკური პირის იზოლაციაში ან კარანტინში მოთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, მაშინ როდესაც ამ დეკრეტით იზოლაციისა და კარანტინის წესების დადგენის უფლებამოსილება გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მასვე დაევალა აღსრულებაც.<sup>253</sup>

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტთან დაკავშირებით ჩნდება რამოდენიმე კითხვა, პირველი ის თუ რამდენად აკმაყოფილებს დეკრეტი საგანგებო მდგომარეობისათვის წაყენებულ პირობებს, მეორე რამდენად შეესაბამება ის საერთაშორისო სტანდარტებს და მესამე პრეზიდენტმა შეზღუდა ადამიანის კონსტიტუციური უფლება (27-ე მუხლი) რომლის შეზღუდვის უფლებამოსილებასაც მას არ აძლევდა კონსტიტუცია, გარდა ამისა მოხდა უფლებამოსილების ფართოდ დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. რა თქმა უნდა ამ თემატიკას აქვს ორი განზომილება, როგორც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, ასევე სამართლებრივი, ამიტომ ჩვენ ორივეს შევეხებით და ორივეთი უნდა ვიხელმძღვანელოთ, რამეთუ ადამიანის სიცოცხლის დაცვა, საზოგადოების უსაფრთხოება,

---

<sup>253</sup> საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, 27/06/2007, [shorturl.at/sHW06](http://shorturl.at/sHW06) [30.05.2022].

უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ვალდებულებაა და მეორეს მხრივ ეს ყოველივე სამართლებრივ ჩარჩოში უნდა იყოს მოქცეული. სანამ ამ საკითხებს შევხებოდეთ მინდა აღვნიშნო, რომ 2020 წლის 21 მარტს, როდესაც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ინფიცირებულ პირთა რაოდენობა იყო 49. პირველი შემთხვევა კი ინფიცირების საქართველოში გამოვლინდა 26 თებერვალს.<sup>254</sup> რამდენად შეიძლება ინფიცირების ეს მაჩვენებელი ყოფილიყო განმსაზღვრელი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების? რა თქმა უნდა ეს ლოგიკური კითხვაა და რამდენად იყო მისი გავლენა მთელ ერზე იმდენად კრიტიკული, რომ სახელმწიფო უმაღლესი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საფრთხე შეექმნა. მე არ ვსაუბრობ შემდგომ რა იქნებოდა, მე ვგულისხმობ იმ დროს როცა საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოებს აქვთ ფართო დისკრეცია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების,<sup>255</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოები სრულად თავისუფლდებიან საერთაშორისო ვალდებულებებისგან. ევროპული სასამართლოს განმარტებით კი, ფრაზა- „საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს“- მიუთითებს განსაკუთრებულ კრიზისულ სიტუაციაზე ან მდგომარეობაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს მთელ მოსახლეობაზე და წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი სიცოცხლისათვის. 1969 წელს ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთაშორისო საქმეში საბერძნეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოავლინა 4 განსხვავებული ელემენტი, რომლის არსებობაც აუცილებელია, რათა ერისთვის საფრთხე საგანგებო მდგომარეობათ დაკვალიფიცირდეს. ესენია:

- საგანგებო მდგომარეობა უნდა იყოს ნადვილი და იმწუთიერი

<sup>254</sup> Covid-19-ის ყველა სიახლე: მარტი-2020/არქივი. [shorturl.at/DPUV8](https://shorturl.at/DPUV8) [30.05.2022].

<sup>255</sup> საინფორმაციო დოკუმენტი (7 აპრილი, 2020) დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა Covid-19-ის სანიტარული კრიზისის პირობებში, ინსტრუმენტების წყება წევრი სახელმწიფოებისათვის. გვ:3 [shorturl.at/puFQY](https://shorturl.at/puFQY) [30.05.2022].

- მისი შედეგები გავლენას უნდა ახდენდეს მთელ ერზე
- საფრთხე უნდა ექმნებოდეს საზოგადოებრივი სიცოცხლის გაგრძელებას
  - კრიზისი ან საშიშროება უნდა იყოს განსაკუთრებული იმ მხრივ, რომ ჩვეულებრივი ღონისძიებები ან შეზღუდვები, რომლებიც დაშვებულია კონვენციით საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, ჯანმრთელობისა და მართლწესრიგისათვის ნათლად შეუფერებელი უნდა იყოს.<sup>256</sup> საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მსგავსი მითითება გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, რომელმაც განსაზღვრა ის მახასიათებლები რომელიც სახეზე უნდა იყოს, რომ სიტუაცია საგანგებო მდგომარეობათ ჩაითვალოს.
  - საფრთხე უნდა იყოს რეალური და გარდაუვალი
  - მისმა შედეგებმა შეიძლება მთელ ერზე მოახდინოს გავლენა
  - ორგანიზებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას საფრთხე უნდა ექმნებოდეს
    - კრიზისი და საფრთხე უნდა იყოს განსაკუთრებული ხასიათის, რაც გულისხმობს, იმას, რომ უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის მიზნით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნებადართული ჩვეულებრივი ზომები ან შეზღუდვები არ არის საკმარისი“.<sup>257</sup> აქედან ცხადი ხდება, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს, ამიტომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება უნდა მივიჩნიოთ უფრო მეტად ემოციურ მოვლენად რაც შექმნა კოვიდ-19-ის პანდემიად გამოცხადებამ.

<sup>256</sup> ზოიძე, ბ. და ხუციშვილი, ქ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თბილისი. 2004წ. გვ:362-363 [shorturl.at/ELNY6](http://shorturl.at/ELNY6) [30.05.2022].

<sup>257</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული. 2020. სტრასბურგი. გვ:8 [shorturl.at/ipVYZ](http://shorturl.at/ipVYZ) [30.05.2022].



მინდა შევუხებო საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2020 წლის 21 მარტის დეკრეტით საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის შეზღუდვას, რომლის უფლებამოსილებაც მას არ ჰქონდა მინიჭებული საქართველოს კონსტიტუციით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კოვიდ-19 პანდემიის დროს ერთ-ერთი ეფექტური საშუალება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ეს იყო სოციალური დისტანციის დაცვა, შესაბამისად განათლების სფეროს გადაყვანა დისტანციური სწავლების რეჟიმზე და უფლებით სარგებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა და მისი მორგება არსებულ რეალობაზე იყო სასიცოცხლოდ აუცილებელი. პრეზიდენტის მიერ მთავრობისათვის გადანიშნული უფლებამოსილებით, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტის მე-7 მუხლის დ. ქვეპუნქტით საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება დაედგინა: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესები და პირობები.<sup>258</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა შევუხებო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეს „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ-67 დეპუტატი) და თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ“, ამ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად\*, "საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს

---

<sup>258</sup> 2020 წლის 21 მარტის N1 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი. [shorturl.at/IKLMQ](http://shorturl.at/IKLMQ) [30.05.2022].

\*ამ შემთხვევაში საუბარია საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაზე. [shorturl.at/hjmvC](http://shorturl.at/hjmvC) [30.05.2022].

გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად. დასახელებული ნორმის რეალიზაციისას ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს წარმოადგენს სამი პირობა 1) ამ უფლებით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი; 2) პრეზიდენტი ვალდებულია გადაწყვეტილება უფლებათა შეზღუდვის შესახებ არა უგვიანეს 48 საათისა შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობით სარგებლობდეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, ამ გადაწყვეტილების პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულებით, რაც გამორიცხავს ნებისმიერი სხვა ორგანოს თუ თანამდებობის პირის მსგავს შესაძლებლობებს. 3) საქართველოს პრეზიდენტის ეს უფლება შეზღუდულია კიდევ ერთი გარემოებით. მას შეუძლია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვა, რაც გამორიცხავს სხვა უფლებების შეზღუდვას.<sup>259</sup> აქედან გამომდინარე ცხადია პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია, მსგავსი საკითხების მოწესრიგება უნდა მოხდარიყო მხოლოდ კანონის საფუძველზე.

სანამ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდებოდა „სახელმწიფომ პრევენციის მიზნით ზომების მიღება ჯერ კიდევ 2020 წლის 28 იანვარს დაიწყო, როდესაც 164-ე განკარგულებით დაამტკიცა „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმა“.<sup>260</sup> მთავრობის 164-ე

---

<sup>259</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N15/290,266. [shorturl.at/emOT0](http://shorturl.at/emOT0) [30.05.2022].

<sup>260</sup> სამხარაძე, თ. და გერლიანი, თ., საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური შინაარსი-არსებული გამოცდილების ანალიზი (ანალიტიკური დოკუმენტი). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). თბილისი. 2020წ. გვ:10 [shorturl.at/yQ5X2](http://shorturl.at/yQ5X2) [30.05.2022].

დადგენილებით,<sup>261</sup> პრაქტიკულად „ყველა ის ღონისძიება იქნა განხორციელებული რასაც ქვეყნები ანხორციელებენ საგანგებო მდგომარეობის დროს, ამავე ბრძანებით მოხდა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა, რის უფლებაც მთავრობას არ ჰქონდა. ამ ოპერატიული გეგმის შესაბამისად მთავრობის მხრიდან გატარდა გარკვეული ღონისძიებები, ნაწილმა კი ადამიანის უფლებებზე იქონია გავლენა.

- დაწესდა სავალდებულო იზოლაცია იმ პირების მიმართ, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ მაღალი რისკის ქვეყნებიდან. მოგვიანებით ეს წესი გავრცელდა ყველა სხვა ქვეყნიდან შემოსულ პირებზე.

- შეჩერდა საერთაშორისო საჰაერო ფრენები და საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლა.

- შეჩერდა საგანმანათლებლო პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში

- შემოღებულ იქნა განსაკუთრებული რეჟიმი საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში

შეჩერდა მგზავრთა გადაყვანა M2 კატეგორიის ავტობუსებით მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ღონისძიებები, რომლებიც ამ პერიოდში (საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე) გატარდა, იყო სარეკომენდაციო ხასიათის. ამ ღონისძიებებს შორის მართლაც იყო რეკომენდაციები, კერძოდ: გაუქმებულიყო თავყრილობებთან დაკავშირებული ღონისძიებები, პირებს თავი შეეკავებინათ მაღალი რისკის ქვეყნებში მოგზაურობისაგან, გადადებულიყო დახურულ სივრცეში კულტურული და სპორტული ღონისძიებების გამართვა, ასევე იყო რეკომენდაციები, რომ პირებს თავი შეეკავებინათ უცხოეთში სამუშაო და სასწავლო ვიზიტებისაგან და 70

---

<sup>261</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება N164. 2020 წლის 28 იანვარი. თბილისი. [shorturl.at/bMQX0](http://shorturl.at/bMQX0) [30.05.2022].

წლისა და მეტი ასაკის ადამიანები დარჩენილიყვნენ სახლში.”<sup>262</sup> უცანაურია, როდესაც არ არის გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და მთავრობა დადგენილებით ახდენს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას ჩვეულებრივი მდგომარეობის დროსაც, მაგრამ მხოლოდ კანონის საფუძველზე. ამ შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებას არ უხელმძღვანელია კანონით და მეორეც ადამიანის უფლებათა შეზღუდვას კონსტიტუცია ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის დროს და ისიც მხოლოდ პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო რასაც აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა დაყრდნობოდა უნდა ყოფილიყო „საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, რადგან ეპიდემიური და პანდემიური სიტუაციების მართვას ეს კანონი უზრუნველყოფს. „საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ მუხლი 12 პირდაპირ მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემია და პანდემია განეკუთვნება საგანგებო სიტუაციას, რომლის მართვა ხორციელდება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<sup>263</sup> რაც შეეხება ფართო უფლებამოსილების დელეგირებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ მთავრობას მიენიჭა ფართო უფლებამოსილება რაც გახდა დავის საგანი საკონსტიტუციო სასამართლოში.<sup>264</sup> ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია „საკითხის კანონით დარეგულირება ქმნის სტაბილურობის უფრო მაღალ გარანტიებს, თუმცა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა

---

<sup>262</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში პანდემიის დროს, ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია. სტატიათა კრებული. თბილისი. 2021წ. გვ:45-48 [shorturl.at/glsE7](http://shorturl.at/glsE7) [30.05.2022].

<sup>263</sup> საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, 29/05/2014, [shorturl.at/BGRY4](http://shorturl.at/BGRY4) [30.05.2022].

<sup>264</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება. (საქმე N1/1505,1515,1516,1529). [shorturl.at/cprX0](http://shorturl.at/cprX0) [30.05.2022].

საჭიროებს უფრო მოქნილ მექანიზმს. ამ თვალსაზრისით, უფლებამოსილების დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ხელს უწყობს მარტივ ნორმატიულ ცვლილებებს იმ სფეროებში, რომლებიც მოითხოვს ხშირ მოდიფიკაციას, რეგულირების შეცვლილ გარემოებებზე მორგებას გამარტივებული პროცედურების მეშვეობით“.<sup>265</sup> ამის შემდეგ მთავრობამ 23 მარტისთვის მიიღო N180-ე<sup>266</sup> და N181-ე<sup>267</sup> დადგენილებები. ამ დადგენილებით დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. საინტერესოა N181-ე დადგენილების მე-6 მუხლი უფლებას აძლევდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს განესაზღვრა იზოლაციისა და კარანტინის წესების დადგენის უფლებამოსილებას.<sup>268</sup> „რაც შეეხება 2020 წლის 22 მაისს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას. ამ ცვლილებების მიზანი იყო მთავრობას უფლება მისცემოდა საგანგებო მდგომარეობის გარეშე შემზღუდველი ღონისძიებების გატარების. საქართველოს მთავრობის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 23 მაისის N322-ე დადგენილებაში, ნოემბერის თვეში, ცვლილება განხორციელდა, რომლის საფუძველზე დიდ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდში, გორსა და ფოთში 22:00 საათიდან დილის 5:00 საათამდე პირთა გადაადგილება (როგორც ქვეითად, ასევე სანტრანსპორტო საშუალებით) და საჯარო სივრცეში ყოფნა შეიზღუდა, ამასთან,

<sup>265</sup> სამხარაძე, თ. პანდემია და შესუსტებული კონსტიტუციური კონტროლი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასება. 2021წ. [shorturl.at/cirS2](https://shorturl.at/cirS2) [30.05.2022].

<sup>266</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება N180, 2020 წლის 23 მარტი, თბილისი. [shorturl.at/jyCY7](https://shorturl.at/jyCY7) [30.05.2022].

<sup>267</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება N181, 2020 წლის 23 მარტი. თბილისი. [shorturl.at/ceHJV](https://shorturl.at/ceHJV) [30.05.2022].

<sup>268</sup> სამხარაძე, თ. და გერლიანი, თ. საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური შინაარსი-არსებული გამოცდილების ანალიზი (ანალიტიკური დოკუმენტი). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC. თბილისი. 2020წ. გვ:16. [shorturl.at/eoC58](https://shorturl.at/eoC58) [30.05.2022].

აღნიშნული შეზღუდვა გავრცელდა წინასაარჩევნო პროცესებზეც<sup>269</sup>. როგორც დავინახეთ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს ეპიდემიური და პანდემიური სიტუაციების მართვა უნდა წარმართულიყო საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, თუმცა პანდემიური სიტუაციის მართვის მიზნით გამოცხადებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა. თუ გადავხედავთ საქართველოს კანონს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ ის ნამდვილად ვერ იქნებოდა ეფექტური პანდემიური სიტუაციების მართვის თვალსაზრისით, რამეთუ ის არ ითვალისწინებს მსგავსი შემთვევების დეტალურ მოწესრიგებას. ეს კანონი შეიძლება ითქვას მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოებას უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას, ხოლო პანდემიასთან და საშიშ ინფექციურ დაავადებებს თითქმის არც კი ეხება. ეს კანონი არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა იმ შესაძლო შეზღუდვებს, რომლის საჭიროებაც ყოველთვის წარმოიშვება პანდემიური ან ეპიდემიური სიტუაციების დროს. ამიტომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ იხელმძღვანელა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით. (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არც საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ ითვალისწინებს პანდემიური და ეპიდემიური სიტუაციების დეტალურ მოწესრიგებას, ეს კანონი 1997 წელს იქნა მიღებული და ამის შემდგომ მას არანაერი ცვლილება არ განუცდია.) მოუწესრიგებელი საკონმდებლო ბაზის არსებობას ადასტურებს უფლებემოსილებათა ფართოდ დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილებების ძალიან ვრცელი ჩამონათვალი. რა თქმა უნდა გატარებულ ღონისძიებათა მთავარი მიზანი იყო ინფექციის გავრცელების შეკავება და საზოგადოებრივი წესრიგის დროული აღდგენა. მიუხედავად ამისა, გატარებული

---

<sup>269</sup> კაკუბავა, გ. „დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში“, 2020წ. გვ:6-7. [shorturl.at/bvPU9](http://shorturl.at/bvPU9) [30.05.2022].

ლონისძიებებისა საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობა ბევრად აჭარბებს სხვა ქვეყნების მონაცემებს, რომელთაც არ გამოუცხადებიათ საგანგებო მდგომარეობა ან გამოაცხადეს მცირე ხნით, ან იხელმძღვანელეს ჩვეულებრივი დებულებებით.

მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუცია ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას. პანდემიის გამო წარმოქმნილ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, ევროპის ქვეყნებმა სხვადასხვა ღონისძიებას მიმართეს და მათ შორის საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. „ევროპის ქვეყნებიდან 2020 წლის იანვარ-მარტში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ევროპის კავშირის წევრ 9 ქვეყანაში: ბულგარეთში, ჩეხეთში, ფინეთში, ესტონეთში, უნგრეთში, ლუქსემბურგში, პორტუგალიაში, რუმინეთსა და ესპანეთში; 2 ქვეყანაში (ბულგარეთი, პორტუგალია) საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა პარლამენტმა, ხოლო 7 ქვეყანაში (ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, უნგრეთი, ლუქსემბურგი, რუმინეთი, ესპანეთი) საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა მთავრობამ. სხვა 5-მა სახელმწიფომ (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლატვია და სლოვაკეთი) საგანგებო მდგომარეობა ორდინარული კანონმდებლობის საფუძველზე გამოაცხადა; 14 სახელმწიფოს (ავსტრია, ბელგია, ხორვატია, კვიპროსი, დანია, საბერძნეთი, ირლანდია, ლიეტუვა, მალტა, ნიდერლანდი, პოლონეთი, სლოვენია, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი) კი კოვიდ-19-ის დროს დე იურე საგანგებო მდგომარეობა არ გამოუცხადებია. კოვიდ-19-ის კრიზისის დასაძლევად ევროკავშირის თითქმის ყველა წევრმა ქვეყანამ გაატარა დროებითი (ე.ი. დროში შეზღუდული) საგანგებო ღონისძიებები (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი და შვედეთი), ძირითადად, ორდინარული კანონმდებლობის საფუძველზე. ზოგადად, პირველ ეტაპზე საგანგებო

ლონისძიებები შემოღებულ იქნა 15 დღიდან დაახლოებით ერთ თვემდე ვადით ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და შემდეგ ერთხელ მაინც განახლდა. ევროკავშირის მხოლოდ რამდენიმე წევრმა ქვეყანამ არ დაადგინა ვადა საგანგებო მდგომარეობისთვის (ხორვატია, უნგრეთი). ვენეციის კომისია რეკომენდაციას იძლევა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ან შეზღუდვები, რომლებსაც არ აქვთ კონკრეტული ვადა, მათ შორის რომელთა შეჩერებაც განსაკუთრებული ვითარების დაძლევაზეა დამოკიდებული, არ უნდა ჩაითვალოს კანონიერად, თუ არ ხდება სიტუაციის რეგულარული გადახედვა.”<sup>270</sup> აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო რამოდენიმე ქვეყნის მაგალითზე, რომლებიც იძულებული იყვნენ გაეტარებინათ გარვეული შეზღუდვები კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში. ამ მხრივ საინტერესოა იტალიის მაგალითი, ქვეყანა რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა და საკუთარ თავზე იწვნია ამ პანდემიის დამანგრეველი შედეგები. 15 მარტისთვის უკვე იტალიაში იყო დაფიქსირებული 24747 დადასტურებული შემთხვევა, მაშინ როდესაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ COVID-19 პანდემიად 11 მარტს გამოაცხადა. იტალიამ მიიღო უპრეცედენტო შეზღუდვები. იტალიის კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე, საგანგებო და აუცილებლობის შემთხვევაში მთავრობას შეუძლია მიიღოს კანონის ძალის მქონე დეკრეტი, რომელიც სავალდებულოა მიღებისთანავე, მაგრამ მოითხოვს პარლამენტის რატიფიკაციას 60 დღის განმავლობაში. 2020 წლის 23 თებერვალს მთავრობამ მიიღო N6 დადგენილება, რომელიც საშუალებას აძლევდა მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს ჯუზეპე კონტეს გამოსცეს შემდგომი დეტალური განკარგულებები კოვიდ-19-ის შეკავების მიზნით. კონტეს მიერ მიღებული დეკრეტით თავდაპირველად შეზღუდვები დაწესდა ქვეყნის ყველაზე მეტად დაზარალებულ რაიონებში, შემდეგ კი ზომები გავრცელდა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. 2020 წლის 11 მარტიდან იტალიაში

---

<sup>270</sup> ნაკაშიძე, მ. ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში: ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა. ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია. სტატიათა კრებული. თბილისი. 2021წ. [shorturl.at/beprs](http://shorturl.at/beprs) [30.05.2022].



გათვალისწინებულ იქნა შემდეგი შეზღუდვები. აიკრძალა ხალხის ყველა შეკრება და ხალხის გადაადგილება, გარდა აუცილებლობის და გამონაკლისი შემთხვევებისა (მაგ: სურსათის ყიდვა), ჯანმრთელობის მიზეზების გამო ან სამუშაოსთან დაკავშირებული აუცილებლობის, შეჩერდა ყველა საცალო ვაჭრობა, გარდა ძირითადი საქონლისა (მათ შორის საკვები, მედიკამენტები და მათი მიწოდების ქსელები) და საბანკო, ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება. დაიკეტა ბარები, რესტორნები, მუზეუმები, კინოთეატრები, თეატრები, სილამაზის სალონები, სპორტული დარბაზები, აუზები, სათხილამურო კურორტები, ასევე დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები (განხორციელდა დისტანციური სწავლება). ყველა სპორტული და კულტურული ღონისძიება გაუქმდა და არ შეიძლება ჩატარებულიყო რელიგიური ან სამოქალაქო ცერემონიები (დაკრძალვის ჩათვლით). სალოცავი ადგილები შეიძლება ყოფილიყო ღია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ შეეძლებოდათ სოციალური დისტანციის დაცვა. ციხეში პირადი ვიზიტები შეჩერდა და ახალ პატიმრებს ვირუსზე სკრინინგი უტარდებოდათ დაკავების ცენტრებში მისვლისთანავე. დამსაქმებლები ურჩევდნენ თავიანთ თანამშრომლებს სახლიდან ემუშავათ ან ანაზღაურებადი შვებულება აეღოთ. ჯანდაცვის სექტორის მუშაკებს არ შეეძლოთ ესარგებლათ კუთვნილი შვებულებით. რომელიმე ამ დებულების დარღვევა წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც ისჯებოდა პატიმრობით 3 თვემდე ან ჯარიმით 206 ევრომდე იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 650-ე მუხლის შესაბამისად. გარდა ამისა, პირები, რომლებსაც დადებითი მაჩვენებელი ჰქონდათ კორონავირუსზე და ეწინააღმდეგებოდნენ სავალდებულო კარანტინს, შეიძლება დასჯილიყვნენ სისხლის სამართლის კოდექსის 438-ე ან 452-ე მუხლების შესაბამისად, რაც ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთას.<sup>271</sup> რაც შეეხება ლატვიას „საგანგებო სიტუაციის დროს განხორციელებული ძირითადი

---

<sup>271</sup>Written by Alessandra Spadaro. Do the containment measures taken by Italy in relation to COVID-19 comply with human rights law? [shorturl.at/fqsP0](https://shorturl.at/fqsP0) [30.05.2022].

ლონისძიებები მოიცავდა: საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვას და დისტანციური სწავლების უზრუნველყოფას, საჯარო დაწესებულებებში 2 მეტრიანი დისტანციის დაცვას, სამუშაო საათების შემცირებას კულტურულ, გასართობ და სპორტულ ადგილებში, დაიხურა ისეთი მაღაზიები უკმე და დასვენების დღეებში, რომლებიც არ იყო არსებითად აუცილებელი, ყველა საჯარო ღონისძიება აიკრძალა, შეხვედრები, დემონსტრაციები, რელიგიური შეკრებები, შიდა სპორტული შეკრებები და ნებისმიერი კერძო ღონისძიებები. 2020 წლის 17 მარტს ჩაიკეტა საერთაშორისო საზღვრებზე მოძრაობა, გარდა სატვირთო ვაგონებისა. დაწესდა 14 დღიანი იზოლაციის წესები მათთვის ვინც დაბრუნდა ლატვიაში ან იმათ ვისაც კონტაქტი ჰქონდა ინფიცირებულებთან. მკაცრი იზოლაციის წესები დადგინდა მათთვის, ვისაც დაუდასტურდა კოვიდ-19-ით ინფიცირება. პოლიციას მიენიჭა უფლებამოსილება მოექძებნა და ძალით გადაეყვანა კარანტინში ან საცხოვრებელ სახლში ის პირები, ვისაც დაუდასტურდა კოვიდ-19 ან ინფიცირებულ პირთან კონტაქტი. ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა იმ პირების მიმართ ვინც არ ასრულებდა დადგენილ ღონისძიებებს. 2020 წლის 3 აპრილს პარლამენტმა კანონში შეიტანა ცვლილებები ადმინისტრაციული ჯარიმის გაზრდის შესახებ. 2020 წლის 7 მაისს კი მთავრობამ გამოაცხადა დადგენილი შეზღუდვების შემცირება<sup>272</sup> მსგავსი შეზღუდვები განხორცილდა პორტუგალიის შემთხვევაში. „2020 წლის 18 მარტის დეკრეტით 15 დღის განმავლობაში შეჩერდა რამოდენიმე ძირითადი უფლება, მათ შორის: ქვეყნის ტერიტორიაზე მოგზაურობის და დასახლების უფლება, ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის უფლება, საკუთრების უფლება და მეწარმეობის თავისუფლება. პრეზიდენტის დეკრეტი მთავრობას ანიჭებდა დისკრეციას მიეღო ღონისძიებები დეკრეტით განსაზღვრულ სფეროებში, მათ შორის გადაადგილების

---

<sup>272</sup> ლოლაძე, ბ. და სხვები. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. 2020 წლის ოქტომბერი. გვ:189-190. [shorturl.at/chCO9](http://shorturl.at/chCO9) [30.05.2022].

თავისუფლებისა და შეკრების შეზღუდვასთან დაკავშირებით, კერძო სექტორს დაევალა სავალდებულო იზოლაციის წესების უზრუნველყოფა. გარდა ამისა მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება დაედგინა საჭირო შეზღუდვები ეპიდემიასთან საბრძოლველად, მათ შორის სახლში ან სამედიცინო დაწესებულებაში იძულებითი კარანტინის გავლის შესახებ“.<sup>273</sup>

ასევე მინდა შევებო ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი ევროპის ქვეყნებში. გლობალური პანდემიის გამო მნიშვნელოვნად შეიზღუდა თითქმის ქვეყნების უმრავლესობაში გაადგილების თავისუფლება, პრობლემები შეიქმნა განათლების უფლებასთან დაკავშირებით, ასევე მართლმსაჯულებისა და სამართლიანი სასამართლოთი სარგებლობის უფლების კუთხით. საინტერესოა „ავსტრიაში სამართლის ორი სტუდენტის საქმე, რომელთაც მიმართეს ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც გაპროტესტდა კომენდანტის საათის შემოღების საკითხზე, ვინაიდან კომენდანტის საათის შემოღება არ იყო გათვალისწინებული კანონით, მათი აზრით ძირითადი უფლებები ირღვეოდა“.<sup>274</sup> ასევე საინტერესოა ბულგარეთის პრეზიდენტის საჩივარი საკონსტიტუციო სასამართლოში სადაც ამტკიცებდა, რომ მთავრობის უფლებამოსილება, შემოიღოს საგანგებო ეპიდემიური ვითარება, რომლის დროსაც ძირითადი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებით, პარლამენტის გადაწყვეტილების გარეშე, ან განსაზღვრული მაქსიმალური ხანგრძლივობით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და მხოლოდ კანონს შეუძლია შეზღუდოს ძირითადი

---

<sup>273</sup> ლოლამე, ბ. და სხვები. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. 2020 წლის ოქტომბერი. გვ:173-174 [shorturl.at/chCO9](http://shorturl.at/chCO9) [30.05.2022].

<sup>274</sup> ნაკაშიძე, მ. ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში: ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა. ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია. სტატიათა კრებული. 2021წ. გვ:183. <http://ewmi-prolog.org/images/files/1230Emergency-Final-02.06.21..pdf> [30.05.2022]

უფლებები“.<sup>275</sup>ლექსემბურგში „საკონსტიტუციო სასამართლოში პირმა გასაჩივრა იძულებით იზოლაციაში მოთავსება ორი კვირის ვადით. სასამართლომ მოსარჩელის სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ ის 10 დღით შეამცირა. ახალი კანონის საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ ითვალისწინება ინფიცირებულთა იძულებით ჰოსპიტალიზაციას. სასამართლომ მიუთითა, რომ იძულებითი ჰოსპიტალიზაცია არის თავისუფლების აღკვეთა, მისი გამართლება მხოლოდ განსაკუთრებული მიზეზით შეიძლება და რომ ასეთი ბრძანება უნდა იყოს დასაბუთებული და პატივს სცემდეს პროცედურულ გარანტიებს, გასაჩივრების შესაძლებლობის ჩათვლით“.<sup>276</sup>რაც შეეხება რუმინეთს „ომბუდსმენმა ეჭვი შეიტანა საგანგებო ვითარების დროს მთავრობისა და პრეზიდენტის აქტებით ჯარიმების დაწესების კონსტიტუციურობაში. ომბუდსმენის აზრით, პარლამენტი კანონის საფუძველზე ნათლად არ განსაზღვრავდა ჯარიმების შემოღების საფუძველს და არსებობდა არაპროპორციული სანქციების გამოყენების საფრთხე. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული აქტები არაკონსტიტუციურია, რადგან ისინი არ აკმაყოფილებდნენ განსაზღვრულობის, განჭვრეტადობის მოთხოვნებს და არ შეესაბამებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პროპორციული შეზღუდვების პრინციპს“.<sup>277</sup> პოლონეთში კი „კოჩიანის საოლქო სასამართლომ უარი თქვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე იმ ადამიანის მიმართ, რომელიც პირბადეს არ ატარებდა, რადგან მინისტრთა საბჭოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, გამოეცა განკარგულება, რომელიც პირს ამგვარი მოვალეობის შესრულებას აკისრებდა. სასამართლომ ამ პირის მიმართ დაკისრებული სასჯელი გააუქმა, რადგან ჩათვალა, რომ არ შეიძლებოდა გარკვეული მწვანე ზონების გამოყენების

---

<sup>275</sup> იქვე, გვ: 183

<sup>276</sup> იქვე, გვ:184-185

<sup>277</sup> იქვე, გვ:185

აკრძალვა“.<sup>278</sup>საინტერესოა ასევე „გერმანიის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ადამიანთა სოციალური კონსტაქტის შეზღუდვა ადამიანის ღირსებას ლახავდა, იყო არაპროპორციული და ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას“.<sup>279</sup>

საქართველოს რაც შეეხება განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან 2020 წლის 21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებიდან გადახვევა შეატყობინა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.<sup>280</sup> საქართველომ ეს გადახვევა გაახანგრძლივა 2020 წლის 22 მაისამდე. „2020 წლის 25 მაისს კი საქართველოს ხელისუფლებამ შეატყობინა გაუგზავნა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ საქართველოში დასრულდა საგანგებო მდგომარეობა, თუმცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საგანგებო მდგომარეობის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა“. ამავე შეტყობინებაში მიუთითებდა, რომ 2020 წლის 15 ივლისამდე ახანგრძლივებს კონვენციის მე-5, მე-6, მე-8, მე-11, კონვენციის პირველი ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლებიდან, კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლიდან გადახვევას. 2020 წლის 15 ივლისს საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ შეატყობინა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ ის ახანგრძლივებს გადახვევას 2021 წლის 1 იანვრამდე“.<sup>281</sup> რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მაგალითად მოლდოვამ გადახვევის შესახებ 2020 წლის 18 მარტს შეატყობინა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს და 2020 წლის 19 მაისს უკან გამოიხმო გადახვევა. რუმინეთის შემთხვევაში შეტყობინება გაკეთდა 2020 წლის 18 მარტს და 2020 წლის 15 მაისს უკან

---

<sup>278</sup> იქვე, გვ:185

<sup>279</sup> იქვე, გვ:184

<sup>280</sup> საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ვერბალური ნოტა ევროპის საბჭოში. 2020 წლის 21 მარტი. [shorturl.at/tCGX9](https://shorturl.at/tCGX9) [30.05.2022].

<sup>281</sup> კორკელია, კ. 2020-2021. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში Covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. გვ:40. [shorturl.at/aBKN0](https://shorturl.at/aBKN0) [30.05.2022].

გამოიხმო.<sup>282</sup> ლატვიამ 2020 წლის 15 მარტს გაგზავნა შეტყობინება, ხოლო 2020 წლის 14 მაისს უკან გამოიხმო.<sup>283</sup> სერბეთმა 2020 წლის 6 აპრილს გააგზავნა შეტყობინება და უკან გამოიხმო 2020 წლის 9 ოქტომბერს.<sup>284</sup> მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების შემთხვევაში 47-იდან 10-მა სახელმწიფომ, ხოლო საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოების შემთხვევაში, 20-მა სახელმწიფომ 173-იდან წარუდგინეს შეტყობინებები შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს ადამიანის უფლებათა ვალდებულებებიდან გადახვევის შესახებ.<sup>285</sup>

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მარეგულირებელი ნორმები „ქმნიან მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად, რაც არის პირდაპირ დაკავშირებული ადამიანის ძირითად უფლებებთან. განსაკუთრებით საშიში გადამდები თუ არაგადამდები დაავადებების შესაკავებლად ეფექტური კანონმდებლობის არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს მზგავსი შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ჯერ კიდევ 1918 წლის გრიპის პანდემიის დროს ნათელი გახდა, რომ ეპიდემიასთან საბრძოლველად საჭირო იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების დროებით დახურვა, საზოგადოებრივი და მასობრივი შეკრებების აკრძალვა, სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა. სწორედ აქედან გამომდინარე კოვიდ-19

---

<sup>282</sup> კორკელია, კ. 2020-2021. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში Covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. გვ:40. [https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion\\_GEO\\_WEB.pdf](https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion_GEO_WEB.pdf) გვ:42. [30.05.2022].

<sup>283</sup> კორკელია, კ. 2020-2021. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში Covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. გვ:40. [https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion\\_GEO\\_WEB.pdf](https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion_GEO_WEB.pdf) გვ:41. [30.05.2022].

<sup>284</sup> კორკელია, კ. 2020-2021. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში Covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. გვ:40. [https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion\\_GEO\\_WEB.pdf](https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion_GEO_WEB.pdf) გვ:43. [30.05.2022].

<sup>285</sup> კორკელია, კ. 2020-2021. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში Covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. გვ:40. [https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion\\_GEO\\_WEB.pdf](https://georgia.un.org/sites/default/files/2021-06/LongVersion_GEO_WEB.pdf) გვ:44. [30.05.2022].

პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემზღვევადი ღონისძიებები ამოქმედდა.<sup>286</sup> რაც შეეხება ავსტრიას „ეპიდემიის შესახებ“ კანონი 1950 წელს მიიღეს. ამ კანონში დეტალურადაა განსაზღვრული პრევენციისა და მართვის პროცესი, გრიპისა თუ სხვა ვირუსების. ამ კანონით შეიძლება განხორციელდეს იზოლაცია და საკარანტინე ღონისძიებები. ეს კანონი იძლევა საშუალებას შეკრების შეზღუდვის. ასევე შესაძლებელია დაწესდეს სოციალური დისტანციის დაცვა და სხვა დამცავი მექანიზმები. ამავე კანონით ოლქის ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია შეზღუდოს საგანმანათლებლო დაწესებულება, სრულად ან ნაწილობრივ. ავსტრიის პარლამენტმა ვირუსის პრევენციის პროცესში 18 ახალი საკანონმდებლო აქტი მიიღო.<sup>287</sup> გერმანიის შემთხვევაში არსებობს „ინფექციის დაცვის“ ფედერალური კანონი. „ინფექციის დაცვის ფედერალური კანონის 28-ე პარაგრაფი ითვალისწინებს ინფიცირებული თუ საეჭვო პირების მიმართ აუცილებელი დამცავი ზომების მიღებას, რაც გადამდები დაავადებების პრევენციისთვის არის მნიშვნელოვანი. უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია შეზღუდოს ადამიანების გადაადგილების თავისუფლება, კერძოდ აკრძალოს კონკრეტულ ობიექტებში ან საზოგადოებრივ სივრცეებში შესვლა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს შეკრება, რაც შეიძლება გამოიხატოს მასობრივი შეხვედრების და სხვა სოციალური ღონისძიებების დროებით აკრძალვაში. მსგავსი ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა, ასევე მიმოსვლის თავისუფლების და შეკრების თავისუფლების შეზღუდვა.“<sup>288</sup> მსგავსი კანონი არსებობს შვეიცარიაში, ეს არის ფედერალური კანონი „გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის

---

<sup>286</sup> ლოლაძე, ბ. და სხვები., 2020. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. გვ:204-205 [shorturl.at/sAQ57](http://shorturl.at/sAQ57) [30.05.2022].

<sup>287</sup> ლოლაძე, ბ. და სხვები., 2020. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. გვ:205-206 [shorturl.at/sAQ57](http://shorturl.at/sAQ57) [30.05.2022].

<sup>288</sup> ლოლაძე, ბ. და სხვები., 2020. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. გვ:206 [shorturl.at/sAQ57](http://shorturl.at/sAQ57) [30.05.2022].

შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 2012 წლის 28 სექტემბერს. ეს კანონი ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვებს, როგორცაა მასობრივი შეკრების აკრძალვა ან შეზღუდვა. სკოლების დახურვის, საჯარო დაწესებულებებისათვის და კერძო კომპანიებისთვის რეგულაციების დაწესებას.<sup>289</sup> როგორც მოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, არსებული ქვეყნების უმრავლესობას აქვს მოწესრიგებული კანონმდებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პანდემიური და ეპიდემიური სიტუაციების მართვას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე ორდინალური კანონმდებლობის შესაბამისად. ევროპული ქვეყნების უმეტესობამ თავი აარიდა საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივებას ხანგრძლივი ვადით.

როგორც დავინახეთ კოვიდ პანდემიამ ნამდვილად თითქმის მთელი მსოფლიო დააყენა გამოწვევების წინაშე ისე, რომ მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობა არ იყო მზად მზგავსი გამოწვევების წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების უმეტესობას ჰქონდა სხვადასხვა ინფექციებთან ბრძოლის გამოცდილება და შესაბამისი კანონმდებლობაც, მაინც გაჭირდა აღნიშნული პანდემიის მართვა მისი მასშტაბებიდან გამომდინარე. გარკვეული ცვლილებები განხორციელებულ და შეტანილ იქნა ეროვნულ კანონმდებლობებში. ევროპის ქვეყნების უმეტესობამ მცირე ხნით გამოაცხადეს საგანგებო მდგომარეობა, შემდგომ კი იხელმძღვანელეს ჩვეულებრივი კანონმდებლობით. არსებულმა კოვიდ პანდემიამ გამოავლინა მრავალი პრობლემა საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში ეს შეეხება მოუწესრიგებელ საგანგებო დებულებებს, რომლის დროსაც ქვეყანამ ვერ მოახერხა ეხელმძღვანელა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით და შეიძლება ითქვას ქვეყანა იძულებული გარდა ესარგებლა საგანგებო მდგომარეობის

---

<sup>289</sup> ლოლაძე, ბ. და სხვები., 2020. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. გვ:209-210 [shorturl.at/sAQ57](https://shorturl.at/sAQ57) [30.05.2022].



გამოცხადებით. ის რომ „მოსახლეობის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უსაფრთხოების დაცვა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია, რის გამოც საგანგებო მდგომარეობის არსებობის პირობებში, შესაძლებელია ზოგიერთი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა შორის განაწილებული ფუნქციების ცვლილება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებათა გაზრდის ხარჯზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში უფლებამოსილებისა და ძალაუფლების კონცენტრაციამ ადამიანის უფლებათა გაუმართლებელი შეზღუდვისა და თვითნებობის რისკი შეიძლება გაზარდოს. დაუშვებელია, პანდემიასთან ბრძოლის გამართლება კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ხელყოფის ხარჯზე. პანდემიით გამოწვეული კრიზისი საფრთხე არა მარტო მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არამედ დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელ სხვა სიკეთეებსა და ღირებულებებს უქმნის საფრთხეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან, ხანგრძლივობასთან და ფარგლებთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სტანდარტების განუხრელი დაცვა.“<sup>290</sup> ეპიდემიური სიტუაციების მართვა და მისი მოწესრიგება კონსტიტუციით, რაზეც ყურადღებას ასევე ამახვილებს ვენეციის კომისიაც<sup>291</sup> აუცილებელია რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება მოხდეს პანდემიური სიტუაციების იმაზე მეტად შეფასება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს

---

<sup>290</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. Covid-19 ინფექციის გამოწვევის მართვა ხელისუფლების ქმედების შეფასების ანგარიში.თბილისი. 2020წ. გვ:4 [shorturl.at/ilmU3](http://shorturl.at/ilmU3) [30.05.2022].

<sup>291</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული, სტრასბურგი. 2020. გვ:4 [shorturl.at/ipsyl](http://shorturl.at/ipsyl) [30.05.2022].

საჭიროზე მეტად ჩარევა ადამიანის უფლებებში. სამართლით მისი მართვისა და მოწესრიგების არსი სწორედ რომ ასეთი მდგომარეობების დროს ადამიანის უფლებათა დაცვაა, ამიტომ ყველა ღონისძიება უნდა დაემორჩილოს სამართლებრივ მოწესრიგებას და საზოგადოებრივ სიკეთეთა ბალანსის დაცვას. საკითხები, რომელიც გამოვლინდა კოვიდ პანდემიის მართვასთან დაკავშირებით ძალიან ფართოა და მოითხოვს დეტალურ შესწავლას, თუმცა წარმოდგენილი მასალების მიხედვით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება კოვიდ პანდემიის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით. სწორედ, რომ მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა უზრუნველყოფს საგანგებო მდგომარეობის სწორად რეგულირებას და ქვეყნის დაბრუნებას ნორმალური ცხოვრების რეჟიმში. კოვიდ პანდემიის პირობებში ხელისუფლების მოქმედება იყო დროული და შეიძლება დადებითად შეფასდეს, მაგრამ არასრულყოფილი და არასისტემური, მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის გამო მივიღეთ საგანგებო მდგომარეობის ქაოტური გამოცხადება. ამიტომ სასურველია შემდგომ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

- საგანგებო მდგომარეობა პანდემიის პირობებში უნდა წარმართულიყო საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, მაგრამ ეს კანონი ვერ აკმაყოფილებს ეპიდემიისა და პანდემიის დროს ეფექტური მართვის მოთხოვნებს. ეს კანონი არც კი ეხება პანდემიურ და ეპიდემიურ სიტუაციებს, ასევე არ ითვალისწინებს კონკრეტულ გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს, ასევე საუბარი არ არის ადამიანის უფლებათა შეზღუდვებზე, რომლის შეზღუდვის აუცილებლობა ყოველთვის დგება მსგავს სიტუაციებში. გამომდინარე აქედან საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს დაეყრდნო საქართველოს კანონს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“.

- პრობლემურია განსხვავების დადგენა ორდინალურ მდგომარეობას, საგანგებო სიტუაციასა და საგანგებო მდგომარეობას შორის, რაც

მნიშვნელოვანია, რათა მინიმუმამდე იქნეს შემცირებული საგანგებო მდგომარეობის გამოყენება და მაღალი სტანდარტით ადამიანის უფლებათა შეზღუდვის აუცილებლობა, მაშინ როცა არსებული ვითარების მართვა შესაძლებელი იქნებოდა უფრო მსუბუქი შეზღუდვების გამოყენებითაც. მსგავსი დასკვა გამომდინარეობს იქიდან, რომ საგანგებო მდგომარეობის დამთავრების შემდგომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კოვიდ-19 პანდემიის მართვა განახორციელა ორდინალური კანონმდებლობის შესაბამისად.

- ცვლილებების განხორციელებაა საჭირო კანონში საგანგებო მდგომარეობის შესახებ, რამეთუ ეს კანონი 1997 წელს იქნა მიღებული და მის მერე არსებითი ცვლილებები მასში არ შესულა და მისი განახლება არ მომხდარა. სწორედ გაუმართავმა საკანონმდებლო ბაზის არსებობამ, საგანგებო მდგომარეობისათვის არასაკმარისად განსაზღვრულმა და არამკაფიო, კონკრეტული რეგულაციების არარსებობამ განაპირობა პრეზიდენტის მხრიდან უფლებამოსილებათა ფართო დელეგირება და მთავრობის მხრიდან უფლებამოსილების ჭარბად გამოყენება. ეს ქმედება არღვევს ისედაც გაზრდილ აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოთ ძალთა ბალანსს. მთელი საგანგებო მდგომარეობის დროს ამ კანონის გამოყენება არ მომხდარა, რადგან ეს კანონი ასევე არ ითვალისწინებს პანდემიური და ეპიდემიური სიტუაციების დეტალურ მოწესრიგებას.

- მნიშვნელოვანია კანონით განისაზღვროს უფლებამოსილების დელეგირების საზღვრები პრეზიდენტის მხრიდან მთავრობაზე, რათა თვითნებურ ჩარევას ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის უფლებებში. მსგავს უფლებამოსილებას საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს პრეზიდენტს, ამიტომ აუცილებელია კონტიტუციური დებულებები სათანადოდ იყოს დაცული.

- სასურველია კანონით განისაზღვროს სისხლის სამართლისა და ადამინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და

გათვალისწინებულ იქნეს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა საქართველოს მოსახლეობის, რათა ის არ იყოს არაპროპორციული და არ არღვევდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს.

- საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს პრეზიდენტს არ ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება შეეზღუდა საგანგებო მდგომარეობის დროს დეკრეტით საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი, რომელიც შეეხება განათლებასა და აკადემიურ თავისუფლებას, შესაბამისად ეს გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია. შეზღუდვები ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე.

- საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება იყო ქაოტური და ის ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებსა და სტანდარტებს სტანდარტებს.

#### **4.3 საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციების მაგალითზე**

უმეტეს ქვეყნებში „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილება დაყოფილია საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის, ჩვეულებრივ აღმასრულებელი ხელისუფალია ინიციატორი, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება ამტკიცებს საგანგებო მდგომარეობას. უმეტესწილად, კი ამ პროცესში ხელისუფლების სამივე შტო თავისებურად მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას და პარლამენტს აქვს განსხვავებული როლები, ამ ორ ორგანოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე.

თურქეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ, რომელსაც თავჯდომარეობს რესპუბლიკის პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ წარუდგენს პრეზიდენტს დასამტკიცებლად“.<sup>292</sup>

„უნგრეთში კი საგანგებო მდგომარეობას აცხადებს პარლამენტი. იმ შემთხვევაში როდესაც ადგილი აქვს შეიარაღებულ მოქმედებებს კონსტიტუციური წესრიგის დასამხობად ან სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, ან როდესაც ხდება ძალადობრივი ქმედებები იარაღის გამოყენებით ან შეიარაღებული ჯგუფების მიერ, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და საკუთრებას ფართო მასშტაბით, აგრეთვე ბუნებრივი ან საწარმოო კატასტროფების შემთხვევაში“.<sup>293</sup>

„პორტუგალიაში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება პრეზიდენტის დეკრეტით. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე სავალდებულოა მთავრობასთან წინასწარი კონსულტაცია, ხოლო შემდგომ პარლამენტმა უნდა გასცეს საგანგებო მდგომარეობაზე თანხმობა. პარლამენტი ზედამხედველობს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, ასევე დაუშვებელია პარლამენტის დათხოვნა საგანგებო მდგომარეობის დროს. პორტუგალიის კონსტიტუცია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას მხოლოდ კონსტიტუციით ცხადად განსაზღვრულ შემთხვევებში“.<sup>294</sup>

„ისრაელში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს ქსენეთი საკუთარი ინიციატივით ან მთავრობის განცხადებით. განცხადება საგანგებო მდგომარეობის შესახებ გრძელდება, სანამ არ ამოიწურება მასში აღნიშნული მდგომარეობა, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

---

<sup>292</sup> ხავთასი, ლ. საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები. სამაგისტრო ნაშრომი. თსუ. თბილისი 2019წ. გვ:17 [shorturl.at/krtCI](http://shorturl.at/krtCI) [30.05.2022].

<sup>293</sup> გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. ნაწილი III. თბილისი 2008წ. გვ:702

<sup>294</sup> ლოლაძე, ბ. და სხვები. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში, თბილისი. 2020წ. ოქტომბერი. გვ:169-170 [shorturl.at/fkvN1](http://shorturl.at/fkvN1) [30.05.2022].

ქსენეთი ერთი წლის თავზე აკეთებს ხელახალ განცხადებას საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. როგორც კი მთავრობა შეიტყობს, რომ სახელმწიფოში არის საგანგებო მდგომარეობა და ამ მხრივ სავალდებულოა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, უფლებამოსილია იმ დრომდეც გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, სანამ ქსენეთი შეიკრიბება. ასეთი განცხადების ვადა გადის შვიდი დღის შემდეგ, თუ ქსენეთი ამ დროისთვის მისი უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ დაადასტურებს საგანგებო მდგომარეობის არსებობას“.<sup>295</sup>

„ფინეთის კონსტიტუციის 23-ე მუხლი ადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საგანგებო მდგომარეობის დროს. 23-ე მუხლის თანახმად, საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გამოცხადდეს პარლამენტის მიერ მიღებული აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, რაც ერის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. დროებითი ღონისძიებები, რომელიც ადამიანის უფლებებიდან გადახვევას წარმოადგენს შესაბამისობაში უნდა იყოს ფინეთის მიერ ნაკისრ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებებთან. აღნიშნული დროებითი ღონისძიების მიღება შესაძლებელია პარლამენტის შესაბამისი აქტით ან მთავრობის ბრძანების საშუალებით. მთავრობის მიერ ბრძანების გამოცემა შესაძლებელია, როდესაც ამ უკანასკნელს აქვს პარლამენტისგან შესაბამისი აქტის საფუძველზე ნებართვა მიღებული. აღნიშნულ აქტში პარლამენტმა უნდა მიუთითოს კონკრეტული მიზეზი და მთავრობისთვის ცხადად განსაზღვრული მოქმედების ფარგლები. ასევე, დროებითი ღონისძიების მიღების საფუძველები კანონით უნდა დადგინდეს. მთავრობის ბრძანებები დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებით დაუყონებლივ უნდა გადაეცეს პარლამენტს განსახილველად. კონსტიტუციის 23-ე მუხლის თანახმად, პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის ბრძანებების ძალაში

---

<sup>295</sup> გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. ნაწილი II. თბილისი 2008წ. გვ:470

შესვლის თაობაზე. ამდენად, ფინეთის კონსტიტუცია იძლევა შესაძლებლობას, რომ დროებითი ღონისძიებები მიიღოს უშუალოდ პარლამენტმა ან აღნიშნული უფლებების გადაცემა მოხდეს მთავრობისთვის. თუმცა უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაშიც კი, პარლამენტი ინარჩუნებს ვეტოს ფუნქციას და განხილვის შედეგად აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის ბრძანება/ბრძანებები დროებითი ღონისძიების შესახებ არ შევიდეს ძალაში“.<sup>296</sup>

რაც შეეხება თურქეთს, მისი კონსტიტუციის 119-ე მუხლი ამბობს, რომ „სტიქიური უბედურებების, საშიში ეპიდემიური დაავადებების ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტის თავჯდომარეობით მოწვეულ მინისტრთა საბჭოს შეუძლია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში 6 თვის ვადით. თურქეთის კონსტიტუცია იცნობს ძირითადი უფლებისა და თავისუფლებების შეზღუდვას ან შეჩერებას“.<sup>297</sup>

ყაზახეთის კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-17 ქვეპუნქტით „გათვალისწინებულია ომის გამოცხადება, ხოლო მე-16 ქვეპუნქტი კი ამბობს, თუ საფრთხე ემუქრება დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ სტაბილურობას, აგრეთვე მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას და დარღვეულია სახელმწიფოს კონსტიტუციურ ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება, რესპუბლიკის პრემიერ მინისტრსა და პარლამენტის პალატების თავჯდომარეებთან ოფიციალური კონსულტაციების შემდეგ იღებს ზემოდასახელებული გარემოებით განპირობებულ ზომებს,

---

<sup>296</sup> ლოლაძე, ბ. და სხვები. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში, თბილისი. 2020წ. ოქტომბერი. გვ:175-176 [shorturl.at/inpwX](http://shorturl.at/inpwX) [30.05.2022].

<sup>297</sup> გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. ნაწილი III. თბილისი 2008წ. გვ:353-354

ყაზახეთის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და რესპუბლიკის სამხედრო ძალების გამოყენების ჩათვლით და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ რესპუბლიკის პარლამენტს“.<sup>298</sup>

„გერმანიის კონსტიტუცია განასხვავებს შინაგან და გარეგან საგანგებო მდგომარეობას. გარე საგანგებო მდგომარეობა მოიცავს ორ სპეციალურ რეჟიმს „დაძაბულობის მდგომარეობას“ და „თავდაცვის მდგომარეობას“, ეს უკანასკნელი შეიძლება გამოცხადდეს, თუ ქვეყანა აღმოჩნდება სამხედრო თავდასხმის ქვეშ, ან ასეთი მოსალოდნელი საფრთხის წინაშე. თავდაცვის მდგომარეობის გამოცხადებამდე პარლამენტს შეუძლია გამოაცხადოს დაძაბულობის მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის გააქტიურება პარლამენტში კი მოითხოვს ხმების 2/3, 50% კვორუმით. მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, შინაგანი საგანგებო მდგომარეობის შესახებ კონსტიტუციური დებულებები უფრო აქტიურია, ის შეიძლება ამოქმედებულ იყოს ბუნებრივი კატასტროფების ან სხვა მძიმე შემთხვევების დროს, ასევე საზოგადოებრივი და დემოკრატიული წყობილების უსაფრთხოების მიზნით. საინტერესოა, რომ ბუნდესტაგი არ მონაწილეობს შინაგანი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაში, გადაწყვეტილება შეიძლება ფედერალურმა მთავრობამ თავად მიიღოს“.<sup>299</sup>

კონსტიტუციების უმეტესობა შეიცავს დებულებებს საგანგებო მდგომარეობის შესახებ, „თუმცა არსებობს იმ მცირე ქვეყნების ჩამონათვალი სადაც არ არსებობს საგანგებო წესები, მაგრამ არსებობს საგანგებო დებულებები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ომის, საფრთხისა თუ სხვა სახიფათო ვითარების დროს. ნორვეგიაში, დანიაში, ლუქსემბურგში, შვედეთში და ავსტრიაში საგანგებო წესები არ არსებობს ამ

---

<sup>298</sup> გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. ნაწილი III. თბილისი 2008წ. გვ:771

<sup>299</sup> States of emergency in response to the coronavirus crisis: Situation in certain Member States. [shorturl.at/epW03](https://shorturl.at/epW03) [30.05.2022].



სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მაგრამ შენარჩუნებულია ფართო საკანონმდებლო ძალის გადაცემა თუ პარლამენტი ვერ აკმაყოფილებს ან ვერ ასრულებს მის ფუნქციას“.<sup>300</sup>

მაგალითად, შვეიცარიაში „არსებობს სრული ძალაუფლების რეჟიმი, მისი დოქტრინა აღიარებს, თუ ფედერალური ანსამბლეა ვერ ახორციელებს მის უფლებამოსილებას ან ვერ ხორციელდება ნორმალური საკანონმდებლო პროცედურა, ფედერალურ საბჭოს მინიჭებული აქვს მთელი რიგი უფლებამოსილებები. როდესაც ფედერალური ასამბლეა შეძლებს შეკრებას მას აქვს უფლებამოსილება, რომ დაადასტუროს ის „სახელმწიფო აუცილებლობა“, რომლის გამოც მოქმედებდა ფედერალური საბჭო და მიანიჭოს სრული უფლებამოსილება მოქმედ ფედერალურ საბჭოს. აგრეთვე არსებობს „მკაცრი აუცილებლობის რეჟიმი“, როდესაც პარლამენტი აღარ ფუნქციონირებს და შესაბამისად, ფედერალური საბჭო იღებს შეუზღუდავ აღმასრულებელ უფლებამოსილებას. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია ავალდებულებს ფედერალურ საბჭოს, ქვეყნის შიდა და გარე უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას. ამდენად, ფედერალური საბჭო ფუნქციონირებს, როგორც ჩვეულებრივი საკანონმდებლო ორგანო კრიზისულ სიტუაციებში.

ესტონეთში სახელმწიფო კრება აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, მობილიზაციას და დემობილიზაციას, იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულების შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ. საშიშროების გაჩენის შემთხვევაში, რომელიც ემუქრება ესტონეთის კონსტიტუციურ წყობას, სახელმწიფო კრებას შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტის ან მთავრობის წარდგინებით ხმათა სრული შემადგენლობის უმრავლესობით

---

<sup>300</sup> EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) EMERGENCY POWERS. Science and technique of democracy No12. Strasbourg 1995. pg:3 [shorturl.at/cv268](http://shorturl.at/cv268) [30.05.2022].

მთელ სახელმწიფოში არაუმეტეს 3 თვის ვადით შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა“.<sup>301</sup>

ნორვეგიის კონსტიტუცია „საერთოდ მცირედ განიხილავს საგანგებო მდგომარეობას, იქ საგანგებო მდგომარეობას არეგულირებს კანონი საგანგებო ვითარების შესახებ და ექსტრა-კონსტიტუციური დოქტრინა. კანონი საგანგებო ვითარების შესახებ პარლამენტს აკისრებს ვალდებულებას, აკონტროლოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის რეგულაციების სათანადო დაცვა და აღსრულება, ხოლო მეორეს მხრივ უკიდურეს ვითარებაში კონსტიტუციური დოქტრინა სრულად გადასცემს ძალაუფლებას მთავრობას უკიდურეს ვითარებაში. კანონი საგანგებო ვითარების შესახებ არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების და ძალაუფლების აღსრულებას კრიზისულ და ომის მდგომარეობაში“.<sup>302</sup>

„შვედეთის საკანონმდებლო დოქტრინა სამი ტიპის საგანგებო მდგომარეობას გამოყოფს: ომი ან თავდასხმა, განსაკუთრებული გარემოებები და შიდა საგანგებო მდგომარეობა. კონსტიტუცია არეგულირებს მხოლოდ ომს და თავდასხმას, ორგანული კანონი და რეგულაციები განსაზღვრავენ განსაკუთრებულ გარემოებებს. ზოგადი საკანონმდებლო და კონსტიტუციური ჩარჩო ერთად არეგულირებენ შიდა საგანგებო მდგომარეობას, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ბუნერივი კატასტროფების, ეპიდემიების და ინფრასტრუქტურული კრიზისების შედეგად. პარლამენტის და მთავრობის გარდა, კონსტიტუცია არეგულირებს სხვა

---

<sup>301</sup> ხავთასი, ლ. საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები. სამაგისტრო ნაშრომი, თსუ. თბილისი 2019წ. გვ:19-20 [shorturl.at/AFO39](http://shorturl.at/AFO39) [30.05.2022].

<sup>302</sup> საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, საგანგებო მდგომარეობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა. 2020წ. 21 მარტი. გვ:6 N03/02. [shorturl.at/yD148](http://shorturl.at/yD148) [30.05.2022].

საჯარო უწყებების უფლებამოსილებებსაც საგანგებო მდგომარეობის დროს“.<sup>303</sup>

ბელგიის კონსტიტუციის თანახმად „საგანგებო მდგომარეობა კონსტიტუციით არ რეგულირდება. კონსტიტუცია მხოლოდ ომის მდგომარეობაზე მოიცავს ინფორმაციას. ლუქსემბურგის კონსტიტუცია საუბრობს მხოლოდ საერთაშორისო კრიზისზე და არა საგანგებო მდგომარეობაზე. საერთაშორისო კრიზისის დროს, დიდი ჰერცოგი უფლებამოსილია გადაუდებელ შემთხვევებში გამოსცეს რეგულაცია, რომელიც დასაშვებია ეწინააღმდეგებოდეს არსებულ კანონებს. საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობას გადაეცემა დამატებითი უფლებამოსილებები, რათა გადაწყვეტილებები სწრაფად იქნეს მიღებული და არ დაყოვნდეს საპარლამენტო განხილვებისას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დარღვეულ იქნეს არსებული კანონები, რაც გამონაკლის წარმოადგენს კონსტიტუციის თანახმად. ლუქსემბურგის კანონმდებლობა, ასევე ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დროს, ნებას რთავს აღმასრულებელ ხელისუფლებას დაარეგულიროს ის კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც კანონით არ მიეკუთვნება გამონაკლისს“.<sup>304</sup>

ამ მცირე ქვეყნების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ქვეყნების უმეტესობის კანონმდებლობა იცნობს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ საგანგებო დებულებებს და მას აცხადებენ ისეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებას, დემოკრატიულ წყობილებას ან საზოგადოების უსაფრთხოებას ემუქრება საფრთხე. გაზრდილი აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების მიუხედავად ის

---

<sup>303</sup> საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, საგანგებო მდგომარეობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა. 2020წ. 21 მარტი. გვ:7 N03/02. [shorturl.at/yD148](https://shorturl.at/yD148) [30.05.2022].

<sup>304</sup> საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, საგანგებო მდგომარეობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა. 2020წ. 21 მარტი. გვ:12-13. N03/02. [shorturl.at/yD148](https://shorturl.at/yD148) [30.05.2022].

დაბალანსირებულია პარლამენტის ჩართულობით, ამ პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამეთუ საფრთხე არ შეექმნას სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ პრინციპებს-ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს და მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგს.

#### **4.4 საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებათა „შეზღუდვისა“ და „შეჩერების“ კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში**

საქართველოს კონსტიტუციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული დებულებები, რომლის დროსაც საქართველოს პრეზიდენტს ეძლევა უფლება დეკრეტით „შეზღუდოს“ ან „შეაჩეროს“ ადამიანის ძირითადი უფლებები. პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტი ადამიანის უფლებების „შეზღუდვის“ შესახებ ძალაში შედის გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის „შეჩერების“ შესახებ პარლამენტის დამტკიცებისთანავე.<sup>305</sup> ორივე შემთხვევა წარმოადგენს ადამიანის უფლებებში უხეშ ჩარევას, აქედან გამომდინარე ამ დებულებებზე ყურადღების გამახვილება საგანგებო მდგომარეობის დროს სულაც არაა შემთხვევითი, რამეთუ ამ დროს არა მხოლოდ ხდება გადახვევა ადამიანის უფლებებიდან, არამედ ის შესაძლებელია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური მიზნებისთვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის უფლებებში საჭიროზე მეტი ჩარევა. გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობა ისედაც არის უკვე კრიზისული მდგომარეობა, ადამიანის უფლებებში საჭიროზე მეტად ჩარევამ კი შესაძლებელია ხელი შეუწყოს უფრო მეტი კრიზისების შექმნას. როგორც დავინახეთ ადამიანის უფლებების „შეზღუდვისა“ და „შეჩერების“ საკითხს „საქართველოს კონსტიტუცია“ განსხვავებულად არეგულირებს, შესაბამისად განსხვავებულია პროცედურებიც. საქართველოს ორგანული

---

<sup>305</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71(4). [shorturl.at/fvzLN](http://shorturl.at/fvzLN) [30.05.2022].

კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ და მისი მე-7 მუხლის<sup>306</sup> მიხედვით პრეზიდენტის დეკრეტი და საქართველოს ორგანული კანონი თანაბარი რანგისაა. „საქართველოს კონსტიტუციის“ 45-ე მუხლი მე-2 ნაწილი ორგანულ კანონს მიღებულად აცხადებს თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა,<sup>307</sup> ამიტომ ორივე შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა „შეჩერებაც“ და „შეზღუდვაც“ ძალაში უნდა შევიდეს პარლამენტის თანამონაწილეობით, მსგავსი მოწესრიგება კი სრულად დააკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალ კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს.

საგანგებო დებულებები უცხო არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციებისათვის. კერძოდ 1921 წლის კონსტიტუცია იცნობდა ადამიანის უფლებათა „დროებითი შეჩერების“ მექანიზმს,<sup>308</sup> 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია დასაშვებათ მიიჩნევდა ადამიანის უფლებათა „შეზღუდვას“,<sup>309</sup> ხოლო მოქმედი კონსტიტუციის 71-ე მუხლის მეოთხე პუნქტი უშვებს, როგორც ადამიანის უფლებათა „შეზღუდვას“ ასევე „შეჩერებას“.<sup>310</sup>

თუ თვალს გადავავლებთ საგანგებო დებულებების ასახვის ისტორიას საქართველოს კონსტიტუციაში, ვერსად ვერ ვნახავთ იმის დასაბუთებულობას, თუ რატომ გახდა აუცილებელი და საჭირო ადამიანის უფლებათა „შეჩერების“ მექანიზმის შემოტანა საქართველოს კონსტიტუციაში, ან რამდენად შეესაბამება ეს დებულება საერთაშორისო სტანდარტებს, რამდენად არის თავსებადი ადამიანის უფლებათა არსთან და საერთოდ კონსტიტუციურ წესრიგთან. ამ საკითხების განხილვა და მასზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია, რამეთუ ის შეეხება

<sup>306</sup> საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 29/10/1996, [shorturl.at/sLSVX](http://shorturl.at/sLSVX) [30.05.2022].

<sup>307</sup> საქართველოს კონსტიტუცია. [shorturl.at/vBIKL](http://shorturl.at/vBIKL) [30.05.2022].

<sup>308</sup> საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 43, 44. [shorturl.at/txz24](http://shorturl.at/txz24) [30.05.2022]

<sup>309</sup> საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხლი 46. [shorturl.at/hnDM4](http://shorturl.at/hnDM4) [30.05.2022].

<sup>310</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4. [shorturl.at/vBIKL](http://shorturl.at/vBIKL) [30.05.2022].

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. კონსტიტუციური წესრიგი დაცული და უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იქნება დაცული სათანადოდ ადამიანის უფლებები.

საქართველოს კონსტიტუციისათვის ადამიანი არის უმაღლესი ფასეულობა. საქართველოს კონსტიტუცია „ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.<sup>311</sup> გარდა ამისა მოქმედი კონსტიტუცია მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“,<sup>254</sup> რაც ადამიანის უფლებათა დაცვის მყარ გარანტიად მიიჩნევა. გარდა ამისა კონსტიტუცია აღიარებულია სახელმწიფოს უზენაეს კანონად და რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში“.<sup>254</sup> კონსტიტუცია ასევე მიუთითებს, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“,<sup>254</sup> რაც ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის კიდევ ერთი მყარი გარანტიაა.

საქართველოს კონსტიტუციურ სისტემას საფუძვლად სამი ფუნდამენტური პრინციპი უდევს, „რომელთაგან უმნიშვნელოვანესია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ფუნქციად ხელისუფლების შეზღუდვა და სახელმწიფოსგან ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფა განისაზღვრება“.<sup>312</sup> რაც შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებს სწორედ მასში აისახება ყველაზე

<sup>311</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4. [shorturl.at/vBIKL](http://shorturl.at/vBIKL) [30.05.2022].

<sup>312</sup> კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ. გვ:45.

უკეთ სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის იდეა.<sup>255</sup> როგორც დავინახეთ საქართველოს კონსტიტუცია ადამიანს აღიარებს უმაღლეს ფასეულობათ და უმაღლესი ფასეულობა ის იმიტომ არის, რომ ყველა სხვა დებულებები მას უნდა შეესაბამებოდეს. ვერ უნდა იარსებოს იმ სიკეთემ, რომელიც გადაწონის კონსტიტუციით აღიარებულ ამ უმაღლეს ფასეულობას.

საქართველოს კონსტიტუციაში ადამიანის უფლებებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია და მეორე თავშია განთავსებული. ამ თავში ჩამოთვლილია და საუბარია ადამიანის ძირითად უფლებებზე, რომელთა შეზღუდვის საფუძვლადაც დასახელებულია „შეზღუდვა კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“.<sup>313</sup> საგანგებო მდგომარეობის დროს კი შეიძლება „შეიზღუდოს“ ან „შეჩერდეს“ ადამიანის უფლებები მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას“.<sup>314</sup> გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ „ძირითადი უფლებების სფეროში კანონმდებელი ვერ ჩაერევა. ძირითადი უფლებები წინასახელმწიფოებრივია იმ გაგებით, რომ ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და პირიქით, სახელმწიფო ყოველთვის ვალდებულია დაასაბუთოს ადამიანის უფლებების შეზღუდვის მართლზომიერება. აღნიშნული თვალსაზრისით, ძირითადი

<sup>313</sup> მუხლი 14(2), 16(2), 17(5), საქართველოს კონსტიტუცია. [shorturl.at/vBIKL](http://shorturl.at/vBIKL) [30.05.2022].

<sup>314</sup> მუხლი 71(2), საქართველოს კონსტიტუცია [shorturl.at/vBIKL](http://shorturl.at/vBIKL) [30.05.2022].

უფლებები ინდივიდის უფლებებია, ხოლო სახელმწიფოსთვის- ვალდებულება. იურიდიული თვალსაზრისით, ძირითადი უფლებები სამართლის ნორმაა. ძირითადი უფლება, როგორც სამართლის ნორმა ნორმატიული ხასიათისაა და მამასადამე, სავალდებულო ძალა აქვს. როგორც კონსტიტუციურ ნორმას, ძირითად უფლებებს აქვს უზენაესი იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებს განმარტავს, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს. კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები არ მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას მიმდინარე კანონებში. ისინი შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული სამართლის შეფარდების პროცესში<sup>315</sup>. „დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციათა უმრავლესობა იცნობს ადამიანის უფლებათა „შეზღუდვის“ მექანიზმს. გამონაკლისი რამდენიმე სახელმწიფოა პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთა, რომელთა კონსტიტუციები შეიცავენ ტერმინს-„შეჩერებას“, მაგრამ აქაც გაზიარებულია ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური არსი. ეს ტერმინი როგორც გრამატიკულად, ისე სამართლებრივად, მოქმედი ნორმისთვის იურიდიული ძალის გაუქმებას ნიშნავს (თუნდაც ეს დროებით იყოს), რაც ეწინააღმდეგება ბუნებითი უფლებების არსს, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებები ბუნებითი უფლებებია და ეს უფლებები მხოლოდ იმიტომ აქვს ადამიანს რომ ის ადამიანია“. ზოგიერთ უფლებას (ღირსება, სიცოცხლის უფლება) ჯერ კიდევ დედის წიაღში გაჩენილი ნაყოფი ფლობს, სხვები კი დაბადებისთანავე წარმოიშობიან. შესაბამისად, ამ ე.წ. „წინარე სახელმწიფოებრივ“ უფლებებს ვერც სახელმწიფო და ვერც რაიმე სხვა სოციალური, ტერიტორიული წარმონაქმნი ვერ მიაწიჭებს და, მით უმეტეს, ვერ ჩამოართმევს ადამიანს“. „არსში“ იგულისხმება სახელმწიფოს მბოჭავი

---

<sup>315</sup> იზორია, ლ., კორკელია, კ., კუბლაშვილი, კ., ხუბუა, გ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2005წ. გვ:5.



სამართლებრივი ძალა, რომლითაც ძირითადი უფლება აიძულებს სახელმწიფოს ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას“.<sup>316</sup>

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც აღვნიშნეთ, შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებთან. საქართველო არის წევრი როგორც „საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომლის მეოთხე მუხლი რთავს ნებას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გადაუხვიონ ადამიანის უფლებებიდან საგანგებო მდგომარეობის დროს,<sup>317</sup> საქართველო ასევე არის წევრი და რატიფიცირებული აქვს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“, რომლის მე-15 მუხლი ასევე რთავს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლებას გადაუხვიონ ადამიანის ძირითადი უფლებებიდან საგანგებო მდგომარეობის დროს.<sup>318</sup> ძალიან საინტერესოა ყურადღება მივაქციოთ ტერმინ გადახვევას (Derogation), რამეთუ ერთიანობაში უნდა განვიხილოთ ამ ტერმინის მნიშვნელობა და მისი კავშირი საქართველოს კონსტიტუციაში „შეზღუდვისა“ და „შეჩერების“ მექანიზმთან. თუ ჩვენ გადავხედავთ „საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, მე-4 მუხლის 1 პუნქტი მიუთითებს, რომ „პაქტის მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, იმდენად რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, იმ პირობით, რომ ის შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლის სხვა ვალდებულებებთან და არ იქნება დისკრიმინაციული, კანის ფერის, რასის, სქესის, ენის, რელიგიის და სოციალური წარმოშობის საფუძველზე“.<sup>319</sup> ამ მე-4 მუხლის გარდა, რომელიც კონკრეტულად საგანგებო დებულებებს შეეხება, პაქტი

---

<sup>316</sup> კუბლაშვილი, ვ. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა. 2020 წლის ივლისი. N14. გვ:91 [shorturl.at/dfkY8](https://shorturl.at/dfkY8) [30.05.2022].

<sup>317</sup> საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 16/12/1966, [shorturl.at/FM237](https://shorturl.at/FM237) [30.05.2022].

<sup>318</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 04/11/1950, მუხლი 15. [shorturl.at/lnIOY](https://shorturl.at/lnIOY) [30.05.2022].

<sup>319</sup> საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 16/12/1966, [shorturl.at/FM237](https://shorturl.at/FM237) [30.05.2022].

ითვალისწინებს შეზღუდვას ადამიანის უფლებების კანონის საფუძველზე და დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. მზგავსი ფორმულირება გვაქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაშიც. არსად არ გხვდება სიტყვა შეჩერება, რამეთუ ორივე დოკუმენტში ცალსახათ გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა არსი და მისი ბუნება. „საქმეში ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ევროპის კომისიამ პროპორციულობის პრინციპთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს საგანგებო მდგომარეობის არსებობას, რათა გაამართლოს ნებისმიერი ღონისძიების გატარება. კომისიამ მიუთითა, რომ სახელმწიფომ კონკრეტულად უნდა დაუკავშიროს გასატარებელი ღონისძიება შექმნილ მდგომარეობას“.<sup>320</sup> „პროპორციულობა თავის მხრივ გულისხმობს იმას, არის თუ არა საშუალება (კანონი), რომლითაც სახელმწიფო ზღუდავს ძირითად უფლებას, შეზღუდვის მიზნის პროპორციული, თანაზომიერი“.<sup>321</sup> თავისთავად პროპორციულობის ტესტი და მისი მოთხოვნა მიუთითებს არა ადამიანის უფლებების „შეჩერებაზე“ არამედ მხოლოდ „შეზღუდვაზე“, წინააღმდეგ შემთხვევაში პროპორციულობის მოთხოვნა აზრს დაკარგავდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 2001 წლის 31 აგვისტოს ზოგად კომენტარებში აღნიშნავს, რომ პაქტის მე-4 მუხლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პაქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.<sup>322</sup> ამავე კომენტარებში მიუთითებს, რომ საგანგებო

---

<sup>320</sup> კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. 2000წელი 3/4 კვარტალი. გვ:65

<sup>321</sup> კუბლაშვილი, კ. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, თბილისი 2017წ. გვ:64

<sup>322</sup> International covenant on civil and political rights. General comment no.29. 2001. pg:1. [shorturl.at/mw029](http://shorturl.at/mw029) [30.05.2022].

მდგომარეობის გამოცხადებისას სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ თავიანთი კონსტიტუციური და კანონის სხვა დებულებების შესაბამისად, ასევე ხაზი გაესვა პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობას.<sup>323</sup> კომისიამ ასევე აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ „საგანგებო სიტუაციის დროს ზოგიერთი უფლება შეიძლება დაექვემდებაროს მკაცრ შეზღუდვას, ასეთმა შეზღუდვებმა არ უნდა გაანადგუროს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი უფლებების არსი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ყოველთვის უნდა არსებობდეს უწყვეტობა უფლების კანონიერად დაცული არსების მიმართ“.<sup>324</sup>

პაქტში დეროგაციის დებულებების შემოღება პირველად გაერთიანებული სამეფოს მიერ იყო შემოთავაზებული, რომელიც ითხოვდა ომის დროს კონვენციის დებულებების ღიად შეჩერებას. ამერიკა წინააღმდეგი იყო დეროგაციის დებულებების, ის მხარს უჭერდა ზოგადი შეზღუდვის პუნქტებს. სსრკ კი მომხრე იყო უმცირესი შეზღუდვის. საფრანგეთმა 1949 წელს, მეხუთე სესიაზე გამოთქვა მოსაზრება, რომ გარკვეული უფლებები არ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას არავითარ პირობებში და რომ პაქტიდან გადახვევა უნდა მოხდეს გამონაკლის შემთხვევებში და გამორჩეულად საჯაროდ. ამავდროულად ძალიან დიდი კამათი მიმდინარეობდა ტერმინის შერჩევასთან დაკავშირებით. თავდაპირველი ვერსია საჯარო საგანგებო მდგომარეობა ძალიან ნეიტრალური ტერმინი იყო და ძნელი იყო იმის დადგენა თუ რა შემთხვევაში იქნებოდა ეს დასაშვები. ლიბანის თქმით „საჯარო საგანგებო მდგომარეობა“ იყო ძალიან ბუნდოვანი და შეიძლება გამოეწვია ძალიან დიდი ინტერპრეტაციები. ამერიკა და ფინეთიც ასევე იყვნენ ამ დებულების წინააღმდეგი. 1950 წელს მეექვსე სესიაზე დამკვიდრდა პრინციპი, რომელიც აკისრებდა პასუხისმგებლობას აღმასრულებელ ხელისუფლებას კონსტიტუციურ გარანტიებს შეზღუდვებზე. ბოლო არსებითი დისკუსია გაიმართა მერვე სესიაზე 1952 წელს, როდესაც გაერთიანებული ერების

---

<sup>323</sup> იქვე, გვ:1

<sup>324</sup> იქვე, გვ:1

წინადადებით პირველი პარაგრაფი დამკვიდრდა შემდეგი რედაქციით, „საგანგებო მდგომარეობა რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს“. საფრანგეთის წინადადებით გადაწყდა დაემატებინათ ოფიციალური გამოცხადების მოთხოვნა, რათა თავიდან აცილებულიყო თვითნებური ქმედება. დისკუსიებმა ჯანსაღი გავლენა მოახდინეს პიროვნების თეორიულ დაცვაზე საგანგებო სიტუაციებში, იმით, რომ სახელმწიფოთა მოქმედების თავისუფლება ადამიანის უფლებათა სფეროში შეიზღუდა:

- განსაკუთრებული საფრთხის პრინციპით
- ოფიციალური გამოცხადების პრინციპით
- გარკვეული უფლებების შეუზღუდავობის პრინციპით
- მკაცრი აუცილებლობის პრინციპით
- სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან თავსებადობის პრინციპით
- არადისკრიმინაციის პრინციპით
- საერთაშორისო შეტყობინების პრინციპით<sup>325</sup>

„ადამიანური უსაფრთხოების წლებმა რამაც გამოიწვია გლობალური კატაკლიზმები, აუცილებლობას აძლევდა შექმნელებს, არ მიეცათ თავისუფალი ხელი მთავრობებისთვის კრიზისული სიტუაციების მართვაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, დეროგაციის დებულებები ადგენს საგულდაგულოდ აწონილ ბალანსს, ერთის მხრივ სახელმწიფოს საჭიროებებსა და მეორე მხრივ, ცალკეულ პირთა უფლებას შორის, ჰქონდეთ მათი უფლებებისა და თავისუფლებების უმეტესი ნაწილი ეფექტიანად დაცული საგანგებო სიტუაციებში. გადახრის ინსტრუმენტი იყო მოქნილი სისტემა მთავრობების დასახმარებლად. გადახრის უფლება არ ნიშნავს, რომ დეროგირებულ სახელმწიფოებს აქვთ უფლება სურვილისამებრ იმოქმედონ. ეს არის უფლება, რომელიც შემოიფარგლება რამდენიმე პირობით, მათ შორის ერთ-ერთია გარკვეული უფლებების შეუზღუდავობის პრინციპი, მკაცრი აუცილებლობის და საერთაშორისო

---

<sup>325</sup> Derogations from legal obligations: A dilemma for the drafters. pg:8. [shorturl.at/boPW3](https://shorturl.at/boPW3) [30.05.2022].

შეტყობინების პრინციპი“.<sup>326</sup> ნომერ 29-ე ზოგად კომენტარებში 2001 წლის ივლისში, ადამიანის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ აუცილებელია კანონიერებისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნება იმ დროს, როცა ის ყველაზე მეტად საჭიროა. კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ ნებისმიერი გადახრის ზომის გამოყენების დროს უნდა მოხდეს შეზღუდვა იმ დოზით რასაც მოითხოვს სიტუაციის აუცილებლობა.<sup>327</sup>

მოკლედ თუ ჩვენ გადავხედავთ, როგორც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას“, ასევე „საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საუბრობს და მიუთითებს მხოლოდ უფლებათა შეზღუდვაზე, არსად არ არის გამოყენებული ტერმინი შეჩერება, რაც კიდევ ერთხელ გვაჩვენებს იმას, რომ როგორც პაქტი, ასევე კონვენცია შეუსაბამოდ მიიჩნევა ადამიანის უფლებათა არსის რაიმე ფორმით შეჩერებას ან მის დაკნინებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია გარკვეული უფლებების შეზღუდვის საფუძვლად აცხადებს კანონს თუკი ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. იგივე პირობებია მოცემული ჩვენს კონსტიტუციაში. აქვე ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ კონსტიტუციის და კანონის მთავარი მიზანი უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი, არ შეიძლება არსებობდეს ის საერთო მიზანი, რომელიც თანხვედრაში არ იქნება კერძო ინტერესებთან. აქ დაპირისპირება გამორიცხებულია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საზოგადოება ეს არის ყველა ინდივიდის ჯამი ერთად აღებული. ამიტომ, საზოგადოების ინტერესების დაცვის მოტივით, ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების შეჩერება წინააღმდეგობრივია საერთოდ ადამიანის

---

<sup>326</sup> Derogations from legal obligations: A dilemma for the drafters. pg:7 [shorturl.at/boPW3](http://shorturl.at/boPW3) [30.05.2022].

<sup>327</sup> International covenant on civil and political rights. General comment no.29. 2001. pg:1. [shorturl.at/isyE6](http://shorturl.at/isyE6) [30.05.2022].

უფლებათა არსთან. ეს მიდგომა კიდევ ერთხელ ხაზს უსმევს საერთოდ ადამიანის უფლებათა შეჩერების მექანიზმის შეუსაბამობასა და უმართლობას ადამიანის უფლებათა არსთან და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან.

ის მუხლები, რომელიც მუხლების შეჩერების უფლებაც აქვს პრეზიდენტს, ესენია მე-13(2,6), 14(20), მე-15(2), მე-17(3,5,6), 18(2), 19(3) მუხლები.<sup>328</sup> ამ მუხლების შეზღუდვას ისედაც ითვალისწინებს კონსტიტუცია კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად. ამ შემთხვევაში რჩება განცდა, რომ შეჩერება ემთხვევა შეზღუდვას, მაგრამ საფუძველშივე ეს მიდგომა მცდარია, რამეთუ ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა არსს, „შეჩერება“ კი ადამიანის უფლებათა სრულ გაუქმებას ნიშნავს. ემილი ჰაფნერ-ბარტონმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა „დეროგაციები განმარტა, როგორც რაციონალური პასუხი გაურკვევლობაზე, რომელიც მთავრობებს საშუალებას აძლევს, იყიდონ დრო და ლეგალური სუნთქვის სივრცე ამომრჩევლებისგან, სასამართლოებისგან და ინტერესთა ჯგუფებისგან, რათა ებრძოლონ კრიზისებს სამოქალაქო და პოლიტიკური მიზნების დროებითი შეზღუდვით“.<sup>329</sup> ჯერალდ ნეუმანმა, საერთაშორისო სამართლის პროფესორმა განმარტა, რომ დეროგაციის პუნქტები არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს, პირიქით, შეიძლება ხელიც კი შეუწყოს მათ ეფექტურ დაცვას.<sup>330</sup>

ევროპული კომისიის აზრით ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ გადაუდებელ სიტუაციებში 2006 წლის 4 აპრილის დასკვნით ნაწილში

<sup>328</sup> საქართველოს კონსტიტუცია. [shorturl.at/cpwJX](https://shorturl.at/cpwJX) [30.05.2022].

<sup>329</sup> Lebet, A. COVID-19 pandemic and derogation to human rights. pg:3. [shorturl.at/bgwy6](https://shorturl.at/bgwy6) [30.05.2022].

<sup>330</sup> Ana Rita Gil. Derogation Clauses of International Human Rights Instruments: protecting rights at the maximum possible extent in times of crisis. pg:17 [shorturl.at/fjvEW](https://shorturl.at/fjvEW) [30.05.2022].

აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა და გადახრები უნდა იყოს რეგულირებული კანონით და სასურველია ჰქონდეს საფუძველი კონსტიტუციაში. ეს წარმოადგენს სასიცოცხლო გარანტიას დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნების“.<sup>331</sup> ვენეციის კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ბალანსი უნდა მოიძებნოს ეროვნულ უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს შორის. საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსება, სამართლიანობისა და პროპორციულობის შეფასება უნდა განისაზღვროს კონკრეტული სიტუაციისა და გარემოებების მიხედვით. თუმცა, დასკვნა ის არის, რომ შესაბამისი უფლება ან თავისუფლება შეიძლება არ შეიზღუდოს თავისი არსით“.<sup>266</sup>

რაც შეეხება ადამიანის ძირითადი უფლებების არსთან დაკავშირებულ საკითხს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად, თანაზომიერების პრინციპის დაცვით, ისე, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებათა არსი. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის ძირითად უფლებათა მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“.<sup>332</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ განმარტავს, რომ „მე-7 მუხლში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დანიშნულებაზე, არსზე-ისინი წარმოადგენენ წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ეს უფლებები ადამიანის თანმდევა და გააჩნია იმიტომ, რომ ის ადამიანია. მათ გარეშე ადამიანი ვერ იქნება სახელმწიფოს არსებობის მიზანი. სახელმწიფოს არ შეუძლია მიაწიოს ან წაართვას

---

<sup>331</sup> European Commission for democracy through law(venice commission) opinion on the protection of human rights in emergency, strasbourg.2006 april 4. pg:13 shorturl.at/egmS6 [30.05.2022].

<sup>332</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება. (საქმე N 2/11/747) shorturl.at/bipvP [30.05.2022].

ძირითადი უფლებები, რადგან ის არ არის უფლებამოსილი, შეცვალოს ადამიანის არსი”.<sup>333</sup> საკონსტიტუციო სასამართლო იქვე განმარტავს, რომ „ძირითადი უფლებების თაობაზე არსებობს საერთაშორისო, საყოველთაო თანხმობა, რომ ისინი ყოველი ადამიანის წარუვალი და უზენაესი ღირებულებებია. ბუნებრივია, თავისთავად ეს არ ნიშნავს, რომ ყველა უფლება ყველა ადამიანს შეუზღუდავად აქვს. ამა თუ იმ ნიშნით დიფერენცირება და უფლებათა შეზღუდვა, მათ შორის პირთა წრის მიხედვით, შესაძლებელია, მაგრამ იმ ზღვრამდე, სანამ ეს თავად უფლებას არ დაუკარგავს არსს“.<sup>268</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულიად განხორცილებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც.“<sup>334</sup> რაც შეეხება ნორმის შეჩერების საკითხს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, მოცემული საკითხი განსახილველად გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, რომელსაც შეუძლია განმწესრიგებელ სხდომაზე პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით, შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.“<sup>335</sup> საკონსტიტუციო

---

<sup>333</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება. (საქმე N1/466). [shorturl.at/puwGZ](http://shorturl.at/puwGZ) [30.05.2022].

<sup>334</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება. (საქმე N1/3/407). [shorturl.at/EHNQ2](http://shorturl.at/EHNQ2) [30.05.2022].

<sup>335</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – გიორგი პაპუაშვილის, კონსტანტინე ვარძელაშვილის, ქეთევან ერემადის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის



სასამართლო განმარტავს, რომ „ამ ორგანული კანონით ნორმის შეჩერება უზრუნველყოფს უფლებების ან საჯარო ინტერესის პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი“.<sup>270</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“.<sup>270</sup> როგორც დავინახეთ ამ მექანიზმის არსებობის საფუძველი ისევ ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვაა და არა მისი საერთოდ გაუქმება ან თუნდაც შეჩერება. რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოს ადამიანის ძირითად უფლებათა შესახებ, ის ამ საკითხებზე ვერ იმსჯელებდა რამეთუ, ამ საკითხების განხილვა მისი პრეროგატივა არაა. სახელმწიფოებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ შეზღუდვის საფუძვლები, საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გატარებული ღონისძიებების შესაბამისობაზე იმსჯელოს და გატარებული ღონისძიებების კანონიერებაზე ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებები „სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობს, მისი წყარო არ არის სახელმწიფო, კანონმდებლობა ან საზოგადოება. ეს უფლებები თანდაყოლილია. ისინი ჩვენ სწორედ იმიტომ გვეკუთვნის, რომ ადამიანებად დავიბადეთ. აქედან გამომდინარე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დაფიქსირებულია თუ არა ეს უფლებები კონსტიტუციაში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ჩვენი კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მაღლა დგას. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. ამ უფლებათა და თავისუფლებათა

---

2016 წლის 17 ივნისის №3/4/768, 769 საოქმო ჩანაწერზე. [shorturl.at/goAJK](http://shorturl.at/goAJK)  
[30.05.2022]

შეზღუდვა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით“.<sup>336</sup> სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმის მთავარი მიზანი, როგორც უკვე აღინიშნა, პირის უფლების გამოუსწორებელი დარღვევის საფრთხის პრევენციაა. „აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ არსებული კანონმდებლობა უფლების დაცვის პრევენციული საშუალების მხოლოდ ერთადერთ სახეს-ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმს ითვალისწინებს. ამ მხრივ, სხვა ქვეყნების კანონმდებლობები, რიგ შემთხვევებში, მეტი მოქნილობით ხასიათდებიან, მაგალითად, „საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებისა და ფუნქციონირების შესახებ“ ალბანეთის რესპუბლიკის კანონის 59-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაჩეროს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობა მანამ, სანამ საქმეზე მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. „ბოსნია და ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ რეგლამენტის“ 64-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლოა, მიიღოს ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს მხარეების ინტერესებისთვის ან საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის შესაბამისი ფუნქციონირებისათვის. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 32-ე მუხლი ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, გამოიყენოს დროებითი ღონისძიება იმ შემთხვევაში, თუკი ეს „აუცილებელია სერიოზული ზიანის თავიდან ასაცილებლად, გარდაუვალი საფრთხის მოსაგერიებლად ან, თუკი არსებობს სხვა სერიოზული მიზეზი საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასაცავად“. დროებითი ღონისძიება გაგებულია აგრეთვე როგორც სასამართლოს უფლება, შეაჩეროს კანონის

---

<sup>336</sup> ადამიანის უფლებები. ეციკლოპედიური ლექციკონი. [shorturl.at/agC28](http://shorturl.at/agC28) [30.05.2022].

ძალაში შესვლა“.<sup>337</sup> საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ აღნიშნავს, რომ „მაშინაც კი როდესაც არსებობს ლეგიტიმური საჯარო მიზანი სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნაა განხორციელებული ჩარევა იყოს შესაბამისი თანაზომიერების პრინციპთან, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს და მისი ძირითადი დატვირთვა არის ადამიანის უფლებების შეზღუდვისას სახელმწიფოსთვის ფარგლების განსაზღვრა. ის უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. თანაზომიერების პრინციპი დგინდება, დასაშვებობის, აუცილებლობის და პროპორციულობის ელემენტების არსებობით. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ კუმულაციურ ელემენტებს ერთმანეთის მიმართ სუბსიდიური დამოკიდებულება გაჩნიათ, ერთ-ერთი მათგანის დარღვევა ზოგადად თანაზომიერების პრინციპის დარღვევას გულისხმობს. სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია უფლების იმაზე მეტად შეზღუდვა, რაც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და დაუშვებელია შეზღუდვა, რომელიც ამ აღნიშნულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს“.<sup>338</sup> ადამიანის ძირითადი უფლების არსი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს აღნიშნავს გერმანიის

---

<sup>337</sup> ბარამაშვილი, თ., მაჭარაშვილი, ლ. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. გვ:91 [shorturl.at/vGR16](http://shorturl.at/vGR16) [30.05.2022].

<sup>338</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება. (საქმე N577) [shorturl.at/uCEQ4](http://shorturl.at/uCEQ4) [30.05.2022].

კონსტიტუცია 19-ე მუხლის მე-2 ნაწილი,<sup>339</sup> მზგავსი განმარტება გზვდება შვეიცარიის კონსტიტუციაში, რომლის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილი ძირითადი უფლების არსს ხელშეუხებლად აცხადებს,<sup>340</sup> პორტუგალიის კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი მიხედვით „უფლებების, თავისუფლებისა და მათი გარანტიების შემზღუდველი კანონები უნდა ატარებდეს აბსტრაქტულ და საყოველთაო ხასიათს და არ უნდა ჰქონდეს უკუქცევითი ძალა; ამასთან დაცული უნდა იყოს კონსტიტუციური დებულებების მოცულობა და არსი“.<sup>341</sup> ასევე, პოლონეთის კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი აღნიშნავს, რომ „კონსტიტუციური თავისუფლებებითა და უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა შესაძლებელია დადგენილ იქნეს მხოლოდ კანონით და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის, ან გარემოს, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მორალის ან კიდევ სხვა პირთა თავისუფლებებისა და უფლებების დასაცავად. ამ შეზღუდვებმა არ შეიძლება დაარღვიონ თავისუფლებებისა და უფლებების არსი“,<sup>342</sup> ესტონეთის კონსტიტუციის მე-11 მუხლი აღნიშნავს, რომ „უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად. ეს შეზღუდვები აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული

---

<sup>339</sup>გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი: კავშირი „იურისტების სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. 2006წ. გვ:73

<sup>340</sup>გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი I. „თბილისელები“. თბილისი: კავშირი „იურისტების სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. 2008წ. გვ:563

<sup>341</sup>გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი V. „თბილისელები“. თბილისი: კავშირი „იურისტების სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. 2007წ. გვ:624.

<sup>342</sup> გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი II. „თბილისელები“. თბილისი: კავშირი „იურისტების სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. 2005წ. გვ:619.

საზოდაგოებისთვის და არ უნდა იწვევდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსის დამახინჯებას“.<sup>343</sup>

#### დასკვნა

როგორც დავინახეთ ადამიანის უფლებათა „შეზღუდვა“ საგანგებო მდგომარეობის დროს სრულად პასუხობს იმ საჭიროებებს და მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია შექმნილი მდგომარეობის სწრაფი აღმოფხვრისთვის. კანონის ეს მოთხოვნა სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და კონსტიტუციურ წესრიგთან, თუმცა „შეზღუდვაც“ უნდა იყოს მიზნის პროპორციული, საჭირო და აუცილებელი. „შეზღუდვამ“ არ უნდა დაამახინჯოს ადამიანის უფლებათა არსი. რაც შეეხება ტერმინ „შეჩერება“, ის ცალსახათ არაკონსტიტუციურია, რამეთუ ის ადამიანის უფლების სრულ გაუქმებას ნიშნავს. ადამიანის უფლებების ჩამორთმევა ან გაუქმება სრულიად წარმოუდგენელია, რამეთუ ადამიანს ეს უფლებები აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია, სახელმწიფო არ ანიჭებს მას, სახელმწიფო მხოლოდ ცნობს და აღიარებს ადამიანის უფლებებს. ადამიანის უფლების გაუქმება შეუძლებელია, რამეთუ ის ცალსახად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებლებათა არსს, არსი კი გულისხმობს სახელმწიფოს ბოჭვას ადამიანის უფლებებით. აუცილებელია ასევე ორივე შემთხვევაში, როგორც ადამიანის უფლებათა „შეჩერების“ ასევე „შეზღუდვის“ შემთხვევაში პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შევიდეს პარლამენტის თანამონაწილეობით.

---

<sup>343</sup> გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი: კავშირი „იურისტების სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“. 2006წ. გვ:244.

## დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რამეთუ ამ დროს ხდება ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა, დადგენილი კონსტიტუციური წესრიგის ცვლილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის, გარდა ამისა იზრდება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება, რაც ადამიანის ძირითად უფლებებში საჭიროზე მეტად ჩარევის საფუძველი შეიძლება გახდეს. მისი მნიშვნელობისა და აქტუალობიდან გამომდინარე ნაშრომში მოცემული საკითხების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი დასკვნითი დებულებები და გაიცა რეკომენდაციები:

- საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, მისი მე-15 მუხლი ითვალისწინებს შეტყობინების ვალდებულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო პაქტის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მე-4(3) მუხლის მოთხოვნიდან. ასეთივე შეტყობინების ვალდებულება საქართველოს აკისრია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-15(3) მუხლის შესაბამისად ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი, ამიტომ საჭიროა საქართველოს კანონში „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ გაკეთდეს ჩანაწერი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შეტყობინების ვალდებულების შესახებ.
- საგანგებო მდგომარეობის დროს აუცილებელია ეფექტური საპარლამენტო და სასამართლო კონტროლი. პარლამენტის როლი მხოლოდ გამოცხადებაში თანამონაწილეობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მკაფიოდ უნდა იყო ფორმულირებული და

განსაზღვრული პარლამენტის როლი საგანგებო მდგომარეობის დროს. აუცილებელია განისაზღვროს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მინიმალური და მაქსიმალური ვადები, ეს მოთხოვნა განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ ასეთი მოწესრიგების შემთხვევაში პარლამენტს საშუალება ექნება პერიოდულობით გადაამოწმოს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის კანონიერებისა და მისი ვადების გაგრძელების აუცილებლობა. გარდა ამისა, მინიმალური და მაქსიმალური ვადების მითითება მიიჩნევა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ კონტროლის მძლავრ მექანიზმად. ეს მოთხოვნები სრულად შეესაბამება საპარლამენტო რესპუბლიკისათვის წყენებულ სტანდარტებს, მაშინ როდესაც თავად პარლამენტია ქვეყნის საშინაო და საგარეო პულიტიკის განმსაზღვრელი. მაქსიმალური და მინიმალური ვადების მითითებები ხშირად გვხვდება სხვა ქვეყნის კონსტიტუციებში, ასევე მსგავს რეკომენდაციას იძლევა ვენეციის კომისიაც. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, მისი როლი და მნიშვნელობა საგანგებო მდგომარეობის დროს მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, საუბარია სასამართლოს მხრიდან მთავრობის გადაწყვეტილებების სასამართლო კონტროლზე, რაც გულისხმობს ეფექტიან სასამართლო კონტროლს რაც შეიძლება მოკლე ვადებში, ვიდრე ამოიწურება იზოლაციის (კარანტინი და თვითიზოლაცია) ვადა და ასევე კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ უნდა ითვალისწინებდეს გასაჩივრების უფლებასაც. კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში მოხდა საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის (საპროცესო უფლებები) შეზღუდვა, რასაც არ ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და არც ევროპული კონვენცია, ამიტომ საგანგებო მდგომარეობის დროს

კონსტიტუციური დებულებები საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით მკაცრად უნდა იყოს დაცული.

- საქართველოს კონსტიტუცია არ იძლევა მკვეთრ დეფინიციას საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის განსხვავებების შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში, შესაბამისად დაუზუსტებელია თუ რა იგულისხმება თავდასხმაში, სხვა ქვეყნის თავდახმა, თუ ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე განხორციელებული თავდასხმა შეიარაღებული ჯგუფების მიერ. მკვეთრი დეფინიცია აუცილებელია, რამეთუ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს მკვეთრად იცვლება ხელისუფლების შტოთა უფლებამოსილებები. საომარი მდგომარეობის დროს პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს პარლამენტის თანხმობის გარეშე გამოიყენოს თავდაცვის ძალები, მაშინ როდესაც საგანგებო მდგომარეობის დროს მის გამოყენებას ჭირდება პარლამენტის თანხმობა. საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საომარი მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლად აცხადებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, მაშინ როდესაც საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ იგივე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას მიიჩნევს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლად, ამიტომ, აუცილებელია საქართველოს კანონში საგანგებო მდგომარეობის შესახებ მოხდეს ამ საკითხების დაზუსტება.
- აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს კონსტიტუციაში ის მუხლები რომელთა შეზღუდვაც და შეჩერებაც დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის დროს, ეს მოთხოვნა გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან და უნდა აკმაყოფილებდეს კანონისადმი წაყენებულ განსაზღვრულობისა



და განჭვრეტადობის პრინციპს. მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე ვენეციის კომისიაც. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა, თუ მათი რა უფლები იზღუდება საგანგებო მდგომარეობის დროს და რომელი უფლებები არა.

- საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა „შეჩერების“ ნორმა ცალსახად არაკონსტიტუციურია და უნდა გაუქმდეს, რადგან ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა არსს და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს. მოგეხსენებათ, რომ ადამიანის უფლებათა „შეჩერება“ დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დაირღვევა, რომლის მთავარი არსი სახელმწიფო ხელისუფლების ადამიანის უფლებებით ბოჭვაში მდგომარეობს. ადამიანის უფლებების საფუძველი ბუნებითი უფლებებია და სახელმწიფო მხოლოდ ცნობს და აღიარებს მას. თუკი კონსტიტუციაში დარჩება შეჩერების კონსტიტუციური ნორმა, სასურველია, იქ ჩანაწერი გაკეთდეს ადამიანის უფლებათა შეჩერებაზე ისე, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებათა არსი. რაც შეეხება „შეზღუდვას“ ის სრულად პასუხობს კანონის მოთხოვნებს და საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს, თუმცა, რა თქმა უნდა, შეზღუდვაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. საქართველოს მხოლოდ მოქმედ კონსტიტუციაში გხვდება შეჩერების ნორმა მაშინ, როდესაც კონსტიტუციის სხვა რედაქციებში ჩვენ არ გხვდება შეჩერების კონსტიტუციური ნორმა. გაუგებარია რატომ ვერ აკმაყოფილებდა შეზღუდვის ან დროებითი შეჩერების მექანიზმი საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის სტანდარტს და რატომ გახდა აუცილებელი „შეჩერების“ მექანიზმის შემოტანა.

- სასურველია ადამიანის უფლებათა „შეზღუდვის“ და „შეჩერების“ შემთხვევაში გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს პარლამენტის უშუალო თანხმობით, რამეთუ ორივე შემთხვევა ადამიანის უფლებებში უხეშ ჩარევას წარმოადგენს. ამ საკითხის მოწესრიგება თავად კანონის მოთხოვნიდან გამომდინარეობს კერძოდ: ერთის მხრივ, საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-7(ბ) მუხლი საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში საქართველოს ორგანული კანონი და პრეზიდენტის დეკრეტი თანაბარი რანგისაა. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი კი საქართველოს ორგანულ კანონს მიღებულად აცხადებს თუ მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი. ამ საკითხის მსგავსი მოწესრიგებით დაცული იქნება საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები.
- მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, როგორც პრემიერ-მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანო, ხოლო ეროვნულმა უშიშროების საბჭომ, როგორც პრეზიდენტთან არსებულმა სათათბირო ორგანომ არსებობა შეწყვიტა, მის ნაცვლად კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს ეროვნული თავდაცვის საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც არ წარმოადგენს პრეზიდენტთან არსებულ მუდმივმოქმედ ორგანოს, არამედ ის იქმნება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ და მოქმედებს მის გაუქმებამდე. სასურველი იქნება თუკი ეროვნული თავდაცვის საბჭო შეიკრიბება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროსაც, რამეთუ ის უფრო მეტად უპასუხებს ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების სწრაფ მოგვარებას და

არსებული რესურსების სათანადო გამოყენებას. ეროვნული თავდაცვის საბჭოს ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის დროს ლოგიკურია, მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, როგორც საგანგებო, ასევე საომარი მდგომარეობის გამოცხადების პროცესში თანაბრად მონაწილეობს. გარდა ამისა, რადგან საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის მკვეთრი სხვაობა არ არსებობს, ქვეყნის თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მის სუვერენიტეტს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას საფრთხე შეიძლება შეუქმნას, როგორც შეიარაღებულმა ამბოხებამ, ასევე სამხედრო გადატრიალებამ, რომლის დროსაც ცხადდება საგანგებო მდგომარეობა. გამომდინარე იქიდან, რომ აგრესიული ომი, როგორც პოლიტიკის საშუალება უარყოფილია, ქვეყნების უმეტესობა იტოვებს უფლებას, ჰქონდეთ სათანადო რეაქცია ნებისმიერ აგრესიაზე, ამიტომ ქვეყნების გარკვეული უმეტესობა საომარი მდგომარეობის გამოცხადებას ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვა ქვეყნის თავდასხმის, არამედ ქვეყნის შიგნით შეიარაღებული თავდასხმის დროსაც. ლატვიის კონსტიტუცია ითვალისწინებს საომარი მდგომარეობის გამოცხადებას, როგორც გარეშე მტრის საფრთხის, ასევე შიდა ამბოხების დროს. საბერძნეთის კონსტიტუცია, როგორც სხვა ქვეყნის თავდასხმის, ასევე დემოკრატიული წესწყობილების დასამხობად შეიარაღებული ამბოხების შემთხვევაში. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ საგანგებო და საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებული დებულებები კონსტიტუციის მერვე თავშია მოცემული, რომელიც შეეხება ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებას.

- აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს დაზუსტდეს თუ როდის შეიკრიბება პარლამენტი, რამეთუ ცნება

„დაუყოვნებლივ“ ბუნდოვანია, მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქცია ითვალისწინებდა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს პარლამენტის შეკრებას 48 საათში. ეს მოთხოვნა ლოგიკურია, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის შესახებ პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა განსახორციელებელ პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე, კანონმა უნდა დააკმაყოფილოს განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპიც.

- კოვიდ-19-ის პანდემიის მართვა უნდა წარმართულიყო საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, მაგრამ ეს კანონი ვერ აკმაყოფილებს ეპიდემიისა და პანდემიის დროს ეფექტური მართვის მოთხოვნებს, ეს კანონი უფრო მეტად შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, საგანგებო მდგომარეობის სახეებს ზოგადად ჩამოთვლის. დეტალურად ასევე ეს კანონი არ ითვალისწინებს კონკრეტულ გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს, ასევე საუბარი არ არის ადამიანის უფლებათა შეზღუდვებზე, რომლის შეზღუდვის აუცილებლობა ყოველთვის დგება მსგავს სიტუაციებში, ამიტომ სასურველია მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა. სწორედ ამით იყო ალბათ განპირობებული ის ფაქტი, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს საქართველოს პრეზიდენტი 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტში არ დაეყრდნო ამ კანონს, არამედ საქართველოს კანონს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ მისი 12(1) მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის

განსაკუთრებით საშიში ეპიდემია და პანდემია განეკუთვნება საგანგებო სიტუაციას, რომლის მართვაც ხორციელდება საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“.

- ცვლილების შეტანა ასევე აუცილებელია საქართველოს კანონში „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“. ეს კანონი 1997 წელს იქნა მიღებული, რის შემდეგაც მას ცვლილება არ განუცდია. კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო რითაც უნდა წარმართული საგანგებო მდგომარეობა უნდა ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, თუმცა ამ კანონის გამოყენება თითქმის არ მომხდარა. ეს კანონი ანიჭებს აღმასრულებელ ხელისუფლებას გარკვეული შეზღუდვების დაწესების უფლებას გადაადგილების თავისუფლებაზე, შეკრების უფლებასა და გაფიცვის უფლებაზე, ასევე მას ეძლევა კომენდანტის საათის შემოღების უფლება. მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რამეთუ, ამ უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილება კონსტიტუციით მინიჭებული აქვს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, ამიტომ ეს ჩანაწერი უნდა გაუქმდეს. სწორედ გაუმართავმა საკანონმდებლო ბაზის არსებობამ, საგანგებო მდგომარეობისათვის არასაკმარისად განსაზღვრულმა და არამკაფიო, კონკრეტული რეგულაციების არარსებობამ განაპირობა პრეზიდენტის მხრიდან მთავრობაზე უფლებამოსილებათა ფართო დელეგირება და მთავრობის მხრიდან მისი ჭარბად გამოყენება კოვიდ-19-ის პანდემიის დროს.
- რათა არ მოხდეს ადამიანის ძირითადი უფლებების მაღალი სტანდარტით შეზღუდვა აუცილებელია მკვეთრი დეფინიცია და საზღვრების გავლება, ერთის მხრივ, საქართველოს კანონს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ და მეორეს მხრივ,

საქართველოს კანონს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ შორის, რადგან ორივე კანონი ითვალისწინებს პანდემიური და ეპიდემიური სიტუაციების მართვას. მართალია, საქართველოს კანონს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ ცალსახად მიუთითებს, რომ ის საგანგებო სიტუაციას განეკუთვნება, მაგრამ გაუგებარია სად გადის ზღვარი საგანგებო სიტუაციასა და საგანგებო მდგომარეობას შორის. გარდა ამისა, კანონმა უნდა დააკმაყოფილოს განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპი.

- მნიშვნელოვანია კანონით განისაზღვროს უფლებამოსილების დელეგირების საზღვრები პრეზიდენტის მხრიდან მთავრობაზე, რათა თვითნებურ ჩარევას ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის უფლებებში. მოგეხსენებათ, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დროს უჩვეულოდ ფართო უფლებამოსილების დელეგირება მოხდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მათ მიეცათ უფლება ადამიანის უფლებების კანონისაგან განსხვავებული წესით მოწესრიგების. მსგავს მოწესრიგებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ცალსახად პრეზიდენტის პრეროგატივაა. კონსტიტუციური დებულებები საგანგებო მდგომარეობის დროს სათანადოდ უნდა იყოს დაცული.
- კანონით უნდა განისაზღვროს, როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადამინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების დაკისრება, აუცილებელია მოხდეს საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინება, რათა გატარებული ღონისძიებები არ იყოს არაპროპორციული და არ არღვევდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე კოვიდ-19-ის პანდემიის დროს

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე მოხდა, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება ფიზიკური პირებისთვის 3000 ათასი ლარის, ხოლო იურიდიული პირებისთვის 15000 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში ფიზიკური პირებისთვის თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით, ხოლო იურიდიული პირებისთვის ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია. მსგავს მოწესრიგებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომის დაწესებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ასევე საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-8 (ბ და ი) მუხლით საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება, როგორც ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, ასევე სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა, შესაბამისად ცხადი ხდება, რომ პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე ადამინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამ საკითხთან დაკავშირებით არის მოსაზრება, რომ დაწესებული ჯარიმები იყო არაპროპორციული, რომელსაც არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჯარიმები ჩადენილი დანაშაულის

სიმძიმეს უნდა შეესაბამებოდეს. ჯარიმების ოდენობის შეფასებისას კი გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდუალური გარემოებები.

- ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონით „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ მოხდეს განათლების უფლების შეზღუდვა და მისი შეზღუდვის ობიექტის, შინაარსის და ფარგლების განსაზღვრა, ამ უფლების შეზღუდვის აუცილებლობა დადასტურდა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტით მოხდა საქართველოს კონსტიტუციის 27 (განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება) მუხლის შეზღუდვა, ამ უფლების შეზღუდვის უფლებამოსილებას არ ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუცია, ამიტომ კონსტიტუციური დებულებები სათანადოდ უნდა იყოს დაცული საგანგებო მდგომარეობის დროს. პრეზიდენტის მხრიდან ამ უფლების შეზღუდვა ვერ იქნება ცალსახად ლეგიტიმური.



### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ალექსიძე, ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. 2015წ.
- 2) გეფერიძე, დ., ხაზალია, ა. თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2020წ.
- 3) გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი II. „თბილისელები“. თბილისი 2006წ.
- 4) გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი I. „თბილისელები“. თბილისი 2006წ.
- 5) გონაშვილი, ვ. კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი III. „თბილისელები“. თბილისი 2006წ.
- 6) გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩილაძე, გ., ჭილაძე, ნ. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2016წ.
- 7) გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩილაძე, გ., ჭილაძე ნ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გამომცემლობა „მერედიანი“. თბილისი 2017 წ.
- 8) დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2020 წელი.
- 9) ერემაძე, ქ. „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018წ.
- 10) ერიაშვილი, ნ.დ., გასანოვი, კ.კ., კუზნეცოვი, ი.ა., ნიკონოვი, დ.ა., კალამკარიანი, რ.ა., შალიაგინი, დ.დ. საერთაშორისო სამართალი.

სამართლიანი საქართველო. თბილისი. გამომცემლობა „იუნიტი დანა“. 2021წ.

11) იზორია, ლ. „თავისუფლება, პროცესი სამართლიანობისთვის“, თბილისი 2021 წელი.

12) იზორია, ლ., კორკელია, კ., კუბლაშვილი, კ., ხუბუა, გ. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2005 წელი.

13) კლინტონ როსიტერი „კონსტიტუციური დიქტატურა: სახელმწიფო კრიზისი თანამედროვე დემოკრატიებში“, 1948 წელი

14) კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. თბილისი 2019წ.

15) კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. 2000 3-4 კვარტალი.

16) კუბლაშვილი, კ. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, თბილისი. 2017 წელი.

17) ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2005წ.

18) ლობჯანიძე, გ. ადამიანის უფლებათა სამართალი. თბილისი 2005წ.

19) მელქაძე, ი. „კონსტიტუციონალიზმი“, გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2008წელი.

20) მონტესკიე, შ.ლ. „კანონთა გონი“, ფრანგულიდან თარგმნა დ.ლაბუჩიძემ. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1994 წელი.

21) საქართველო და საერთაშორისო სამართალი (სტატიათა კრებული), თბილისი 2001 წელი.

22) ფილიპ ლოვო „თანამედროვე დემოკრატიები“, ფრანგულიდან თარგმანი ბალავიძე, მ., ცეციტიშვილი, ნ., თბილისი 2002 წელი.

23) ფლორანს ბენუა რომელი და ჰაინრიხ კლებესი. „ევროპის საბჭოს სამართალი, ერთიანი პანევროპული სამართლის სივრცისკენ“, ეროპის საბჭოს გამომცემლობა 2019 წელი.

24) ფრედერიკ უიტკინსონი „კონსტიტუციური დიქტატურის პრობლემა“, 1940 წელი.

25) ხუბუა, გ. „სამართლის თეორია“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004 წელი.

26) ჰანს-პიტერ გასერი. „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“ თბილისი. 1999წ.

27) ჰერბერტ ტინგსტენი „სრული ძალაუფლება: ხელისუფლების ძალაუფლების ზრდა დიდი ომის დროს და მას შემდეგ“, 1934 წელი.

28) Dimitris xenos „The positive obligations of the state under the european Convention of human Rights“, 2017.

29) Amrei Muller „, Limitations to and Derogations from Economic, Social and Cultural Rights“, 2009.

#### ინტერნეტ რესურსები:

1) აქუბარდია, თ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: დაგეგმვა, კორდინაცია და პრაქტიკა. 2020წ. [shorturl.at/FG178](http://shorturl.at/FG178)

2) ბოხაშვილი, ბ., ხუციშვილი, ქ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი 2004წ. [shorturl.at/suxlQ](http://shorturl.at/suxlQ)

3) გულიაშვილი, ბ. ხელისუფლების დანაწილების პრინციპები და საკონსტიტუციო სასამართლო. სამართლის სამაგისტრო პროგრამა. თბილისი 2019წელი. [shorturl.at/eotDX](http://shorturl.at/eotDX)

4) დემეტრაშვილი, ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“. თბილისი 2005წ. [shorturl.at/irC34](http://shorturl.at/irC34)

5) დემეტრაშვილი, ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. გამომცემლობა ფონდი „ღია საზოგადოება“. თბილისი 2005წ. [shorturl.at/bhjkr](http://shorturl.at/bhjkr)

6) დემეტრაშვილი, ა. საქართველოს 1921 წლის 2 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან. ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან-საქართველოს 1921 კონსტიტუციის 90 წლისთავი. ბათუმი 2011წ. [shorturl.at/arvQ1](http://shorturl.at/arvQ1)

7) ევროპის კონსტიტუცია. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მიერ მიღებული კონსტიტუცია, ახსნა-განმარტებები მოქალაქეებისათვის. 2004წ. [shorturl.at/cijLR](http://shorturl.at/cijLR)

8) ევროპის საბჭოს წესდება 1949 წლის 5 მაისი. [shorturl.at/aksuV](http://shorturl.at/aksuV)

9) ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული. (2020 წლის 16 აპრილი). სტრასბურგი. [shorturl.at/rxZ57](http://shorturl.at/rxZ57)

10) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შესახებ. [shorturl.at/bdhS3](http://shorturl.at/bdhS3) [30.05.22]

11) ზოიძე, ბ., ხუციშვილი, ქ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თბილისი. 2004წ. [shorturl.at/aCZ37](http://shorturl.at/aCZ37)

12) თომაშვილი, თ. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. საქართველოს რეფორმების ასოციაცია-GRASS. 2014წ. [shorturl.at/agSX8](http://shorturl.at/agSX8)

13) კაკუბავა, გ. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. 2020წ. [shorturl.at/HLMX0](http://shorturl.at/HLMX0)

14) კანონის უზენაესობა, სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისთვის. 2012წ. [shorturl.at/hyFV5](http://shorturl.at/hyFV5)

15) კაპანაძე, მ. პანდემიასთან ბრძოლის მიზნით საქართველოში დაწესებული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურობა. ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია. სტატიათა კრებული. თბილისი. 2021წ. [shorturl.at/abcE4](http://shorturl.at/abcE4)

16) კველიშვილი, ე., ალექსანდრია, ნ., მუშკუდიანი, ნ. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. თბილისი 2005წ. [shorturl.at/hio23](http://shorturl.at/hio23)

17) კობალაძე, ი. ადამიანის უფლებები და თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის პირობებში. თემიდა-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. თბილისი 2010 4(6).

18) კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი. თბილისი 2005წ. [shorturl.at/bfVZ7](http://shorturl.at/bfVZ7)

19) კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში პანდემიის დროს, ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია. სტატიათა კრებული. თბილისი. 2021წ. [shorturl.at/ikpyR](http://shorturl.at/ikpyR)

20) კორკელია, კ. 2020-2021. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში Covid-19 პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები. [shorturl.at/nvL17](http://shorturl.at/nvL17)

21) კორკელია, კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 2004წ. [shorturl.at/aJKX6](http://shorturl.at/aJKX6)

22) კორკელია, კ. ევროპული სტანდარტის ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი 2007წ. [shorturl.at/bltOR](http://shorturl.at/bltOR)

23) კუბლაშვილი, კ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები“. 2020წ. 14 ივლისი. [shorturl.at/ewTY6](http://shorturl.at/ewTY6)

24) ლოლაძე, ბ. და სხვები. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. 2020წ. [shorturl.at/psuyZ](http://shorturl.at/psuyZ)

25) ლომთათიძე, ე. საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში? 2016წ. [shorturl.at/gijlC](http://shorturl.at/gijlC)

26) ნაკაშიძე, მ. ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში: ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა. ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია. სტატიათა კრებული. თბილისი. [shorturl.at/uETZ5](http://shorturl.at/uETZ5)

27) პატარაია, თ. საქართველოს თავდაცვის სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა. ჟენევა-თბილისი. 2014წ. [shorturl.at/fhy48](http://shorturl.at/fhy48)

28) პიტერ მალანჩუკი. აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. გამომცემლობა „დიოგენე“. 2005წ. [shorturl.at/kmrA2](http://shorturl.at/kmrA2)

29) რა არის ვენეციის კომისია და რა როლი აქვს მას. [shorturl.at/astO0](http://shorturl.at/astO0)

30) რას ნიშნავს პანდემია და იცვლება თუ არა რამე მისი გამოცხადებით? 2020. [shorturl.at/tuvGI](http://shorturl.at/tuvGI)

31) საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო. Covid-19 ინფექციის გამოწვევის მართვა ხელისუფლების ქმედების შეფასების ანგარიში. თბილისი. 2020წ. [shorturl.at/fpwFI](http://shorturl.at/fpwFI)

32) სამხარაძე, თ. პანდემია და შესუსტებული კონსტიტუციური კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასება. 2021წ. [shorturl.at/aeGS5](http://shorturl.at/aeGS5)

33) სამხარაძე, თ., გერლიანი, თ. საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური შინაარსი-არსებული გამოცდილების ანალიზი (ანალიტიკური დოკუმენტი). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). თბილისი. 2020წ. [shorturl.at/ajkBf](http://shorturl.at/ajkBf)

- 34) საქართველო-ეუთო 2018. [shorturl.at/bNQY4](http://shorturl.at/bNQY4)
- 35) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, დასკვნა საქართველოს კონსტიტუციაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. 2013წ. 7 თებერვალი. [shorturl.at/vzBK5](http://shorturl.at/vzBK5)
- 36) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი II, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013. [shorturl.at/bDIV7](http://shorturl.at/bDIV7)
- 37) საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, საგანგებო მდგომარეობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა. 2020წ. 21 მარტი. N03/02 [shorturl.at/ajyAB](http://shorturl.at/ajyAB)
- 38) სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ. ევროპის საბჭო. 2013წ. [shorturl.at/ikvyK](http://shorturl.at/ikvyK)
- 39) ტაბუცაძე, ი. ისტორიული წინამძღვრები და ძირითადი პრინციპები, საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგა, საქართველოს კონსტიტუციის საფუძვლებისა და შინაარსის მიმოხილვა. თბილისი 1997წ. [shorturl.at/eqs06](http://shorturl.at/eqs06)
- 40) უსაფრთხოების სექტორში დემოკრატიის ზედამხედველობა, ეუთო. [shorturl.at/ahnL3](http://shorturl.at/ahnL3)
- 41) ფრანსუაზ ტულკენსი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ორმოცდაათი წლისაა. ბოლოდროინდელი მიმართულებები სასამართლოს იურისპრუდენციაში. ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“. ივლისი 2010 N3.
- 42) ქუქჩიშვილი, ხ. სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები და საჯარო მმართველობა. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“. N2(46) 2018. [shorturl.at/gmVY5](http://shorturl.at/gmVY5)
- 43) შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ. [shorturl.at/vwzL5](http://shorturl.at/vwzL5)

- 44) ძეტსიარო, კ. COVID-19 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა 2020წ. ივლისი. N14. [shorturl.at/apE45](http://shorturl.at/apE45)
- 45) ხავთასი, ლ. საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები. სამაგისტრო ნაშრომი თსუ. თბილისი 2019 წ. [shorturl.at/nOQY1](http://shorturl.at/nOQY1)
- 46) ხეცურიანი, ჯ. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში და საკონსტიტუციო სასამართლო. 2017წ. [shorturl.at/rOS67](http://shorturl.at/rOS67)
- 47) ხუბუა, გ. საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი. 2016წ. [shorturl.at/cJOY0](http://shorturl.at/cJOY0)
- 48) ხუციშვილი, ნ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი: საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. 2013 წ. მარტი. [shorturl.at/grFUV](http://shorturl.at/grFUV)
- 49) ჯიბლაძე, ლ. ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში. 2019წ. თბილისი 2002წ.
- 50) ჯორჯო აგამბენი. საგანგებო მდგომარეობა. თარგმანი: ნინო მიქაშავიძე. [shorturl.at/jtvKZ](http://shorturl.at/jtvKZ)
- 51) Covid-19-ის ყველა სიახლე: მარტი-2020/არქივი. [shorturl.at/iDTV6](http://shorturl.at/iDTV6)
- 52) ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან -საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი. ბათუმი 2011. [shorturl.at/bcmpu](http://shorturl.at/bcmpu)
- 53) Covid-19 ინფექციის გამოწვევის მართვა ხელისუფლების ქმედების შეფასების ანგარიში. [shorturl.at/csBNR](http://shorturl.at/csBNR)
- 54) A Convention to protect your rights and liberties. [shorturl.at/qrST3](http://shorturl.at/qrST3)
- 55) About the council of Europe. [shorturl.at/ino46](http://shorturl.at/ino46)
- 56) anna khakee-securing democracy? A comparative analysis of emergency powers in Europe, geneva centre for the democratic control of armed forces (DCAF) policy paper-N30. 2009. [shorturl.at/adlrS](http://shorturl.at/adlrS)
- 57) Council of Europe. [shorturl.at/egwD9](http://shorturl.at/egwD9)
- 58) COVID-19 pandemic: urgent steps are needed to protect the rights of prisoners in Europe. [shorturl.at/IJM69](http://shorturl.at/IJM69)



59) Covid-19: Council of Europe anti-torture Committee issues “Statement of principles relating to the treatment of persons deprived of their liberty”. 2020. [shorturl.at/akNR3](https://www.shorturl.at/akNR3)

60) Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece („The Greek Case”). 1967§. 21 april. [shorturl.at/STWZ0](https://www.shorturl.at/STWZ0)

61) Dominic McGoldrick. The interface between public emergency powers and international law. 2004. 2 apr. [shorturl.at/mnoq7](https://www.shorturl.at/mnoq7)

62) Edvard Elgar. derogation of human rights rules in times of emergency, Cambridge international law journal. 2020. july4. [shorturl.at/jpR67](https://www.shorturl.at/jpR67)

63) EMERGENCY MEASURES AND COVID-19: GUIDANCE. Geneva, Switzerland. Un.27 apr. 2020. [shorturl.at/aknxR](https://www.shorturl.at/aknxR)

64) EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) EMERGENCY POWERS. Science and technique of democracy No12. Strasbourg 1995. [shorturl.at/uAMOS](https://www.shorturl.at/uAMOS)

65) European commission for democracy through law(venice commission) opinion on the protection of human rights in emergency, strasbourg. 2006 april 4. [shorturl.at/foGNQ](https://www.shorturl.at/foGNQ)

66) European Commission for the Protection of Democracy through Law (Venice Commission), Collection of Opinions and Reports of the Venice Commission on the State of Emergency, Strasbourg. 16 April 2020. [shorturl.at/owFJM](https://www.shorturl.at/owFJM)

67) European Commission for the Protection of Democracy through Law (Venice Commission) - Collection of Opinions and Reports of the Venice Commission on the State of Emergency. Strasbourg, 16 April 2020. [shorturl.at/dOQV9](https://www.shorturl.at/dOQV9)

68) General comment no. 29, States of emergency (article 4): International Covenant on Civil and Political Rights. UN. Human Rights Committee. Geneva. Un.31 Aug. 2001. [shorturl.at/aIXY8](https://www.shorturl.at/aIXY8)

69) Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights, Derogation in time of emergency, Updated on 31 December 2021. [shorturl.at/kmrG5](https://shorturl.at/kmrG5)

70) Information Documents SG/Inf(2020)11 7 April 2020, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states. [shorturl.at/uxGV2](https://shorturl.at/uxGV2)

71) Information Documents, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis A toolkit for member states. 7 April 2020. [shorturl.at/msuZ7](https://shorturl.at/msuZ7)

72) Jukka Viljanen (University of Tampere, Finland)-The Role of the European Court of Human Rights as a Developer of International Human Rights Law. [shorturl.at/aKQXZ](https://shorturl.at/aKQXZ)

73) Lebet, A. COVID-19 pandemic and derogation to human rights“. [shorturl.at/FLTV9](https://shorturl.at/FLTV9)

74) Mohamed M. EL.ZEIDY-The ECHR and States of Emergency: Article 15-A Domestic Power of Derogation from Human Rights Obligations. 2003. [shorturl.at/amRY0](https://shorturl.at/amRY0)

75) OSCE Human Dimension Commitments and State Responses to the Covid-19 Pandemic. 2020. [shorturl.at/ktEVY](https://shorturl.at/ktEVY)

76) Peace, human rights, and humanitarian response. [shorturl.at/agkEW](https://shorturl.at/agkEW)

77) Scott P.Sheeran-Reconceptualizing States of Emergency under International Human Rights Law: Theory, Legal Doctrine, and Politics-michigan journal of international law. 2013. issue 3. [shorturl.at/asAS0](https://shorturl.at/asAS0)

78) Sean Molloy-Covid-19 and Derogations Before the European Court of Human Rights. 10 april. 2020. [shorturl.at/cTY47](https://shorturl.at/cTY47)

79) State of emergency in response to the coronavirus crisis.(2020). ISBN: 978-92-846-7547-0.Pg:10 [shorturl.at/bfGJY](https://shorturl.at/bfGJY)

80) Statement by President Von der leyen on emergency measures in member states. (2021March). [shorturl.at/cAHU7](https://shorturl.at/cAHU7)

81) Statement on derogations from the Covenant in connection with the COVID-19 pandemic. [shorturl.at/clBFH](https://www.shorturl.at/clBFH)

82) States of emergency in response to the coronavirus crisis: Situation in certain Member States. [shorturl.at/imUZ0](https://www.shorturl.at/imUZ0)

83) THE ADMINISTRATION OF JUSTICE DURING STATES OF EMERGENCY. [shorturl.at/BGKOV](https://www.shorturl.at/BGKOV)

84) The council of europe. [shorturl.at/isvzC](https://www.shorturl.at/isvzC)

85) The European convention on Human Rights-how does it works? [shorturl.at/fkLUW](https://www.shorturl.at/fkLUW)

86) The Human Rights Council and the role of the Office of the High Commissioner for Human Right. [shorturl.at/aHRU2](https://www.shorturl.at/aHRU2)

87) Upholding human rights in Europe during the pandemic. [shorturl.at/coWXY](https://www.shorturl.at/coWXY)

88) Written by Alessandra Spadaro. Do the containment measures taken by Italy in relation to COVID-19 comply with human rights law? [shorturl.at/jNT06](https://www.shorturl.at/jNT06)

89) Carl Schmitt-“Politische Theologie”, 1992.

<https://archive.org/details/carlschmittpoliticaltheology/page/n41/mode/2up>

90) Carl Friedrich - „constitutional government and democracy”, 1950.

<https://archive.org/details/constitutionalgo0000unse/page/n3/mode/2up>

91) О Комитете Комитет по правам человека. [shorturl.at/Wfptv](https://www.shorturl.at/Wfptv)

#### **ნორმატიული მასალა:**

1) 2020 წლის 21 მარტის N1 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი. [shorturl.at/cqS08](https://www.shorturl.at/cqS08)

2) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია. [shorturl.at/gpFKO](https://www.shorturl.at/gpFKO)

3) საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“. [shorturl.at/AEKV3](https://www.shorturl.at/AEKV3)

4) საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია [shorturl.at/qrwIO](https://www.shorturl.at/qrwIO)

5) საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია  
[shorturl.at/mPS02](http://shorturl.at/mPS02)

6) საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“.  
[shorturl.at/ksuUY](http://shorturl.at/ksuUY)

7) საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“.  
[shorturl.at/oHRT1](http://shorturl.at/oHRT1)

8) საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“.  
[shorturl.at/uHLP8](http://shorturl.at/uHLP8)

9) საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“.  
[shorturl.at/nyQX5](http://shorturl.at/nyQX5)

10) საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო  
ხელშეკრულების შესახებ“. [shorturl.at/gGY35](http://shorturl.at/gGY35)

11) საქართველოს კონსტიტუცია. [shorturl.at/pFJLQ](http://shorturl.at/pFJLQ)

12) საქართველოს მთავრობის განკარგულება N164. 2020 წლის 28  
იანვარი. თბილისი. [shorturl.at/eloQ9](http://shorturl.at/eloQ9)

13) საქართველოს მთავრობის დადგენილება N180. 2020 წლის 23 მარტი.  
თბილისი: [shorturl.at/aKUY7](http://shorturl.at/aKUY7)

14) საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ვერბალური ნოტა  
ევროპის საბჭოში. 2020 წლის 21 მარტი. [shorturl.at/xyJVZ](http://shorturl.at/xyJVZ)

15) საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.  
[shorturl.at/enoES](http://shorturl.at/enoES)

16) საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების  
შესახებ“. [shorturl.at/CGIJ7](http://shorturl.at/CGIJ7)

#### **სასამართლო გადაწყვეტილებები:**

1) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N1496,  
2020წლის 23 აპრილი. [shorturl.at/arF02](http://shorturl.at/arF02)

2) საქართველოს კონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.  
საქმე N15,290,266. 2004 წლის 25 მაისი. [shorturl.at/sKZ25](http://shorturl.at/sKZ25)

- 3) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება. (საქმე N1/3/407). [shorturl.at/juNSZ](http://shorturl.at/juNSZ)
- 4) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება. (საქმე N1/466). [shorturl.at/cemXZ](http://shorturl.at/cemXZ)
- 5) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება. (საქმე N577) [shorturl.at/bhuDR](http://shorturl.at/bhuDR)
- 6) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება. (საქმე N 2/11/747) [shorturl.at/cjrDJ](http://shorturl.at/cjrDJ)
- 7) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N1507) [shorturl.at/acou8](http://shorturl.at/acou8)
- 8) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება. (საქმე N1/1505,1515,1516,1529). [shorturl.at/nvR56](http://shorturl.at/nvR56)
- 9) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N1/14/1529. ქ. ბათუმი, 2020 წლის 12 ნოემბერი. [shorturl.at/kJN89](http://shorturl.at/kJN89)
- 10) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების-გიორგი პაპუაშვილის, კონსტანტინე ვარძელაშვილის, ქეთევან ერემადის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 17 ივნისის N3/4/768, 769 საოქმო ჩანაწერზე [shorturl.at/azAN0](http://shorturl.at/azAN0)
- 11) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. N3/4/641, 29 სექტემბერი, 2016. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3410126?publication=0>
- 12) Case of Lawless v. Ireland (No. 3) (Application no 332/57) [shorturl.at/diklu](http://shorturl.at/diklu)
- 13) Case of BAŞ v. TURKEY. (Application no. 66448/17). [shorturl.at/aqtH0](http://shorturl.at/aqtH0)
- 14) Soering v United Kingdom. [shorturl.at/iINWZ](http://shorturl.at/iINWZ). [30.05.2022]